Высочайшие горные массивы северной полосы (в особенности Цекур и другие массивы Мегрельского хребта) в верхнечетвертичное время подверглись оледенению (возможно двухкратному). Гребень Лечхумского хребта в пределах Лечхуми, т. е. в бассейне Ладжанури испытала очень слабое оледенение, а на высочайших гребнях Ахского известнякового массива значительных ледников вообще не было никогда.

ღიტტელატურა—ЛИТЕРАТУРА

1. აბაშიძე ლ.. ხემილი, „საქართველოს სსრ გეოგრაფიული საზოგადოების მოამბე“, 1946, № 2.
2. დევდარიანი გრ., კოლხეთის ბარის მდინარეთა ქსელის მეოთხეული ისტორიის საკითხისათვის, „საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე“, ტ. XVI, 1955 № 4.
3. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეულოსა საქართველოსა, თბილისი, 1941.
4. ჯანელიძე ალ., ასინ მთის გოლოგიური კომპლექსი, „საქ. სსრ მეცნ. აკადემიის მოამბე“, ტ. II, 1941, № 1—2.
5. ჯანელიძე ალ., რაგა-ლენგუმის სინკლინის გაგრძელება დასავლეთისაკენ, „სსრ მეცნ. აკად. საქართველოს ფილიალის მოამბე“, ტ. I, 1940, № 10.
6. Бурчак-Абромович Н. И., Пещера хребта Хамли, „საქართველოს მუზეუმის მოამბე“ 16—А, 1954.
7. Вахания Е. К., Геологическое строение Лечхуми. Труды Грузинского политехнического института, 1956, № 3.
8. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, изд. АН СССР, М.—Л., 1947.
9. Джанелидзе Ал., Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума, Тбилиси, 1940.
10. Мифферт Б. Ф. Геологический очерк Лечхума, „Материалы по общей и прикладной геологии“, вып. 140, 1980.
11. Радде Г., Путешествие в Мингрельских альпах и в трех их верхних продольных долинах (Рион, Цхеникали, и Ингур), „Записки Кавк. отд. импер. Русского Географического общества“, кн. XII, вып. № 1 1866.



პირობითი ნიშნების განმარტება

1. მაღალმითანი მეცვეთი გლაციალური რელიეფი დიდ სიმაღლეზე ამართული შუაიურული პირფიზიტული წყების საფუძველზე, ტროგებით, ცირკებით, მორენებით, კარლინგებით, (სამეცნიერო ქედის თხემი).
2. საშუალო და მაღარმითანი ნაზი დენტიული რელიეფი რელიეფი ქვედაიურული ფიქალ-ქერიშევიანი წყების საფუძველზე, ეროზიული ხეობებით, მეწყრებით, ჩანასახური გლაციალური ფორმებით (ლენსების ქედის კალთები).
3. საშუალომითანი ეროზიულ-მეწყრებული რელიეფი შუაიურული პირფიზიტული წყების საფუძველზე, ნაზი ფორმებით (სამეცნიერო ქედისა და ასხის მასივის ქვედა კალთები).
4. საშუალომითანი სუსტად დააწერებული რელიეფი ვეტრიკალურშეჩებიანი ცარცული კირქვების საფუძველზე, თითქმის დაუკარსტავი (ლენსების სინკლინის ჩრდილო ქრთა).
5. დაბალმითანი ბორცვიანი, ეროზიულ-მეწყრებული ნაზი რელიეფი ოლიგოცენური და ნეოგენური ტერიგენული ნალექების საფუძველზე (ცაგერ-ორბელის ქაბულები მათი გამოიყელი შუალენის სერითურთ, ლენსების სინკლინის მულდა).
6. საშუალომითანი, ინტენსურად დაკარსტული რელიეფი ცარცული კირქვების საფუძველზე, ქრატებით, კანიონებით, ძაბრებით, მღვიმებით (ასხის, ხვამლისა და ნაქერალის მასივები, ლენსების სინკლინის სამხრეთული ფრთა).
7. მდინარეთა თანადროული რიყები და პოლოცენური ტერასები, აგებული თანადროული ალუვიანით (ცაგერ-ორბელის ქაბულთა და ლაჯანურის ფსკერი).
8. ცხრინიშვალის მეოთხეული ტერასები ცაგერის ქაბულში, აგებული ქველი ალუვიანით.
9. მეოთხეული ღვარცოფით წარმოქმნილი ბრტყელი და დახრილი ვაკე (მდ. ჭონულის შუაწელის ხეობის ფსკერი).

ს. მიანიშვილი

ძველი აბანის ჩადილი ნაზილის გეოგრაფიული გიგანტი ცნობები

რაიონი მდებარეობს ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობზე და მოიცავს მდ. რიონის მარჯვენა შემდინარეების — მდ. მდ. ასკიშვილის, რიცეულის, ლუხუნისწყლის და სონტარულის აუზებს.

მორფოგრაფიულად რაიონი რაჭის გასტვრივი ქვაბულისაგან და ლეჩხუმის ქედის და მისი სამხრეთული ტოტებისაგან შედგება. ქვაბულში, რომელიც სინკლინის ემთხვევა, გამოიყოფა კორქვიანი და პორფირიტული ჩრდილო ფრთა, რომელიც საშუალო სიმაღლის ქედს (სოჩიბი, საელი) წარმოადგენს და საკუთრივ სინკლინური ხეობა, რომლის ფსკერზე მდ. რიონი გადინება, ხოლო ლეჩხუმის ქედის რაიონში — ჭუთხარო-სამერცხლის მასივი (ჭუთხარო-კუპრის ქედი).

ლეჩხუმის ქედი საკულევ რაიონში შედის მ. ლელააშხიდან (3152 მ) აღმოსავლეთისაკენ მ. ლუხუნის წვერამდე (3185 მ), სადაც იგი გადაებმის შორის ქედს. ქედის ცალკეული მწვერვალები 3000 მ-ზე მაღალია (ჭუთხარო 3539 მ, მ. 3443 მ და სხვ.), მიუხედავად მისა, მასზე მუდმივ თოველსა და ყინვარებს მაინც არ ვხდებით. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ჭუთხარო-სამერცხლის მასივს, რომელიც გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე ლეჩხუმის ქედის დანარჩენი ნაწილები. ლეჩხუმის ქედი მ. ლუხუნისწვერთან ებმის სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ მიმართული საკის ქედი. რომელიც მდ. მდ. საკაურას და ლუხუნისწყლის წყალგამყოფს წარმოადგენს.

ლეჩხუმის ქედზე მართულ მ. ჭუთხაროსა და საკის ქედზე მდებარე მ. კუპრას შორის გაჭიმულია ჭუთხარო-კუპრის ქედი; ლუხუნის ხეობით გაკვეთილ ამ ქედზე მდებარეობენ საკულევი რაიონის უმაღლესი მწვერვალები ჭუთხარო (3539 მ), სამერცხლე (3584 მ) და კარეტა (3078 მ), რომლებიც მცირე ყინვარებსაც კი ატარებენ.

რელიეფის ზემოაღწერილი მორფოგრაფიული ერთეულების თავისებურებათა შემაპირობებელ რელიეფწარმომშობ ფაქტორებს შორის მნიშვნელოვანი როლი ლითოლოგიურ, ტექტონიკურ, ყინვარულ და ეროზიულ-დენუდაციურ ფაქტორებს ეკუთვნის.

რაიონი შეიძლება შეჩევითი დენუდაციის მორფოლოგიური გამოვლინების კლასიკურ მაგალითად გამოდგეს: ლეიასის ფიქალ-ქვიშაქვები, რომლებიც ტერიტორიის უდიდეს ნაწილს აგებენ, რელიეფის არც ერთ დადებით ფორმას არ იძლევა. ხოლო ბაიოსის პორფირიტული წყება ყველგან ქედებით არის წარმოდგენილი (ჭუთხარო-კუპრის, სოჩიბის ქედები); რელიეფის დადებით

ფორმებსცე ქმნის რაჭის სინკლინის ჩრდილო ფრთის ცარცული კირქვები (საელიოს ქედი).

ტექტონიკა. ტექტონიკური თვალსაზრისით რაიონი შედის კავკასიონის ჩაჭია სისტემის გეოტექტონიკური ზონის მთისწინეთის ტექტონიკური ზონის რაჭი-ლეჩხუმის ქვეზოაში [3]. სადაც ნაკუბებს საერთო კავკასიური მიმართულება აქვს. თანმედროვე რელიეფის თავისებურება თითქმის სრულებით არა ღამოკიდებული რაიონის ტექტონიკაზე: ძირითადი ხეობები (ლუხუნისწყლის, რიცეულის, ასკისწყლის) ნაკუთა გარილის გარღივარდმოდ არის გამომუშავებული, ხოლო არც ერთი ანტიკლინური ნაოჭი ქედს არ ქმნის; პირიქით, კველა-ზე მაღალი ჰუთხარო-კუპრის ქედი სინკლინური სტრუქტურის არის და რელიეფის ინვერსიის თვალსაჩინო მაგალითს წარმოადგენს. თვით ლეჩხუმის ქედი, რომელიც რაიონის მთავარი მორტვოგრაფიული ერთეულია, შედგენილია სინკლინური და ანტიკლინური ნაკუბების მორღივაბით და ერთზოული ქედი უფროა, ვიდრე ტექტონიკური; ასევე ერთზოულია მისი სამხრეთული ტოტებიც. რაც შეეხება სოჩიბის და საელიოს ქედებს, ისინი ნაკუთა ფრთაში არინ გამომუშავებული და მონოკლინურ ქედებს წარმოადგენენ. რელიეფის ერთადერთი ფორმა, რომელიც ტექტონიკითა შეპირობებული, არის რიონის სინკლინური ხეობა სს. ხიდიკარსა და ლიარდიას შორის.

გაყინვარება. რელიეფის ფორმირებაში ერთ-ერთი წამყვანი როლი მეოთხეულმა გაყინვარებაშ შეასრულა: გაყინვარება შეეხო საშუალო და მაღალმთიან უბნებს—ლეჩხუმისა და ჰუთხარო-კუპრის ქედებს. რელიეფის ყინვარული ფორმები შენახულია ურკების, ტროგების, კერძის შებლების, მორტენების და ფლუვიოგლაციური ნალექების სახით, თუმცა ლეჩხუმის ქედის დასავლეთ ნაწილში ისინი მცირე რაოდენობითაა, რაც ამგებელ ქანთა (ფიქლები) ხსნათით არის გამოწვეული.

რელიეფის ტიპები და გათი გავრცელების ასიმეტრია

რაიონი, ალ. გივახიშვილის [7] მიხედვით, რელიეფის სამ ტიპში შედის. ეს ტიპებია: 1. მაღალი კლდოვანი თხემების რელიეფი, პეტრომორტული, თანამედროვე გაყინვარებით (სამერცხლე-ჰუთხაროს მასივი), 2. მაღალი კლდოვანი მთების რელიეფი, ლრმა გამკვეთი ხეობების სიჭარბით, პეტრომორტული, განვითარებული ვულკანოგენურ ქანებზე (ასკისწყლის, რიცეულის, ლუხუნისწყლის აუზები) და 3. დაბორცვილი რელიეფი, განვითარებული მესამეულ სინკლინურ დეპრესიაში (რიონის ხეობა სს. ზ. ლვარდიასა და კვაცხუს შორის).

ოროგრაფიული ერთეულები, რომლებიც ამ რაიონში ლითოლოგიური და ტექტონიკური პირობების მიხედვით ერთიძეორისაგან განსხვავდებიან, შეიძლება საფუძლად დაედოს რელიეფის ტიპების გამოყოფას (იხ. გეომორფოლოგიური რუკა).

1. მაღალმთანი ზელიეფი ძელი გაყინვარების ნიშნებით და მეწყრების განვითარებით, გამომუშავებული ვალანცინის, შუა და ზედა იურის მერგელური და თბილი ფიქლების, კირქვების, ქვიშაქვების და ზედა ლეიასის ფიქალ-ქვიშაქვების სუბსტრატზე

რელიეფის ეს ტიპი მდებარეობს ლეჩხუმის ქედის სამხრეთ ფერდობზე და მოიცავს მდ. მდ. რიცეულის და ურინავის ზემო წელის, ლუხუნისწყლის მარჯვენა შემდინარეთა (ქარანი, ლატაშური, სოხორტული) აუზებს და საკაოს ქედის ჩრდილო ნაწილის დასავლეთ ფერდობს.

მთავარ მორფოგრაფიულ ერთეულს აქ ლეჩხუმის ქედი წარმოადგენს; იგი რაიონის ფარგლებში მ. ლელაშვილან აღმოსავლეთით მ. ლუხუნისწყერა-მდე გრძელდება საერთო ჩრდილო-აღმოსავლეთური მიმართულებით. ქედის ის ნაწილი, რომელიც მ. ლელაშვილან სამხრეთ-აღმოსავლეთით მიმართობა, მონკულინური ხასიათითა და ჰუთხარო-სამერცხლის სინკლინის სამხრეთ-დასავლეთ ფრთას წარმოადგენს. ქედის ასეთი აგებულების გამო მისი სამხრეთ-დასავლეთი ფერდობი გაცილებით უფრო ციცაო, ვიდრე ჩრდილო-აღმოსავლეთი; ამასთან სამხრეთული ფერდობის ინტენსიური გამოფიტვის შედეგად, თხემი თანდათანობით ჩრდილოეთისაკენ იხევს.

რელიეფის ამ ტიპის ფორმირებაში მთავარი როლი მეოთხეულ გაყინვა-რებას ეკუთვნის. გაყინვარების ნიშნები ზოგიერთ ნაწილში თუმცა წაშლილია რაც ამგებელი ქანების (ფიქლები) ადვილშალდობით არის გამოწვეული, მაგრამ მაინც საყმაოდ არის შენახული. რაც ნათელ წარმოდგენას გვაძლევს ყინ-ვარების გავრცელების, სიმძლავრის, ცოდნამის მიმართულების, თოვლის ხაზის დეპრესიის სიღირდისა და სხვათა შესახებ. რელიეფის ყინვარული ფორმები დიდი რაოდენობით გვხვდება მდ. მდ. რიცეულის და ურინავის სათვეთა აუზებში; ისინი ძირითადად მორენებით, მორენული მწკრივებით და ტროვე-ბით არის წარმოდგენილი. მდ. რიცეულის და მისი მარცხენა შემდინარის წყალ-გამყოფზე კარგად არის შენახული ბოლომორენული მწკრივები, რომლებიც პორფირიტული ქანებისაგან შედგება და განლაგებული არიან ჩრდილო-დასა-ვლეთიდან სამხრეთ-აღმოსავლეთისაკენ. ლეჩხუმის ქედი, რომლიდანაც უნდა ყოფილიყო მომართული ყინვარები. ფიქლებით არის აგებული, ამიტომ ის კერა, საიდანაც შეიძლება მოტანილი ყოფილიყო მორენები, სხვაგან უნდა იქნეს მოძებნილი. საკვლევ რაიონში პორფირიტები მხოლოდ ჰუთხარო-სა-მერცხლეს მასივზეა; მასივი ლეჩხუმის ქედის განხილული უბნის ჩრდილოე-თით მდებარეობს და ბუნებრივია ვიფიქროთ. რომ წყალგამყოფზე არსებული ბოლომორენები სწორედ აქედან არის მოტანილი.

როგორც აღნიშნეთ, ლეჩხუმის ქედის ის ნაწილი, რომლიდანაც მდ. რიცეული იქრებს წყალს, მონკულინური აღნაგობისა; ქედის ამ მონაცემთა და ჰუთხარო-სამერცხლეს მასივს შორის გაჭიმულია დადაბლებული ზოლი; მასი-ვის პორფირიტული ლოდების გადატანა მდ. რიცეულის აუზში მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა მომხდარიყო თუ ყინვარები აავსებდნენ ამ დადაბ-ლებას და ქედზე გავლით დაწყებდნენ მოძრაობას სამხრეთ-დასავლეთისაკენ. ეს მდგომარეობა იმაზე შეტყველებს, რომ ყინვარები დიდი სიმძლავრის იყვ-ნენ და, მოძრაობდნენ რა მდ. მდ. რიცეულის და ურინავის შემდინარეთა გავ-ლით, ავსებდნენ მათ ხეობებს. მდ. რიცეულის და მისი მარცხენა შემდინარის

წყალგამყოფზე, ზ. დ. 1900 მ სიმაღლეზე, ბოლომორენების მხოლოდ ერთი მწყრივი შეიმჩნევა, ხოლო მდ. რიცეულის მარცხენა და მდ. ურინავის მარჯვენა შემდინარის წყალგამყოფზე—ორი, რომელთაგან ერთი 1900, ხოლო მეორე—2100 მ სიმაღლეზე მდებარეობს; მორენების ამ უკანასკნელი მწყრივის შემდეგ, თვით ლეჩქუმის ქედის ძირამდე მდებარე ტერიტორია (3 კმ სიგრძის) მთლიანად თავისუფალია ყინვარული მასალისაგან და ისინა, კელავ მხოლოდ ქედის ძირთან, ფსკერის მორენების სახით გამოჩნდება.

რელიეფის ყინვარული ფორმები ყველაზე კარგად წარმოდგენილია მდ. ურინავის ხეობაში. მდინარის სათავეებში განვითარებულია 2,5 კმ-ზე მეტი სიგრძის მეკუთილ გამოხატული ქედი ყინვარული ცირკ, რომელიც ცხენიყბის სერით ორ ნაწილად იყოფა: ერთი, შედარებით მცირე ნაწილი, ორენტირებულია მდ. ხეობის, ხოლო მეორე, უფრო დიდი ნაწილი, მდ. ურინავის ხეობისაკენ. იგი რთულ ცირკს წარმოადგენს და კვებავდა ორ ყინვარის—ერთს მიმართულს მდ. ურინავის და მეორეს მდ. ხეორისწყლის ხეობისაკენ. ყინვარებს გარდუქმნია ყინვარგამყოფი სერის ჩრდილო ნაწილი, რომელიც ვიწრო გასასვლელით არის გამოყოფილი ჭუთხარო-სამერცხლეს მასივისაგან; ამის გამო, რომ სერის ეს ბოლო მოკლუვებულია და ღიად მთავრდება; მოკლუვებულია ავრეთვე სერის მთელი თხემიც. გარდა მ. 2605 მ, რომელიც, როგორც ჩანს, თავისუფალი იყო ყინვარისაგან და ნუატას წარმოადგენდა.

აღნიშვნული ცირკიდან იწყებოდა ხეობის მდლავრი ყინვარი, რომელმაც წარმოშეა თანმიეროვე ურინავის ტროგული ხეობა; ტროგის ზედა ნაწილში, ხეობის გარდიგარდმოდ, მდებარეობს პორფირიტული ძარღვის რიგელი, რომელიც ალბათ ყინვარდნილს ქმნიდა; ამჟამად იქ 8—10 კ სიმაღლის საჩქეფია, რომელზედაც მდ. ურინავი ჩანჩქერს ქმნის. ტროგის შუა ნაწილში, ფსკერის მარცხენა მხარეზე, შექმნილია გასწვრივი მორენული სერი, რომელიც მოვანილია მსხვილი მორენული ლოდებით; ასეთი ლოდები გვხვდება არა მარტო ამ სერზე, არამედ ცხენიყბის სერის თხემზეც, რომელიც ტროგის ძირიდან 250—300 მ სიმაღლეზე მდებარეობს; ერთ-ერთი ლოდის სიღილე 2800 (20 მ × 20 მ × 7 მ) კუბ. მეტრს უდრის. ნათელად იმის დასკვნის საშუალებას იძლევა, რომ ურინავის ხეობის ყინვარის სიმძლავრე 300 მ აქარბებდა.

რაც შეეხება იმას, თუ სანამდე ვრცელდებოდა ყინვარები სამხრეთისაკენ, ეს საეითხო ძნელი გადასაუყვეტია; სირთულეს იწვევს მდ. ურინავის აუზის თითქმის გაუვალი ტყეებით შემოსილობა და კვლევა-ძიების ჩატარების სიძნელე. მიუხედავად ამისა, მაინც შეიძლება მოვიყვანოთ ზოგიერთი მონაცემები: ცხრილის სერის ბრტყელ თხემზე, ქა-იქ, თვით მდ. სოხასტერის მდ. ურინავთან შეერთებამდე (ზ. დ. 1200 მ), გვხვდება ჭუთხარო-სამერცხლე მასივის ამ-გვხელი პორფირიტული ქანების ლოდები; წყალგამყოფზე მორენული მასალის არსებობა იმას მიუთითებს, რომ ისინი ყინვარულია და არა წყალყინვარული. თუ ამ მოსაზრებას მივიღებთ, მაშინ მდ. ურინავის ხეობაც ხეობის ყინვარით უნდა ყოფილიყო ამოვსილი და ყინვარის სიმძლავრე 150—200 მ აღწევდა, ხოლო სიგრძე — დაახლოებით 8 კმ. მდ. ურინავის და სოხასტერის შეერთების შემდეგაც ხეობის ფერდობის დაბალ ნაწილში შეიძლება შემჩნეული იქნეს მწყრივად განლავებული პორფირიტული ლოდები, რომლებიც, იქ ალ-ბათ, უკვე წყალყინვარული წარმოშობის არის.

ერინავის ცირკის ფირნის ნაწილი (აღმოსავლეთი) საწყისს ძლიერდა მდ. ხეორისწყლის ხეობის ყინვარს; ამ ხეობის ტროგული ხასიათი შევეთრად არის გამოსახული მხოლოდ ხეობის შუა ნაწილში, სადაც, თუთ სარტყევე ფერმადე (ჩ. დ. 1000 მ), გვხვდება პორფირიტული მორქნული ლოდები; მაინ გვხვდება აგრეთვე პდ. სერულის (ხეობის მარტენა შეგდინარე) შერალი ხეობის მონაკვდის ფერლობებზეც, რომელიც ზ. დ. 900 მ სიმაღლეზე მდებარეობს.

ქველი გაყინვარების ნიშნების გავრცელების მეორე რაიონი მდ. ლუხუნის-წყლის მარჯვენა შემდინარების — მდ. მდ. სოხორტულის, ლატაშურის და ქავიანის აუზებში მდებარეობს. მდ. ლატაშურის ხეობა, რომელიც შევეთრად გამოსახულ ტიპიურ ტროგს წარმოადგენს, მიემართება კუთხარო-სამერცხლეს ფიაბაზური და პორფირიტული მასივის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობის დირის გასწვრივ. დამახასიათებელია, რომ ამ ტროგს ცირკი არ აქვს და ზემო ძირის წყალგამყოფი, რომელიც გადასვალს წარმოადნიში, მცრავ სიმაღლის წყალგამყოფით, რომელიც გადასვალს წარმოადნიში, უშუალოდ გადადის მდ. ლობიშურის (ცხენისწყლის მარცხენა შემდინარენის გასწვრივ) მარჯვენა შემდინარის ტროგულ ხეობაში. ეს წყალგამყოფი ლეჩხუმის ნარე) მარჯვენა შემდინარის ტროგულ ხეობაში. ეს წყალგამყოფი ლეჩხუმის წარმოშობიდნენ გადაიდულ ყინვარს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მასივის სამერცხლეს მასივიდან 600—650 მეტრით. უნდა ვიფიქროთ, რომ მასივის ფერდობიდან ჩამოცენილი ოვლენი და ყინულები უშუალოდ ავსებდნენ მდ. ლატაშურის ხეობის ზემო ნაწილს და გადადიოდენ რა მდ. ლობიშურის აუზში, წარმოშობიდნენ გადაიდულ ყინვარს. ასეთივე მდგომარეობა გვაქვს მასივის სამერცხ-დასავლეთ ფერლობზე, სადაც კინიანის და ლობიშურის ცირკები უშუალოდ უერთდებოდენ ერთი-მეორეს. ლატაშურის ყინვარი, რომელსაც უშუალოდ უერთდებოდენ მორქენული ტიპის უნდა ყოფილიყო. ყინულით ამოკირები არ ჰქონდა. თურქესტანული ტიპის უნდა ყოფილიყო. ყინულით ამოკირები იყო არა მარტო მდ. ლატაშურის ხეობა; ყინული გადადიოდა მდ. მდ. სებული იყო არა მარტო მდ. ლატაშურის ხეობას და ყინვარები დაუტოვებდია. ლატაშურის და ქავიანის წყალგამყოფზეც, სადაც მას მორქები დაუტოვებდია. მასივიდან წყალგამყოფზე მორქნული მასალის მოხევდრა მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლებოდა, თუ მასივის ფერდობიდან ჩამონაცენი თოვლ-ყინულები ამოკირებიდნენ მდ. ლატაშურის ხეობას და ყინვარები დაიწყებდნენ მოძრაობას არა მარტო ამ ხეობის მიმართულებით, არამედ ნაწილობრივ ჩრდილოეთითაც — მდ. ქავიანის სათავეებისავენ, სადაც ისეთივე უცირკო, ერთი-ორივე მხარეზე თითქმის ყოველთვის, ერთი-მეორეში გამავალი ტროგები გვხვდება, როგორც ეს ლატაშურის ხეობაშია. ასეთი ტროგების წარმოშობა ალბათ იმით არის გამოწვეული, რომ გაყინვარების პერიოდში ლეჩხუმის ქედის თხემი გაცილებით უფრო ფართო იყო, ვიდრე ამჟამად არის; ფართო თხემზე ყინულის დიდი მასებიც მოთავსდებოდა, რითაც ნორვეგიის ტიპის ყინვარს მივიღებდით. ყინვარები, მოძრაობდნენ რა თხემის ორივე მხარეზე, წარმოშობიდნენ ტროგებს. ამიტომ არის, რომ ქედის ორივე მხარეზე თითქმის ყოველთვის, ერთი-მეორეში გამავალი ტროგები გვხვდება.

ლატაშურის ტროგი დახახლოებით 8 კმ სიგრძისაა და იქ სწყდება, სადაც მდ. ლატაშურის ხეობა სამერცხ-აღმოსავლეთზე იცვლის მიმართულებას, თუმცა ტროგის ფორმა ამ ადგილას საკმაოდ გარდექმნილია; ასევე გარდაქმნილია ქავიანის ტროგიც, რომელსაც მხოლოდ ზედა ნაწილში აქვს შენარჩუნებული ტროგული სახე.

საინტერესოა მდ. სოხორტულის ტროგული ხეობის წარმოშობის საკითხი; იგი იშევბა იქ, სადაც მ. კარეტას მიღამოებიდან მდ. სოხორტულის ხეობაში ეშევბა კარეტას თანამედროვე ყინვარი; იგი ახლა არაეითარ როლს არ ასრულებს სოხორტულის ტროგის წარმოშობაში, მაგრამ წარსულში დიდი სიმძლავრით განიჩევნოდა და დასაბამს აძლევდა სოხორტულის მეოთხეულ ყინვარს, რომელმაც ალიშხნული ტროგი წარმოშავა. ეს ტროგი სოხორტულის ქედით გამოიყოფა ლატაშურის ტროგისაგან; ყინვარი. როგორც ჩანს, აქაც მძლავრი იყო და სოხორტულის ქედის თხემზეც გადადიოდა, სადაც მორენებიც კი დაუტოვებია; ქედის თხემი ტროგის ძირიდან 250—300 მ სიმაღლეზე მდგარეობს და მაშასადამ ყინვარის სიმძლავრე 300 მ-ზე მეტი ყოფილა. იგი ალბად ლატაშურის ყინვართანაც იქნებოდა დაკავშირებული. სოხორტულის ყინვარის ცირკი დაკავშირებული იყო მდინარის მეორე სათავის ასეთსავე ცირკთან. რომელიც დასაბამს აძლევდა სოხორტულის ყინვარის შარჯვენა შემდინარეს და ამგვარად ორივე ყინვარს საერთო კვების არე ჰქონდა.

ზემოაღნიშნულის შემდეგ ისმის საკითხი გაყინვარების ჯერადობის შესახებ. მდ. კრინავის ტროგული ხეობის ორივე ფერდობზე გვხვდება ხაზობრივად განლაგებული გვერდითი მორენების ორი მწერივი; პირველი მდგბარეობს ხეობის ძირიდან 50 მ სიმაღლეზე, ხოლო მეორე — 200 მეტრზე; გარდა ამისა წყალგამყოფთა თხემებზე მდგბარე მორენული მასალა ხეობის ძირიდან 250—300 მ სიმაღლეზეა. ეს უკანასკნელი მორენები ყველაზე ძველი და ამავე დროს ყველაზე მძლავრი გაყინვარების შედეგად უნდა იყოს წარმობილი. ამ გაყინვარებას მოსდევდა შედარებით სუსტი ორი გაყინვარება ან სტადია, რომელთაც გვერდითი მორენები დარივეს ხეობის ძირიდან 50 და 200 მ სიმაღლეზე. ურნავის ტროგული ხეობის ამ თავისებურებას კარგად ეფარდება მდ. ლატაშურის ტროგული ხეობის მორტოლოგიაც, აქ ერთი-მეორეში ჩაღმული სამი ტროგი გვაქვს. ჩაც, მსგავსად ურინავის მაგალითისა, გაყინვარების სამჯერადობაზე ან სამ სტადიზე მიუთითებს.

2. საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი, ეროზიით ძლიერ დანაწევრებული რელიეფი, გამომუშავებული ზედა ლეიისის ფიქლების წყებაში

რელიეფის ამ ტიპის უჭირავს ლეჩებუმის ქედის სამხრეთი ფერდობის საშუალო სიმაღლის ადგილები და მოიცავს მდ. ლუხუნისწყლის აუზის უდიდეს ნაწილს, მდ. მდ. სონტარულის და კალისწყლის მთელ აუზს, მდ. რიცეულის აუზის შუა ნაწილს და მდ. ასკისწყლის სათავეებს. აგებულია რა ლეიისის ფიქლებით, ეს რაიონი ძლიერი დანაწევრებით ხასიათდება. მიუხედავად ამისა, მისი ის ნაწილი, რომელიც ტყით არის დაფარული, რელიეფის სინაზით გამოიჩევა, ხოლო ტყეების გაჩეხის შემთხვევაში უკვე ეტყობა რელიეფ-წარმოშობი გარეგანი ძალების გაძტიურება და რელიეფის მკვეთრი ფორმების წარმოშობა; ასეთი მოვლენები კარგად შეიმჩნევა მდ. რიცეულის აუზის შუა ნაწილში, სადაც ამჟამად ტყის ინტენსიური ჭრა-დამზადება მიმდინარეობს.

მდ. რიცეულის აუზის ნაწილი, რომელიც განსახილველ რაიონშია მოქცეული, ქვაბულს მოგვაგონებს; მის ხეობაში, აღვიღლ წესურს ზევით, მიუხე-

დავად ხეობის დიდი სიგანისა, ტერასები იშვიათი მოვლენაა; აქ შეიძლება მხოლოდ 2—3 მ სიმაღლის ჭალისზედა პირველი ტერასა შეგვხდეს. გაფარ- თოვებულ ხეობაში მიღალი ტერასების უქონლობა, ოგონოც ვიცით, შეიძლება იმით იყოს გამოწვეული, რომ დაძირების მოვლენებს ქეს ადგილი, თუმცა მდ. რიცეულის ამ ადგილის შემდინარეთა გასწვრივი პროფილების ანალიზი სა- წინააღმდეგო მოვლენაზე მიგვითოთებს.

განსახილეულ რაიონში მნაშვნელოვანი ფართობი უჭირავს მდ. ლუხუნის- წყლის აუზს, რომელიც განსაკუთრებით ძლიერ არის დანაწევრებული ს. ურავს ზევით. მიუხედავად იმისა, რომ ხეობა გამომუშავებულია ლეიასურ ფიქლებ- ში, იგი მდ. ქავიანის შესართავს ზევით იძლენად ვიწროა, რომ 1000—1500 მ. სილრძეზე ჩაჭრისას ხეობის ფსკერი 20—25 და 10—15 მეტრამდეც კი ვაწროვ- დება: იშვიათ შემთხვევაში კი 40—50 მ-დე ფართოვდება. ხეობის ასეთ სივი- წროვეს განაპირობებს შრეთა ვერტიკალური მდებარეობა და ხეობის გამკვე- თი ხასიათი. გარდა ამისა, ხეობის ეს ნაწილი განიცდის ინტენსიურ აზევებას, რასაც ხეობის ღრმად ჩაჭრის ფაქტი, შემდინარეთა მიერ ხეობის ფერდობების ძლიერი დანაწევრება, მათი გასწურივი პროფილების უკიდურესად გამოიმუშა- დებლობა და მთავარი ხეობის ფერდობთა ამობურცული ხასიათი მიუთითებს.

მდ. ლუხუნისწყლის ხეობა შესართავშისაკენ თანდათანობით ფართოვდება და ს. ურავის ქვევით ხეობის მარჯვენა ფერდობზე ტერასებიც კი ვახვდება. აქ შეიძლება გამოიყოს 6 ტერასა: I. 5 მ, II. 30—35 მ, III. 90 მ, IV. 125—130 მ, V. 150 მ და VI. 170—175 მ. ტერასები ხეობის მხოლოდ მარჯვენა ფერ- დობზეა წარმოდგენილი, ხოლო მარტივნაზე თითქმის სრულიად ან სრულიად არ ვახვდება, თუ არ ჩავთვლით ჭალის ტერასას ს. ურავის შიდამოებში. ტე- რასები გავრცელებულია ს. ს. ურავის, ლიხეთის და განსაკუთრებით აბარის მიდამოებში; ტერასების ასეთი განლაგების თავისებურება შეიძლება ხეობის მარჯვენა მხარის ინტენსიური აზევებით აქსნათ, რის გამო მდინარე მარჯვენა მხარეზე ტერასების სერიას სტროკებს. ამავე მიზეზით უნდა იყოს გამოწვეული მდ. მღ. აბარულას და ყიფვას მიერ მძლავრი გამოზიდების ძევლი კონუსის შექმნა, აბარ მდ. ლუხუნისწყალი აიძულა ს. აბარის მიდამოებში საქმაოდ დიდი რკალი გაეკვითობინა.

მდ. მდ. რიცეულის და ლუხუნისწყლის აუზთა წყალგამყოფის აღ. ფერ- დობიდან ჩამოედინებიან მდ. ლუხუნისწყლის მარჯვენა შემდინარენი, რომელ- თა შორის მნიშვნელოვანია მდ. ხეორისწყალი. ამ ხეობისათვის, სარქეო ფერ- თა შემდეგ შემდეგ დამატებული არის სარქეო ფერთა მიზნით შემდეგი ასეთი გამოყოფილი ხეობის ორი ნაწილი: შეა-ბრტყელფსე- რიან და ნაკლებად ჩაჭრილი და ქვედა—ვიწრო და ღრმად ჩაჭრილი. ეს მოვ- ლენა შეიძლება შემდეგნაირად აიხსნას: გაყინვარების პერიოდში ამ ხეობაში, ყინვერული ენა თითქმის სარქეო ფერმადე აღწევდა, საიდანაც სათავეს- ილებდა მდ. ხეორისწყალი. ამ პუნქტმდე მიმდინარეობდა მაშინდელი მდ. ხეორისწყლის ხეობის გამომუშავება და, რა თქმა უნდა, იგი გარკვეულ სილრმემ- დე იყო ჩაჭრილი; გაყინვარების შემდგომ პერიოდში მდინარემ აღნიშნული პუნქტიდან ზევით, ჭერ კიდევ ვერ მოასწრო ღრმად ჩაჭრა, ამ ღრმის როდესაც მის ქვევით ყინვარის ღნობის შედეგად წარმოშობილმა უხვმა წყლებმა გა- მოიწვიეს მისი კიდევ უფრო გაღრმავება, რის გამო მას ამჟამად ვიწრო ხეო- ბის ფორმა აქვს. ხეობის ასე ღრმად ჩაჭრას მეორე ფერმის (მდ. სერულას შე-

სართავთან) ქვევით იმანაც შეუწყო ხელი, რომ აქ გაყინვარების შემდგომ პერიოდში მდ. ხეორისწყალმა მოიტაცა ახლანდელი მისი მარტენია შემდინარე სერულა, რომელიც დამოუკიდებელ მდინარეს წარმოადგენდა და მდ. ლუხუნისწყალს ხეორის ახლანდელი შესართავის ზევით 2 ეტ-ზე ერთვოდა. გაყინვარების შემდგომ პერიოდში ხეორის ხეობა საერთოდ 70—80 მ სიღრმეზე ჩაჭრილა; თუ გაყინვარების შემდგომ პერიოდს საშუალოდ 25000 წლად ვიგულისხმებთ, მაშინ მდინარის მიერ კალაპოტის ჩაჭრის სიღრიდე წელიშადში 3—3,2 მმ-ით განისაზღვრება.

ამავე გეომორფოლოგიურ რაიონში შედის აგრეთვე მდ. სონტარულს აუზი, რომელიც მდ. ლუხუნისწყლის შუა და ქვემო წელის აუზიდან გამოიყოფა საფიჩხიას ქედით. მდ. სონტარულს ხეობა, ს. გადამშის მიდამოებში. ხასიათდება ნაზი ფერდობებით და ბრტყელი ფსკერით, რაც თითქოს ყინვარული ტროგის არსებობაზე მიგვითოთბეს; ამავე ადასტურებს ხეობაში ღიღი რაოდენობით არსებული მ. კუპრას მეგებელი ქანების ლოდები (პორფირები), რომელთა გადატანა ესოდენ ღიღი მანძილზე (დაახლოებით 5 კმ) მხოლოდ ყინვარით ან თოვლის ზვავების საშუალებით შეიძლება მომხდარიყო. აღსანიშნავია, რომ მდინარის სათავეებში არავითარი ნიშანი ცირკის არსებობისა ან არის; პირიქით, სათავე ხასიათდება ღიღი დაბრილობით და ფლარებითაც, რომლიდანაც მხოლოდ თოვლის ზვავების შრმაობა უფრო იქნებოდა მოსალოდნელი. ზვავებს თან მოქმენდათ ზემოაღნიშნული ლოდები და ლექავდნენ ს. გადამშის მიდამოებში; ისიც შეიძლება წარმოვიდგინოთ, რომ ზვავების დაგროვება იწვევდა მოკლე ყინვარის წარმოშობასაც, რომელიც მორაობდა მხოლოდ თოვლის მასის მომატების შედეგად. ხეობა სოფლის ქვევით თანდათანობით უფრო ღრმად ჩაჭრილი ხდება და ვიწროვდება კიდეც; ასეთი მოვლენა გრძელდება ხეობის სახერეთისავენ მორკალებამდე, საიდანაც იგი კვლავ გაფართოებას იწყებს. აღნიშნული მოვლენა ისევე შეიძლება ახსნილი იქნეს, როგორც ეს მდ. ხეორისწყლის ხეობის შესახებ აღვნიშნეთ. მთელ ხეობაში ასაღ გვხვდება მკაფიოდ გამოხატული ტერასები, გარდა ჭალის ტერასისა.

განსაკუთრებული თვისებებით ხასიათდება მდ. მდ. სონტარულს და ჭალს შორის მდებარე სიცრცე; იგი სამხრეთით მდ. რიონის კალაპოტს გაგინება და მაღალი ფლატეებით მთავრდება. ზედაპირი დანწევრებულია მცირე სილრმის მეონე მშრალი ხევებით; ასეთი მდგომარეობის გამო ზედაპირს სურთოდ მოსწორებული ხასიათი აქვს; მისი სიმაღლე ზ. დ. 1200—1500 მ ფარგლებში მერყეობს, ზედაპირი ონზავ არის დაბრილი მდ. რიონისავენ. უნდა ვიფიქროთ, რომ მოსწორებული ზედაპირის შექმნაში, აღბათ, მდ. რიონშაც მიიღო მონაწილეობა, თუმცა მდინარის მოქმედების კვალი ახსად შეინიშნება.

3. კუთხარო-სამერცხლეს მაღალმთიანი დიაბაზური და პორფირიტული მახვივი, თანამედროვე და ქველი გაყინვარების ნიშნებით

რელიეფის ამ ტიპს ჰქონდება სიფრენიტული კველაზე მაღალი სარტყელი უკავია, — ცალკეულ მწვერვალთა სიმაღლე აქ 3000 მ აკაბებს (კარეტა 3078 მ, ჭიუთხარო — 3539 მ, სამერცხლე — 3584 მ). კუთხარო-სამერცხლეს მასივი ქვედს წარმოადგენს; ჩრდილო-დასაულეთი იგი მევეთრი ჩამოკვეთილობით მთავრდება, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ გაგრძელებაზე თანდათანობით დაბ-

ლდება და მდ. ლუხუნისწყლით გარდიგარდმოდ არის გაკვეთილი. მასივის სამხრეთ-აღმოსავლეთ გაგრძელებაზე, მდ. ლუხუნისწყლის ხეობის მეორე (მარცხენა) მხარეზე, კუპრას ასეთივე მასივია, რომელიც აგრეთვე ქედს წარმოადგენს და ჰუთხარო-სამერცხლის ბუნებრივი გაგრძელებაა, რის გამო ჰუთხარო-სამერცხლეს მასივს კუპრასთან ერთად ვიზილავთ და მას ჰუთხარო-კუპრის ქედს ვუწოდებთ; იგი თუმცა მთლიანი არ არის, მაგრამ გენეტურად ერთ ჰოლოინი, სინერგიულ ქედს წარმოადგენს.

ჰუთხარო-კუპრის ქედის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი ხასიათდება მკეთრი რელიეფით, მას დაკბილული თხემი აქვს; ასეთივეა მ. კუპრას მიდამოები; განსაკუთრებული სიმკეთრით ამ მთის სამხრეთული ფერდობი გამოიიჩევა. გარდა ამისა, ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობი გაცილებით უფრო ძაღლია (1200 მ), ვიდრე სამხრეთ-დასავლეთი (800 მ); ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობის ძირში განვითარებულია მდ. ლატაშურის ტროგული ხეობა, რომლის გადაღრმავება ჯერაც არ დამთავრებულა.

მეოთხეულ პერიოდში ჰუთხარო-კუპრას ქედმა ინტენსიური გაყიდვარება ვანიცადა; აქედან ყინვარები თითქმის ყველა მიმართულებით მოძრაობდნენ.

ჰუთხარო-კუპრის ქედს, მის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თანამედროვე ყინვარებიც გააჩნია. ყინვარები ქედის ამ ნაწილის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობზეა განვითარებული. ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით აქ სამი მცირე ყინვარი გვხვდება; ისინი მდებარეობენ სამი მთავარი მწვერვალის (ჰუთხარო, სამერცხლე, კარეტა) მიდამოებში, ამიტომ მათ შეიძლება ამ მწვერვალთა სახელები ვუწოდოთ. უნდა აღინიშნოს, რომ ჰუთხაროს ყინვარი უფრო მუდმივი თოვლის ლაქაა, ვიდრე ყინვარი. გვრჩება ორი ყინვარი, რომელთაც ცირკები არ გააჩნიათ, თუმცა მათ ზედა ნაწილში, რელიეფის ოდნავ გაფართოებულ ან ჩაღრმავებულ ადგილებში, ზღება თოვლის მასების დაგროვება. ამიტომ არის, რომ ყინვარის ორი ნაწილის (კვების და ღნიაბის არეთა) გარჩევა, მათ შორის საზღვრის გავლება, თითქმის შეუძლებელია. ყინვარები არა თუ ხეობში გამოდიან, არამედ ქედის ფერდობსაც არ სკალდებიან და თითქმის ფრიალო ფერდობზე დაყიდული ყინვარის სახე აქვთ.

კარეტას ყინვარი უზარმაშარი ძეელი ცირკის ადგილას მდებარეობს და შენილი ყინვარის სახეს ატარებს; ეტყობა ყინვარი ამჟამად ინტენსიურ შემცირებას განიცდის, — გვერდითი მორენები რამდენიმე თეული მეტრით არის დაცილებული ყინვარის კილომეტრი; მხოლოდ გაძლიერებული კვების დროს (ზამთრობით) აღწევს ყინვარი მორენებამდე. ზემო ნაწილში ყინვარს აქვს მცირე სიღიღის განვითარება. რომლის სიგრძე 0,7 კმ, ხოლო სიგანე—0,1 კმ; მთავარი ყინვარის სიგრძე 1,3 კმ, ხოლო სიგანე—0,4 კმ; ყინვარის ორივე ამ ნაწილის ფართობი დაახლოებით 0,6 კვ. კმ.

სამერცხლეს ყინვარი კარეტას ყინვარიდან 1,5 კმ დასავლეთით მდებარეობს; იგიც მცირე ენის სახით არის წინ წამოწეული, მაგრამ ხეობაში ვერ გამოდის და, მსგავსად კარეტისა, დაკიდულ ყინვართა კატეგორიას მიეკუთვნება. ამ ყინვარის ფართობი აგრეთვე 0,6 კვ. კმ. არის. წინად იგი მდ. ლატაშურის ტროგულ ხეობაშიდან აღწევდა და ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთი ფერდობის სხვა ყინვარებთან ერთად ლატაშურის ტროგული ხეობა გამოიმუშავება.

4. საშუალო სიმაღლის მთა-ხეობიანი რელიეფი, განვითარებული ბაიოსის პორფირიტული წყების და ცარცული კირქვების სუბსტრატზე

რელიეფის ამ ტიპის გავრცელების არე მდებარეობს რაჭის სინკლინური და დაბლების ჩრდილო მხარეზე და შეადგენს სინკლინის ჩრდილო ფრთას; ეს ფრთა აგებულია ცარცული კირქვებით, რომელთაც ჩრდილოეთიდან ბაიოსის პორფირიტული წყების ქანები ეკვრის [8]. მართალია, ისინი ლითოლოგიურად განსხვავდებიან, მაგრამ მორფოლოგიური გამოვლენება მათ თითქმის ერთნაირი აქვთ, რის გამო ისინი ერთ ტიპში მოვაკეციათ. რელიეფის ამ ტიპის თავისებურება ამგებელი ქანების ლითოლოგიური და ნაწილობრივ ტექტონიკური თევრებებით განისაზღვრება, რის გამო თვით ტიპს გავრცელების რაიონი ისევე გაჭიმული, განედური მიმართულებით, როგორც მისი ამგებელი ქანები. პორფირიტებით აგებულია სოჩიბის ქედი, ხოლო მის სამხრეთი მდებარე საელიოს ქედი წარმოქმნილია ცარცული კირქვებით. ორივე ეს ქედი რამდენჯერმე იქვეთება მათი მიმართულების გარღივარდმოდ მიმდინარე მდინარეებით და იქმნება ვიწრო, ზოგიერთ შემთხვევაში კანიონის სუბური ხეობები. სოჩიბის ქედი ტექტონიკურად სორის ანტიკლინის სამხრეთი ფრთის ნარჩენს წარმოადგენს და მონოკლინურია, რის გამოც ასიმეტრულია. იმავე მიზეზით ასიმეტრულია საელიოს ქედიც, რომელიც ს. ლეიარის მიდამოებში იწყება და კლდისუბნის და ხიდიკრის კლდეერთა გავლით ხიხათის ქედს ებძის; ქედის სამხრეთი ფრთობი ძლიერი დახრილობით და ხშირი კარნიზებით ხასიათდება: ამ ქედშია გაჭრილი მდ. რიცეულის ხეობის კლდისუბნის და მდ. რიონის ხეობის ხიდიკრის კლდეერთები, რომელთაც კანიონის ფორმა აქვთ. კლდისუბნის კლდეერის მინიმალური სიგანე 15 მეტრს აღწევს, ხოლო ხიდიკრის — 10—15 მეტრს. საელიოს ქედი ს. ლეიარის მერიდიანის დასავლეთით უკვე აღარ გრძელდება: ამ შეარებების გეგენება დაახლოებით თანაბარი სიმაღლის (1400—1500 მ) მისწორებული ზედაპირები, რომელიც ერთი მეორისაგან გამოყოფილი არიან მერიდიანისაური მოკლე ხევებით. ზედაპირები ორიენტირებული არიან მდ. რიონის ხეობის პარალელურად და ამიტომ შეიძლება ვითიქონო, რომ მათ წარმოშობაში მდ. რიონშიც მიიღო მონაწილეობა.

სანტერესოა აღინიშნოს, რომ მდ. ასკისწყლის ხეობის მარცხნა ფერდობზე, ს. უშხას ზევით, კირქვებში განვითარებულია სამი, მკაფიოდ გამოხატული, ნაზვავი საფეხური, რომელიც ცერასების სახე აქვთ; იმის გამო, რომ მდინარე გამუდმებით ურეცხავს ძირს ხეობის ამ ფრთობს, საფეხურები თანდათანობით მოძრაობენ ხეობის ფსკერისაკენ.

ორიოდე სიტყვით შევეხოთ სოჩიბის და საელიოს ქედთა გარღივარდმოდ განვითარებული ვიწრო, გამკვეთი, ხეობების (ასკისწყლის, რიცეულის, რიონის, ლეხუნისწყლის) წარმოშობის საკითხს. ქედების არა-მარტინი შემდგომი დანაოჭების და აზევების შედევებად რაჭის სინკლინიდან ზღვა საბოლოოდ იდევნება, ხდება რელიეფის სრული ინვერსია და მდინარეთა მიმართულების შეცვლა სამხრეთულზე—დანაოჭების მიმართულების გარღივარდმოდ [8]; უნდა ვიგულისხმოთ, რომ საკვლევი რაიონის ფარგლებში მდებარე ლეჩეუმის ქედიც აგრეთვე სარმატის შემდგომი აზევებით გაფორმდა, რის შედევებად დასაბამი მიეცა მის სამხრეთ ფერდობზე ასებულ თანამედროვე მერიდიანალურ მდინარეებს; დასაშევებია აგრეთვე, რომ მდ. რიონის ხეობა, რაჭის სინკლინურ-

დეპრესიაში, არ იყო ისე ლრმად ჩატრილი, როვორც ამჟამად და შემდინარეები რომენ გაცილებით უფრო მაღალ დონეზე ერთვოდენ, ვიდრე ახლა; შემდინარეთა მიერ ამჟამად გაკვეთილი სინკლინის ჩრდილო ფრთის პორფირიტები და კირქვები, სარმატის შემდგომი აზევების დროსაც გაშიშვლებული იყო და მდინარეები მათ თავშე, გაწოლის გარდიგარდმოდ მიედინებოდენ. ქვედა სარმატიდან საკვლევები რაიონი განუშევეტლივ განიცდის აღმავალ მოძრაობას, რაც დღემდე გრძელდება. ზედაპირის ამ მოძრაობასთან ერთად მიმდინარეობდა ინტენსიური სილერმითი ეროზიული მოქმედება, რის შედეგად ხდებოდა მდინარეთა მიერ სონიბის და საელიოს ქედთა გადაღარვა და გამკვეთი, ანტეცედენტური ხეობების წარმოშობა.

გამკვეთია აგრეთვე მდ. ლუხუნისწყლის ხეობის მონაკვეთი ს. ურავის მიდამოებში, სადაც იგი ჭუთხარო-უპრის ქედს ჰკვეთს. ეს ქედი სარმატულ საუსუნეშიც უნდა ყოფილიყო, როდესაც რაჭის სინკლინი ზღვისგან თავისუფლდებოდა. თუ ეს მოსახრება სწორია, მაშინ უნდა დაეუშვათ, რომ მდ. ლუხუნისწყალს სათავე ამ ქედზე ექნებოდა, ხოლო მის ჩრდილოეთით მდებარე თანამედროვე ლუხუნისწყლის მონაკვეთი შეიძლება დამოუკიდებელი მდინარე ყოფილიყო, რომელიც ჭუთხარო-უპრის ქედის ჩრდილო-აღმოსავლეთ ფერდობის გასწურივ მიედინებოდა და მდ. საკაურას ერთვოლა. სარგებლობდა რა საკაოს ქედის თხემზე ასებული ხეობისმაგვრი დაბაბლებით, რომელიც მ. კუპრის ჩრდილოეთით მდებარეობს. მდ. ლუხუნისწყალმა, უკუსვლითი ეროზიული მოქმედებით, გადაღარა ჭუთხარო-უპრის ქედი და მის ჩრდილოეთით ასებულ მდ. საკაურას მარჯვენა შემდინარის წყალს გზა მისცა თავისი კალაპტისაკენ. ამგვარად უკრა მოშენარიყო თანამედროვე მდ. ლუხუნისწყლის ხეობის და ს. ურავის მიდამოებში მისი გამკვეთი უბნის წარმოშობა.

5. მდინარე რიონის ხეობის მარჯვენა ტერასირებული ფერდობი, მეწყრების განვითარებით, გამომუშავებული ოლიგოცენის, შუა და ქვედა მიოცენის და სარმატის თიხების. ქვიშაქვების, კირქვების და მერგელების ხუბსტრატეგი.

რელიეფის ეს ტიპი მდ. რიონის ხეობის განედური მონაკვეთის გასწურივ არის გაშიმული, ტერასების გავრცელების ზოლს მოიცავს და რაიონის დასავლეთი საზღვრიდან მდ. რიონის ხიდიკრის კლდეეარამდე გრძელდება; აქ იგი ხეობის დიდი სივიწროეის გამო წარმოდგენილი არ არის და კვლავ თავს იჩენს შეოლოდ მდ. რიონის მეორე (მცხოვი) ვიწრობის ზემოთ, ს. სორის მიდამოებში.

მდ. რიონის ხეობის ფსკერი რაჭის სინკლინურ მულდას ემთხვევა. ხეობის ფსკერის აბსოლუტურის სიმაღლე მდ. შარეულის ჭესართავთან 400 მ, ხოლო ხიდიკრის კლდეეართან — 580 მ, ე. ი. დაახლოებით 25 კმ მანძილზე მდინარე 180 მ-ით ეცემა, რაც 0,007 დახრას შეადგენს. ამის გამო, რომ მდინარეს ხშირად ახასიათებს მეანდრირება და კალაპოტის გათაროვების შემთხვევები. ეს ყველაზე კარგად ამბროლაურის და ჭრებალო-ქვეშარის უბნებზეა წარმოდგენილი. ამით არის გამოწეული აგრეთვე, რომ მდ. რიონის, განხილულ მონაკვეთზე, კარგად აქვს განვითარებული ფართო ჭალა, რომელიც მცირე გამონა-

3. გეოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XII

კლისის გარდა თითქმის ყოველთვის მდინარის მარჯვენა მხარმოდებელი.

რაონის დანაოცება ისე წარიმართა, რომ შრეები ხეობიდან (ჩრდილოეთი) არის დახრილი [8], რამაც თავისებური გავლენა მოახდინა ხეობის მარჯვენა მხარის რელიეფის განვითარებაზე. კერძოდ, შრეთა დახრილობის ასეთი მიმართულების გამო ამ მხარეზე არ გვხვდება მეზურები, რომლებიც ასე ხშირია ხეობის მარტინი ფერდობზე [5]. სადაც იგივე შრეები ხეობისაკენ არიან დახრილნი. იმავე მიზეზის გამო ხეობის მარჯვენა ფერდობის ხევები ვიწრო. ღრმა და გამჭვირი ტიპის არიან. ეს ხეობები აღნიშნულ შრეებში თანაბარი სიმაღლის ბორცვებს გამოჰყოფენ, რის გამო ფერდობს ბორცვიანი რელიეფის შესახედამობა აქვს; ეს განსაკუთრებით კარგად ჩანს სს. კვაცხუთის, ძირაგელის და სადმელის მიდამოებში.

მდ. რიონის ხეობის ძირზე ხშირად გვხვდება როგორც ძველი, ისე ახალი გამოზიდვის კონუსები; ძველი კონუსები განსაკუთრებით კარგად არის წარმოდგენილი კვაცხუთის, ძირაგელის, ღვარიარის, ბოსტანის, ჩორქოს, ხვანცეარის, ჭყვიშის ღელეთა შესართავებში და ავტოტვე ს. სორში მდ. ნაბადარის შესართავში. კონუსთა ამგებელ ნაფენთა სიმძლავრე ხშირად ორ ათეულ მეტრზე მეტით განისაზღვრება; მაგალითად, ჭყვიშის ღელის გამოზიდვის კონუსის მასალის სიმძლავრე 20 მეტრს აჭარბებს; მასზე გაშენებულია ს. ქვიშარი; კონუსის ფუძის სიგრძე 1,5 კმ, ხოლო სიმაღლე—800—900 მ. კონუსი თითქმის რიონის ღონებდეა ჩაჭრილი და მიმდინარეობს ახალი კონუსის წარმოშობა. რაც კონუსთა სართულების გაჩნის იწვევეს. თითქმის ყველა ჩამოთვლილი კონუსი მდ. რიონის პირველ ტერასაზეა განვითარებული.

მდ. რიონის ხეობის განხილული ნაწილი წარმოადგენს ტერასების გავრცელების მნიშვნელოვან რაონის. ხეობის სხვადასხვა ნაწილში ტერასებზე მრავალგვარი დაკვირვების შედეგად მივედით იმ დაკვინამდე, რომ მდ. რიონის ხეობის მარჯვენა ფერდობზე სს. ხილიკარსა და საირმეს შორის შეიძლება დადგენილად ჩაითვალოს 2—3 მ სიმაღლის ჭალის და ჭალისზედან 9 ტერასა: I. 10—15 მ, II. 25—30 მ, III. 55—60 მ, IV. 125—130 მ, V. 170—180 მ, VI. 200—230 მ, VII. 250—270 მ, VIII. 280—300 მ და IX. 340—380 მ. ამ მანძილზე უწყვეტი ზოლის სახით არც ერთი ტერასა არ გვხვდება; ისინი დანაწევრებული არიან რიონის მარჯვენა შემდინარეებით, რის გამოც ხეობის მარჯვენა ტერასირებული ფერდობი, მეტად ხეობის ფუძერისაკენ მიმართული სერებით არის წარმოდგენილი; რიონის ტერასები მნიშვნელოვანი რიცხვის სიგრძეს გვხვდება: კვაცხუთის და ძირაგელის ღელეთა წყალგამყოფზე, ძირაგელის, ბოსტანის, ჩორქოს და ჭყვიშის სერებზე. გარდა ამისა მათი აჭარსული სერია წარმოდგენილია სადმელის, ტოლის და ქვიშარის მიღამოებში.

როგორც წესი, ყველაზე ფართოდ I და II ტერასა გვხვდება; მაგალითად, პირველი ტერასა ს. კვაცხუთიდან მდ. ჩიცელის შესართავზე გავლით თითქმის ს. ბოსტანამდე გრძელდება (9—10 კმ); ტერასის მაქსიმალური სიგრძე 1 კმ-დე აღწევს და არსად 300—400 მეტრზე ნაკლები არ არის; იგი წარმოადგენს სს. საღმელის, ძირაგელის და კვაცხუთის კოლმეურნეობათა ძირითად სასოფლო-სამუშაოების ფართობს. პირველი ტერასა გვხვდება აგრეთვე სს. ჩორქოს, ხვანცეარის, ტოლის, ჭრებალოს და ქვიშარის მიღამოებში. მათ შორის

ჭანასკუთრებული სიფართოვით გამოიჩინეა ტერასა ს. ქვეშარის ახლოს. სადაც ე. წ. ქვეშარის ჭალები ამ ტერასით არის წარმოდგენილი. მისი სიგრძე აქ 3 კმ-დაა. ხოლო უდიდესი სიგრძე—1 კმ-ზე მეტი. ეს ტერასაც სასოფლო-სამუშაოების ფართობს წარმოდგენს.

რაც შეეხება დანარჩენ ტერასებს, ისინი გვხვდებიან მხოლოდ ზემოაღნი-შნულ სერებზე. ტერასები ზოგიერთ შემთხვევაში ძლიერ ვიწრო ზოლის სახით არის წარმოდგენილი, მაგრამ უდიდესი მათგანი, რელიეფის ხელსაყრელობის გამო, გამოყენებულია დასახლებისათვის და ამიტომ ბუნებრივი სახე შენარჩუნებული არ აქვთ; ამასვე უწყობს ხელს, ტერასების გავრცელების რაონტში, მეწყრული პროცესების ფართოდ განვითარება.

მდ. მდ. ტოლისა და ხეანჭეარის ლელეთა წყალგამყოფი, რომელიც ტერა-სების გავრცელების ზოლში შედის, წარმოადგენს მდ. რიონის კალაპოტისაკენ თანაბრად დახრილ. თითქმის იღეალურად ბრტყელ ზედაპირს და დაახლოებით 3 კმ სიგრძისაა: ზედაპირის სიგრძე საშუალოდ 300—400 მ უდრის. ზედაპირი ბ. მეურეტის [9] და ალ. ჯანელიძის [8] მიერ განიხილება როგორც მთის მდი-ნარის გამონაზიდი. რომ იგი გამონაზიდი მასალით არის აგებული, ამაში ეჭვის შეტანა არ შეიძლება. მაგრამ მასალის დალექვაში ეტყობა გარკვეული კანონზომიერება: კერძოდ, ჭრილში, კარგად ჩანს, რომ ადგილი აქვს წვრილ და მსხვილმარცელოვანი მასალის მორიგეობით დალექვის ფაქტს, რაც წყალმცირობის და წყალუხვების მორიგეობაზე მიგვითითებს.

აღწერილი ზედაპირი ტოლის სასოფლო საბჭოს ჩრდილოეთით მთავრდე-ბა რიონის დონიდან 200 მ სიმაღლეზე. ამ აღვილს ერთზიული ზედაპირის სახე ექვს; მის ძირში მდებარეობს მდ. რიონის მე-5 ტერასა (160—165 მ). იმის კითხვა — რა დამოკიდებულება არსებობს აღწერილ ზედაპირსა და რიონის ტერასებს შორის? როგორც აღინიშნა, ზედაპირი ამავე დროს წყალგამყოფს წარმოადგენს; კველა დანარჩენი, მისი პარალელური წყალგამყოფები ტერასე-ბის გავრცელების რაონტშია. ამ ზედაპირზე კი არსად ტერასა არ გვხვდება, მიუხედავად იმისა, რომ მისი სიმაღლე არ განსხვავდება მეზობელი წყალგამ-ყოფებიდან. აქერთად, რომ ზედაპირის წარმოშობამდე აქ მდ. რიონის მაღალი ტერასები (მე-6, 7, 8, 9) არსებობდა, მაგრამ ისინი გადაირცხენ რიონის შემ-დინარის მიერ და შემდეგ მოხდა განხილული ზედაპირის ამგებელი მასალის დალექვა, ე. ი. ზედაპირი მდ. რიონის მე-5 ტერასზე უფრო ძველია და მე-6—9 ტერასებზე ახალგაზრდა.

ძირითადი დასკვნები

1. რაიონის სამსახური ნაწილში რელიეფის სუბაერალური განვითარე-ბა და დაიწყო სამატის შემდგომ ჰერიოლში, როდესაც რელიეფის სრული ინ-ვერსია მოხდა და ჰიდროგრაფიულმა ქსელმა სამხრეთული მიმართულება მი-იღო; ჩრდილო ნაწილი ამ სტადიაში უკვე შეუა მესამეულიდან შევიდა.

2. მეოთხეულში რაიონისა განიცადა საკალი ძლიერი გაყინვარება. რომ-ლის ცენტრის ჰიდროსამსახურის მასივი წარმოადგენდა. ლეჩეუმის ქედზე გაყინვარების ნიშნები თთქმის არ გვხვდება. მაგრამ ქედს, რომლის სიმაღლე 3000 მ აჭირდებს, არ შეიძლება გაყინვარება არ განეცდოს; საკმე იმაშია, რომ ფიქლებში, რომლთაც ქედია აგებული, დღემდე ვერ შემოვინახეს გაყინ-ვარების ნიშნები.

3. გაყინვარების შემდგომ პერიოდში მოხდა რიცეულის, რიონის და ლუ-
ხუნისწყლის ხეობათა გამკვეთი, ანტეცედენტური უბნების გაფორმება კლდის-
უბნის, ხიდიკრის და ჯავისას მიღამოებში. მდ. ხეორისწყლის მიერ მდ. სულის გადა-
რულის მოტაცება და სხვა.

4. მდ. რიონის ხეობის მარჯვენა ფერდობზე, კვაცხუთ-ლვარდის მონაკ-
ვეთზე, გვხვდება მკაფიოდ გამოხატული ჭალისწედა 9 ტერასა, რომელთა შო-
რის განსაკუთრებული სიფართოვით გამოიჩინება პირველი და მეორე ტერასა,
რომლებიც ხეობის მარცხენა ფერდობზე თთქმის არ გვხვდება. მთის მდი-
ნარისათვის უჩვეულოდ ფართო და ცალ მხარეზე განლაგებული ტერასების
ასებობის ფაქტი იმაზე მიგვითოვებს, რომ ადგილი აქვს მარჯვენა მხარის
ტექტონიკური ხასიათის აზევებას, რაც მდინარის სამხრეთისაკენ გადაადგი-
ლებას იწვევს. ასეთივე მდგომარეობა არის მდ. ლუხუნისწყლის ხეობის მარ-
ჯვენა ფერდობზე, სადაც ჭალისწედა 6 ტერასა არის წარმოდგენილი, ხოლო
მარცხენაზე არც ერთი არ გვხვდება.

С. Н. НЕМАНИШВИЛИ

К ГЕОМОРФОЛОГИИ СЕВЕРНОЙ ЧАСТИ НИЖНЕЙ РАЧИ

Резюме

Исследуемый район расположен на южных склонах Лечхумского хребта. Он охватывает бассейны рек Аксискали, Рицели, Лухунискали и Сонтаруда. В район входят части Рачинского синклинального понижения и Лечхумского хребта. Синклинальное понижение в свою очередь состоит из собственного понижения занятого долиной р. Риони и северного крыла синклинали, образующего моноклинальные хребты Сочибы и Сазлио. В районе Лечхумского хребта выделяется хребет Чуткаро-Купра, представляющий собой наиболее высокую часть исследуемого нами района.

В формировании современного рельефа района главную роль играли литология, тектоника, четвертичное оледенение и эрозионно-денудационные процессы.

В районе выделяются следующие типы рельефа:

1. Высокогорный рельеф с признаками древнего оледенения и оползнями, развитый на субстрате сланцев, известняков, песчаников валанжина и сп. и верх. юры и сланцев лейаса.
2. Среднегорный горно-долинный, сильно расчлененный эрозией рельеф, выработанный в толще сланцев верхнего лейаса.
3. Высокогорный диабазовый и порfirитовый массив Чутхаро-Самерсхле, с современным и древним оледенением.
4. Среднегорный горно-долинный рельеф, развитый на порfirитовой свите байоса и известняках мела.
5. Правый склон долины р. Риони террасированный с развитием оползней, выработанный на субстрате глин, песчаников, известняков и мергелей олигоцена, нижн. и средн. миоцена и сарматы.

ქვემო რაჭის ჩრდილო ნაწილის გეომორფოლოგიური რუკა

მეოთხინა ს ნებისმიერილმა



ტ ე ლ ი კ უ ს ტ ი კ პ ბ ი

1. მაღალმდელი ტერაინი ტერაინი გამომდინარებული ნიშნებით და მეტყედას განვითარებით, გამომდინარებული და ლანგონი, შეა და ხედა აუზის მოწყვეტილი და მიმართ ტერაინის, კრიკებისა და ზედა აუზის ტერაინების სუბატულებებს.
2. საზღვრო სისაუკლას მათ-ხედით, კრისით ტერაინი და მეტყედას რელიეფი, გამომდინარებული ხედა და კრიკების ტერაინი.
3. ტერაინის სისაუკლებებს მათ-ხედით და მათ-ხედის მიმართ, თანამეტივე და ძლიერ განვითარების გამოყენების მიზანი.
4. საზღვრო სისაუკლას მათ-ხედით ტერაინი, გამომდინარებული ბათონის პირაფიქირებული წესისა და ცალკეული კრიკების საუკლებები.

ტ ე ლ ი კ უ ს ტ ი კ პ ბ ი

5. მდ. რიონის ხეობის მეტყედას ტერაინის მიმღები, მეტყედას განვითარებით, გამომდინარებული იულიუსი, შეა და ძლიერ მიმღები და სამარტინი იულიუსი, კრიკებისა და მეტყედას სუბატულების სუბატულებებს.
6. მდინარეები ტერაინი, 7. გამოსილების კარტული, 8. ანტეკლინიური სუბატულები, 9. თანამეტივე კრიკები, 10. ძლიერ კონკრეციული ტერაინი, 11. ბათონის მიმღებული მეტყედა, 12. ძლიერ კონკრეციული ტერაინი, გარემოებრივი სუბატულები, 13. ტერაინი ხეობა.

Основные выводы: 1. В южной части района субальпийское развитие рельефа начинается после сарматы, когда происходит полная инверсия рельефа и гидрографическая сеть получает южное направление; северная часть находится в этой стадии уже с середины третичного времени. 2. В четвертичное время высокогорная и частью среднегорная полосы района испытывали довольно сильное оледенение, центром которого являлся массив Чутхаро-Самерцхле. 3. В последниковое время произошли образование сквозных, антecedентных участков долин рек Ришеули, Риони и Лухунисцкали и перехват р. Серула рекой Хеорисцкали. 4. На правом склоне долины р. Риони между с. Квашхути и Гвардии расположены отчетливо выраженные 9 террас (I. 10—15 м, II. 25—30 м, III. 55—60 м, IV. 125—130 м, V. 170—180 м, VI. 200—230 м, VII. 250—270 м, VIII. 280—300 м, и IX. 340—380 м, среди которых наиболее развиты первая и вторая террасы, почти отсутствующие на левом склоне. Развитие полной серии террас почти исключительно на одном склоне долины, свидетельствует о тектоническом поднятии этого склона, вызвавшем смешение реки к югу. Такое же положение наблюдается на правом склоне долины р. Лухунисцкали, где имеются 6 надпойменных террас, которые совершенно отсутствуют на левом склоне.

ლიტერატურა

1. ვახუშტი ი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, სტალინის სახ. თ. ს. უ. გამომცემლობა, თბ., 1941.
2. კაჭარავა ივ. მესამეულის ნალექების გეოლოგიური განაკვეთი ს. ამბროლაურთან, „უნივერსიტეტის მთაბმბე“, ტ. 8, 1928.
3. რუბინ შტეინი მ. საქართველოს გეოტექტონიკური დანაწევრების პრობლემისათვის შრომათა კრებული, საქ. სსრ მეც. კად. გეოლოგიის და მინერალოგიის ინსტიტუტი, 1951.
4. ჯავახიშვილი შ. კოლი ალ., საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, გეომორფოლოგია, 1926.
5. ჯანელიძე ალ. გეოლოგიური და პალеონტოლოგიური ნარჩენი, „ტურისის უნივერსიტეტის მთაბმბე“, ტ. VI, 1926.
6. ჯანელიძე ალ., თბილისის მეცნიერებები და მეცნიერული მოვლენების გეოლოგიური მნიშვნელობა, სტალინის სახ. თსუ სამეცნიერო სესიები № 1, მთხელებთა კრებული (2—4. III. 46).
7. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, АН СССР, М.—Л., 1947.
8. Джанелидзе А., Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума, Гр. Фил. АН СССР, 1940.
9. Мейфферт Б. Ф., Геологические исследования в рачинском уезде Западной Грузии в 1928 г., Мат. по общ. и прикл. геологии, вып. 140, 1930
10. Мейфферт Б. Ф., Геологический очерк Лечхума, Мат. по общ. и прикладной геологии, вып. 140, 1930.
11. Раде Г., Путешествие в Мингрельских альпах и в трех их верхних продольных долинах (Рион, Цхенис-Цкали и Ингур), Записки КОГГО, кн. 7, 1866
12. Рябинин А. Н., Через Чанчахский перевал, Геологические исследования, 1912, Сб. Геол. исслед. в области перев. жез. дороги через Гл. Кавк. хр., СПБ, 1914,
13. Смирнов, Г. М., Геологическое описание части Рачинского уезда Кутансской губернии, Мат. для геол. Кавказа, сер. 3, кн. 7, 1909.
14. Чиракадзе Г. И., Основные черты климата бассейна р. Риони от ее истоков до устья р. Квирила, Тр. географ. общ. Грузии, т. 1—2, 1949

გ. ჩახაშვილი

ძველი რაცის სამხრეთი ნაწილის გეოგრაფიული ინდიკატორი

I შესავალი

1. მდებარეობა, საზღვრები და მორფოგრაფიული თავისებურებანი. საკულევი ტერიტორია მდებარეობს რაჭის სამხრეთ ნაწილში, მდ. რიონის მარცხენა მხარეზე და კავკასიონის სამხ. ფერდობის წინა ნაწილს მოიცავს. იგი აღმინისტრაციულად შედის ამბროლაურის რაიონში, ხოლო მისი აღმ. მცირე ნაწილი ონის რაიონის ფარგლებშია.

ჩრდ. საზღვარი ემთხვევა მდ. რიონს, სს. ზუდალსა და ზედა ლვარდის შორის, ალმისავლეთი საზღვარი მდ. ხეორას აუზის აღმ. წყალგამყოფ ხაჩის მიუკვება, გადაღის ფოცხვრევის ქედის ოხემზე (მწ. 2404,7 მ) და ამ უკანასკნელზე გავლით რაჭის ქედის ოხემამდე გრძელდება. აქედან რაიონის სამხრეთი საზღვარი იწყება, რომელიც გასდევს რაჭის ქედის ოხემურ ხაჩს დას. მიმართულებით და გრძელდება მდ. რიონამდე—ჩრდ. საზღვრის საწყისამდე. მოცემულ საზღვრებში საკულევი ტერიტორიის ფართობი 672 კმ² უდრის.

საკულევი ტერიტორია რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთული ფრთის ნაწილს იყვნებს და საქამაოდ როსლი რელიეფით ხასიათდება. აქ გვხვდება ქედები, რომელთა სიმაღლე 1500—2400 მ ფარგლებში მერყეობს; გვხვდება აგრეთვე დაბალმთან-ბორცვიანი და ტერასიებული რელიეფი, ღრმა ციცაბო ფერდობიანი და ვიწროლისკერიანი ხეობები, იდგილ-ადგილ კანიონებით, აგრეთვე მდ. რიონის ხეობის ფართო და შედარებით ბრტყელი ფსკერი. მხარეს საერთო დახრილობა სამხ.-დან ჩრდ.-კენ აქვს; ამასთან ერთად შეინიშნება აღმ-დან — დას-კენ დახრილობაც.)

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორია მორფოგრაფიული თავისებურების ზონებით, შეიძლება სამ ნაწილად გაყვოთ: 1. რაჭის ქედი თხემური ზოლი, 2. მდ. რიონის ხეობა და 3. მათ შორის მოთავსებული მთა-ხეობიანი ზოლი.

ც საკულევი ტერიტორიის სამხ. ნაწილი წარმოდგენილია რაჭის ქედის ოხემით: ამ უკანასკნელის ჩრდ. საზღვარი შეიძლება გავატაროთ მდ. მდ. შარეულისა და შორაზე, სს. სხევაზე, ფუტიეთზე, მთისკალთის ჩრდ. 2 კმ-ზე, ქორთამდე. იგი ხასიათდება მთა-გორიანი, სერებიანი და წვრილ ტაფობიანი რელიეფით.

ქედი ასიმეტრულია, ჩრდ. ფერდობი დამტეცი და უფრო განიერია, ზოგ აღგილს გვხვდება მცირე ზომის ქარაფები. სამხ. ფერდობი ხასიათდება მაღალი (200—400 მ) ქარაფებით და ძლიერ დახრილი რელიეფით. რაჭის ქე-

დის ოხემი მწვერვალებისა და უნაგირების მორიგეობით ხასიათდება. მწვერვალებიდან შეიძლება ღლვნიშნოთ: ფოცხვრევი (2405 მ), ხიხათა (2243 მ), ველტყევი (1927 მ), საწალიკე (1997 მ), უსახელო (1829 მ), ნაქერალა (1371 მ), წმ. გორგის (1828 მ), თავშავა (1760 მ) და სხვა, ხოლო უნაგირებიდან შემერის, უდაბნოს. შეიცანას, დოლწყვერის მთის, ნაქერალის, თბმორის და სხვ. ხსენებულ მთება და უნაგირების შორის სიმაღლეთა სსვაობა 200—500 მ ფარგლებში მერყეობს. ქედის ჩრდილო ფერდობის საერთო დახრილობა გართულებულია სერებით. ბორცვებით, ფლატებით, ძაბრებით, დოლინებით, პოლიგონი და სხვ. რაც რელიეფს უსწორმასწორო ხასიათს აძლევს.

რაჭის ქედისა და მდ. რიონის ხეობას შორის მდებარე სივრცე ხასიათდება, საშუალომთიანი, სერებიან-ბორცვიანი და ხეობიანი რელიეფით. აქ მთების სიმაღლე 1000—1500 მ ფარგლებში მერყეობს; გვხდება საკმაოდ ღრმა და ვიწრო ფსკერიანი ხეობები (ხეორა, ბარულა, კრისულა, ზნაკეურა, შარეულა და სხვ.), რომელიც ზოგ ადგილას კანიონის ფორმას ატარებს. ამასთან ერთად ეს ზოლი ტბების სიხშირითაც ხასიათდება.

მდ. რიონის ხეობა ხასიათდება გორაქ-სერებიანი, ტერასირებული რელიეფით. თვით ხეობის ფსკერი ხასიათდება სუსტი დახრილობით (0,007), საკმაოდ ფართეა (300—400 მ), მდ. რიონი მასზე შეკანდრებს ჰქმნის, ინვითარებს კუნძულებს და ფართო რიყებს; რიყის ტერასებზე ხშირია გამოზიდვის კონუსები. ხეობის ფორმა ზოგ ადგილას კანიონისებურია (სს. სორის, წესის და ზ. ღვარაძისის ქვემოთ).

2. გეომორფოლოგიური შესწავლის ისტორია. საკვლევი ტერიტორიის შესახებ პირველი გეომორფოლოგიური ცნობები მოგვცა ცნობილმა ქართველმა გეოგრაფმა გახუშტი ბაგრატიონმა, XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში. ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა [1]. იგი ეხება საკვლევი ტერიტორიის რელიეფის ძირითად ფორმებს (მთებს, ხეობებს, კარსტულ ძაბრებს, ტბებს და სხვ.); იხილავს რაჭის ქედს და მის ცალკეულ მასივებს, მდინარეებს. აღწერილი აქვს ზიდიფირის და ხეორას კანიონი, სხევას საყინულე, მეორე ხარისთვალის ტბა და სხვ. ნაშრომი ძირითადად მორფოგრაფიული ხასიათის მისალას გვაძლევს.

თითქმის ერთი საუკუნით შეჩერების შემდეგ, XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან იწყება საქართველოს და მასთან ერთად ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის ტოპოგრაფიული კატასტერება და აღწერა, მისი ზოგადი გეოლოგიური და გეოგრაფიული შესწავლა (პ. აბითი 1865 წ., ს. სიმონოგაძი 1880 წ., გ. სიმონოვი 1909 წ., ნ. სალაცი 1866 წ., გ. რადე 1866 წ., კრაკერი 1870 წ., ვ. ლისოვსკი 1896 წ., მაევსკი 1896 წ., ვ. ლეონოვი 1902 წ., ი. პანტიუხოვი 1899 წ. და სხვ.). ხსენებულ ნაშრომებში ძირითადად მოცემულია მორფოგრაფიული ხასიათის მასალა და ისე, როგორც ვახუშტის ნაშრომს, მათაც, ანემიდ ისტორიული მნიშვნელობა აქვთ.

საბჭოურ პერიოდში იწყება საქართველოს და მასთან ერთად საკვლევი ტერიტორიის გეგმიანი და სისტემატური გეოლოგიური, გეოგრაფიული და გეომორფოლოგიური შესწავლა. გეოლოგიურ ნაშრომებში (ა. ჯანელიძე, ბ. შეფერტი, ი. კაჭარავა და სხვ.) მოცემულია რელიეფის ენდოგენური ფართოების (ლითოლოგია, ტექტონიკა) დახასიათება. ფიზ. გეოგრაფიული (ნ. გოზე-დეცი, ბ. დობრინინი) და გეომორფოლოგიური (ა. გავახიშვილი, ი. შჩუკინი,

ს. კუზნეცოვი, ა. რეინჰარდი) ნაშრომები ეხება კავკასიას, ამიერკავკასიას და საქართველოს, ამიტომ ამ დიდი სიერტის ფონზე, საკვლევი ტერიტორიის შესახებ გეომორფოლოგიური მასალა ზოგადი სახით არის წარმოდგენილი. ავტორებს მოცემული აქვთ საქართველოს ტერიტორიისთვის ერთად ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის გეომორფოლოგიური დარაიონება, რომელიც უფრო სრული სახით წარმოდგენილი არის ა. ჯავახიშვილის ნაშრომში [9]. ამ უკანასკნელის დაყოფით საკვლევი ტერიტორია თავსდება შემდეგ გეომორფოლოგიურ რაიონებში — „კირქვიანი კარსტული რელიეფი“ და „ბორცვიანი რელიეფი“, განვითარებული მესამეულ სინკლინურ დეპრესიაში“. მოცემულია მათი მოკლე დახასიათება.

ჩვენთვის საინტერესო ტერიტორიის სამხრეთ ნაწილის (შაორის ტაფობის და მისი მიდამოების) გეომორფოლოგიური დახასიათება მოცემულია შ. ყიფუანის¹ და ა. ჯავახილის [10] ნაშრომებში. რომლებიც დიდი რაოდენობის ფაქტობრივ გეომორფოლოგიურ მასალას შეიცავენ.

II ჩალიერი ტიპები და მათი განვითარების აღიონები

ქვემო რაჭის სამხრეთ ნაწილში, რელიეფის გენერულ თავისებურებათა (მორფოგრაფია, ლითოლოგია, ტექტონიკა, ეროზია, კარსტი, მეწყრები და სხვ.) გათვალისწინების საფუძველზე, გამოვყოფთ რელიეფის ორ ტიპს, შესაბამისი რაიონებით.

1. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთული ფრთის, კირქვიანი ზოლის, საშუალო და დაბალმთიანი, ტექტონიკურ-ეროზიული და კარსტული რელიეფი, განვითარებული ცარცულის და ეოცენის კირქვების, მერგელების და ქვიშაქვების სუბსტრატზე (ამ ტიპში გამოვყოფთ რელიეფის სამ ქვეტას).

2. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინური დეპრესიის ბორცვიანი, ტერასირებული და მეწყრული რელიეფი, განვითარებული მესამეული თიხების, მერგელების, ქვიშაქვების, კირქვების და მეოთხეული ალუვიონის სუბსტრატზე.

1. რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის სამხრეთული ფრთის კირქვიანი ზოლის საშუალო და დაბალმთიანი, ტექტონიკურ-ეროზიული და კარსტული რელიეფი, განვითარებული ცარცულის და ეოცენის კირქვების, მერგელების და ქვიშაქვების სუბსტრატზე

რელიეფის ეს ტიპი მოიცავს რაჭის ქედის თხემს (ფოცხვრევის ქედთან ერთად) და ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის იმ ზოლს, რომელიც კირქვებით არის ავებული და რიონის ხეობამდე ვრცელდება. ამ ტიპისათვის დახასიათებელია საშუალო და დაბალმთიანი, ტექტონიკურ-ეროზიული და კარსტული რელიეფი.

რაჭის ეს ნაწილი ძირითადად აგებულია ცარცული და ნაწილობრივ ეოცენის ნნოვანების კირქვებით, მერგელებით, თიხებით და ქვიშაქვებით [4, 10].

¹ შ. ყიფუანი, შაორის ამოქვაბულის გეომორფოლოგიისათვის, თბილისის სტალინის უნივერსიტეტი (დისტრიცია), 1938.

15). ლითოლოგის გავლენა რელიეფის ფორმირებაში შესამჩნევია, რაც შეპირობებულია კირქვების თავისებურებით. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია ბარემული ნალექები (ქვედა ცარცუ) ურგონული კირქვების სხით; იგი რაჭის ქედზე ფართოდ არის წარმოდგენილი. მისი ადგილად დაკარსტების გამო ამ რაიონში კარსტული მოვლენები დიდი ინტენსივობით ხსიათდება.

საკულტო ტერიტორია ხასიათდება როული ტექტინიკური აგებულებით. იგი შედის კავკასიონის სამხრეთი ფერდობის ნაოჭა ზონის, რაჭა-ლეჩხემის სინკლინში. ეს უკანასკნელი წარმოდგენილია რაჭა-ლეჩხემის სინკლინით, რომლის სამხრეთი ფრთის შუა ნაწილი საკულტო ტერიტორიას უკავია. ხსნებული სინკლინის სამხრეთი ფრთა გართულებულია ანტიკლინებით, სინკლინებით და რღვევებით, რაც მეაფიოდ არის არეულილი რელიეფში, ამიტომ სტრუქტურულის სირთულე შესაბამისად არის გამორჩებული რელიეფის სირთულით. ჯე არსებულ ანტიკლინებს მეტწილად დაფებითი ფორმები შეესაბამება (რაჭის ქედი, ფოცხვრევის ქედი, ხორევის სერი და სხვ.), სინკლინებს—დადაბლებები (შაორა-ხორევის, შემერის და სხვ. დადაბლებები). ხოლო რღვევებს უმეტეს ადგილას ქარაფები (რაჭის ქედის სამხრ. ფერდობი, ფოცხვრევის და ხიხათას ქედების ჩრდ. ფერდობი და სხვ.). აღსანიშნავია, რომ ტექტინიკურ ხაზებს, ძრითადად საერთო კავკასიური მიმართულება აქვთ. ხოლო ეროზიული დანაწევრება (გარდა რიონის) მათ გარდიგარდობით ხდება.

რელიეფის სახის შექმნაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს, აგრეთვე, ლითოლოგია, ეროზია და კარსტი; ეროზია რაიონის ჩრდილო ნაწილშია კრაგად გამოხატული. ხოლო კარსტი სამხრეთ ნაწილში. მათი გავლენით რელიეფის მნიშვნელოვანი სხვადასხვაობა იქმნება.

განსახილველ რელიეფის ტიპში გამოყოფით რელიეფის სამ ქვეტიას.

I-ა. რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობის საშუალომოთიანი, ნაოჭა-ნარლვევი სტრუქტურის შენონე, მთაგორიან-კარსტული რელიეფი: განვითარებული ქვედა ცარცუის ურგონული ფაციის კირქვების, მერგელების და ქვიშაქვების სუბსტრატზე

რელიეფის განსახილველი ქვეტიაში მოიცავს რაჭის ქედს და მის აღმოსავლეთ ნაწილში ჩრდ.-დას-ქენ განშტოებულ ფოცხვრევის ქედს. ხსნებული ქედების რელიეფში კრაგად გამოყოფილ ორგორაფიულ ერთეულს წარმოადგენენ. რაჭის ქედი სამხ.-დან, ხოლო ფოცხვრევის ქედი ჩრდ.-დან, მეზობელ აღგილებილან გამოყოფილია რღვევებით შეპირობებული მაღალი (200—400 მ) ცალი ფერდობებით, ხოლო ჩრდილოეთით (ფოცხვრევის ქედი კი სამხ.). ქედის ძირი შესამჩნევად არის გამიღნული ქვემთ რაჭის დაბალმთიან გორაქ-სერებიან რელიეფიდან.

რაჭის ქედი გომორფოლოგიურად გაგრძელებას პოულობს დასავლეთით ხვამლის და ასხის კირქვიანი მთების სახით, ხოლო აღმოსავლეთით იგი სამხრეთი სეეონის ტერიტორიაზე კავკასიონის თხემამდე უწყვეტად ვრცელდება. ქედი უდიდეს ნაწილში წარმოადგენს საშუალომოთიან ქედს, მწვერვალების სიმაღლე 1500—2000 მ ფარგლებში მერყეობს. ქედის აღმოსავლეთ ნაწილში (ფოცხვრევი, ხიხათა) თხემების სიმაღლე 2200—2400 მ ფარგლებში ცვალე-

ბადობს. რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობი, ანტიკლინის ფრთას წარმოადგენს და საერთოდ სტრუქტურული რელიფით ხასიათდება. მისი თხემი რაჭის ანტიკლინის თაღიდან რამდენაზე ჩრდილოეთით მდებარეობს, ეს უკანასკნელი, სამხრეთით. 2—3 კმ მოშორებით გადის. ქედის თხემი ხასიათდება მთებისა და უნაგირების მორიგეობით, სამხრეთიდან ქარაფოვნებით; ხოლო ჩრდილოეთით უმეტესად რელიფის თანადანობით დადაბლება ხდება.

რაჭის ქედი ძირითადად აგებულია ქვედაცარცული კირქვებით; რომლის ფუძე იურული ნალექებით არის წარმოდგენილი. კირქვების ინტენსიური დაკარგებების გამო, რასაც ხელს უშენობს ნოტიო კლიმატი და ბრტყელი რელიფი, ქვერაობში უხვად გვხვდება კარსტული ფორმები—კარრები, ჰები, ძაბრები, ღოლინები. მღვიმები და სხვა. რაც ჰემის ტიპობრივად განვითარებულ კარსტულ ლანდშაფტს. საკვლევ ქვერაონში კარსტის სამი მთავარი უბანი გამოიყოფა— ნაქერალას (წმ. გორგის), საწილეის და ველტყევის მთების მიდამოები.

ნაქერალას ქედი წარმოადგენს ჩრდილოეთისაკენ დახრილ პლატოსებურ მასივს. ამავე მიმართულებით არის ორიგტირებული ამგებელ შრეთა დახრაც. ზედამირი ხასიათდება კარსტული რელიფით და ზედამირულ მდინარეებს მოკლებულია; ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს ს. თხმორის მიდამოები. სადაც ამომზეურებულია ზედა იურული თხები. მერგელები და ქვამაქვები; აქ შეშრული და ერთხმიული მოვლენები ინტენსიურად არის განვითარებული. რის შედეგადაც ეს დევილი მეზობელ ადგილებიდან მნიშვნელოვნად არის გამოყოფილი და დადაბლებული (ამას ხელს უშენობს აქ გამავალი სინკლინიც).

ნაქერალას ქედზე (თხმორის მიდამოების გარდა) ხშირად გვხვდება კარსტული ძაბრები; დეპრესიებს, რომელიც ამდგრინდებ ძაბრის შეერთებით არის წარმოქმნილი. ჩრდილოეთისკენ წაგრძელებული ფორმა აქვთ. ამგვარი ფორმები რამდენიმე ადგილს გვხვდება: აღსანიშნავია „ძეველახოს“ დეპრესია, რომელიც ს. სინათლის სამხრ.-დას. 3—3,5 კმ მდებარეობს. მისი სიგრძე 1 კმ აღწევს. ხოლო სიგანე — 50 მ-და. იგი გარშემორტყმულია ტყით დაფარული მალალი ადგილებით. რომელთა შეფარდებითი სიმაღლე 50—150 მ ფარგლებში მერყეობს. ფსკერი ვაკე ველობს წარმოადგენს. აქ გვხვდება კარსტული ძაბრები. ორ მათგანში წყალია ჩაგუბებული. ერთის ღიამეტრი 60—65 მ უდრის. სილრმე 3 მ-ზე მეტია, ხოლო მეორეს ღიამეტრი — 25—30 მ. სილრმე კი 1,5 მ. ხსენებული დეპრესიიდან სამხ.-დას. 3 კმ-ზე გვხვდება მეორე დეპრესია — „გობსათიბი“; მისი სიგრძე 150—160 მ. სიგანე 80—100 მ. სილრმე კი 15—20 მ. ფსკერზე გვხვდება 2—4 მ სილრმის ძაბრები. გობსათიბის სამხ.-დას. 1,5 კმ-ზე გვხვდება ვრცელი ველი, ე. წ. „ბერების საობის“, იგი რამდენიმე დოლინის შეერთებით არის წარმოქმნილი და სიღილით პოლიეს უახლოედება; მისი სიგრძე 1,5 კმ აღემატება, სიგანე 150—250 მ-და. სილრმე 30 მ-და. იგი მთლიანად მოფენილია კარსტული ძაბრებით, რომელთა უმრავლესობის სილრმე 15—18 მ-და აღწევს, ხოლო ღიამეტრი კი 40—50 მ. ნაქერალას ქედის თხემის მახლობლად, წმ. გორგის საყდრის მიდამოებში, დიდი ზომის კარსტული ძაბრები მრავლადაა; უფრო აღმით 2—2,5 კმ -ზე გვხვდება დეპრესია „საჯინიბო“; მისი სიგრძე 800 მ-და, სიგანე 500 მ-და, სილრმე 60 მ.

მის ფსკერზე გვხვდება ძაბრები, რომელთა დიამეტრი 30—50 მ-დეა, ხოლო სიღრმე 10—30 მ-დე. საჯინიბო წარმოადგენს კარგ საძოვარს.

კარსტული რელიეფი ძაბრებით, ჭებით და მღვიმეებით კარგად არის გამოხატული ნაქერალს ჭედის აღმ. ნაწილში (უდელტეხილის მიდამოებში). მრავალრიცხოვანი ჭების სიღრმე 10—20 მ აღწევს, დიამეტრი კი 0,5—1,5 მ.

კარსტული მოვლენების მნიშვნელოვან უბანს წარმოადგენს საწალიკის მთის მიდამოები. მისი შედარებით ნაზი ზედაპირი, რომელსაც საერთო დახრა ჩრდილოეთური (მრების ვარდის) მიმართულების აქვს, ტაფობ-ბორცვიანია. გვხვდება კარგად გამოხატული კარსტული ძაბრები, დეპრესიები და კარნიზები; ამ უკანასკნელით რელიეფი მნიშვნელოვან არის გართულებული. კარსტული ძაბრები ფართოა, მათი დიამეტრი 100—150 მ აღწევს, სიღრმე 20—25 მ-დან 60—80 მ-დე აღწევს. საწალიკის მთის დას. ფერდობზე გვხვდება ორი ლრმული, რომელიც ერთი მეორის პარალელურად გრძელდებიან, ჩრდ.-დას. მიმართულებით, ს. თლულისკნ მიმავალი გზის გაყოლებით. მათი სიგრძე 1 კმ აღემატება, შიგ განვითარებულია უზარმაზარი ძაბრები. მათი სიღრმე 60—80 მ აღწევს, დიამეტრი კი — 150 მ. აღმ. ლრმულის სამხრეთ ნაწილში, ერთ-ერთ ძაბრში ჩამდგარია ტბა 80—120 მ დიამეტრით და 1—1,5 მ სიღრმით. სწალიკის მთის შუა ზოლშიც ხშირად გვხვდება კარსტული ძაბრები და რამ-დენიმე დეპრესია (ლრმული); ამ უკანასკნელთა გრძელი ლერძი ჩრდ. არის ორიენტირებული. აქ ასებული კარნიზები, რომელთა სიგრძე 200—500 მ უდირის, ხოლო სიმაღლე 10—30 მ მიეცაულია სამხრეთისაკნ, რაც შეცემის ჩრდ. ვარდნით არის შეპირობებული.

ველტყევის მთის მიდამოებიც, ასევე შესანიშნავია კარსტული მოვლენებით, მის ნაზ რელიეფში გამოირჩევა კარსტული ძაბრები და ლრმულები. გვხვდება უზარმაზარი კარსტული ძაბრები, რომელთა დიამეტრი 200—300 მ-დე აღწევს. ხოლო სიღრმე 50—60 მ-დე. ველტყევის მთის ჩრდ.-აღმ. ფერდობზე ასებობს დიდი ლრმული. რომლის სიგრძე 1 კმ აღემატება, სიგანე 200—250 მ. იგი განენილია რამდენიმე დიდი კარსტული ძაბრის შეერთებით. ამ უკანასკნელთა ფერდობებზე გვხვდება პატარა ძაბრები (4—5 მ დიამეტრის და 2—3 მ სიღრმის), დასავლეთი ერთ-ერთ ძაბრში მოთავსებულია ტბა 20—25 მ დიამეტრის და 3—3,5 მ სიღრმის. მ. ველტყევსა და მ. ხიხათას შორის მდებარე უნაგირა („უდაბნოს“) სამხრ. ასებობს ლრმული, რომლის სიგრძე 600—700 მ, ხოლო სიღრმე 20—25 მ. მას ფერდობებზე მრავალი ძაბრია განვითარებული. ხიხათას ჭედის სამხ. ფერდობის ჭვედა ნაწილში კარსტული ძაბრები ნაკლებადაა; ისინი ფართეა და მცირე სიღრმით ხასიათდებიან. ჭედის თხემური ზოლი ნაზი რელიეფთა განიჩევა, სადაც კარსტული ფორმები თითქმის არ გვხვდება. ჩრდ. ფერდობი წარმოდგენილია მაღალი (200 მ) კარა-ფით, რაც შეპირობებულია როვევით. ქარაფში გვხვდება კარსტული მღვიმეები.

საკვლევი ტერიტორიის აღმ. საზღვართან რაჭის ჭედს გამოიყოფა ფოცხვრევის ანტიკლინური ჭედი, რომელიც ჩრდ.-დას. მიმართულებით ს. მთისკლ-თამდე გრძელდება (მ. ფოცხვრევი 2405 მ, მ. პირწითელა 1966 მ). ჭედი მდ. ჩეორას ხეობით გარდიგარდმოდ არის გაკვეთილი, ხეობას ანტეცედენტური ხასიათი აქვს და ჰქმნის შესანიშნავ კანიონს „ქვაგახეთქილას“ [1]. მისი სიგრძე 1 კილომეტრია, სიღრმე 40—60 მ-დეა, სიგანე დაბლა 2—3 მ, მაღალი კი 5—6 მ. ფოცხვრევის ჭედის სამხ. ფერდობი ხასიათდება ძლიერი დახრილობით

ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გომორჩოლოგიური ნარკევე

(40—60°) და დაუნაწევრებლობით, მის ქვედა ნაწილში გვხვდება 1—2 მ სიღრმის ხრამები, რომლებიც დროებითი ნაკადებით არის გამომუშავებული. ქედის ჩრდ. ფერდობი წარმოდგენილია შალალი (200—300 მ) ქარაფით, რომელიც შეპირობებულია რღვევით. ფოტბურევის ქედი ხიხათს ქედთან ჰქენის სინკლინის, რომლის ძირის რელიეფი წარმოდგენილია გორაკ-ბორცვებით და ტაფობებით. ს. ხარისთვალის დას. 1,5 კმ-ზე არებობს „მეორე ხარისთვალის ტბა“ [1]. იგი კარსტულ ძაბრშია წარმოქმნილი, ღიამეტრი 15 მ, სიღრმე 3,5 მ. ტბის ფსკერზე ამოდის კოკლუზი, რომელიც მდ. ხეორას სათავეს წარმოადგენს. ტბის ჩრდ. 1 კმ ფოტბურევის ქედის სახს. ფერდობზე გამოდის მდლავრი ვოკლუზი „კლდისწყარო“, რომელიც მდ. ხეორას მეორე ტოტს ჰქონის.

ამრიგად, რაჭის ქედზე კარსტული ფორმები მრავლად გვხვდება. ძაბრებსა და დეპრესიების უმრავლესობას ფსკერზე სასულე აქვთ; ატმოსფერული-ნალექები და წყაროები სწრაფად იყონებიან მიწის სიღრმეში და მიწისქეშ შორი მანძილის გავლის შემდეგ კოკლუზების სახით ზედაპირზე გამოდიან ქედის ჩრდ. ფერდობის პერიფერიულ ზოლში. ქედის ზემო ნაწილი, როგორც კარსტულ რელიეფს შეეფერება, ხასიათულა უწყლობობით. ზედაპირული მდინარე აქ თითქმის არ გვხვდება, მის კამი ეროზიული ფორმებიც სუსტად არის წარმოდგენილი. ფერდობის ჩრდ. ნაწილში რამდენიმე ხევის სათავე იჭრება. ხევები არა ღრმა, იშვიათად 5—10 მ-დე აღწევს. ეროზიული ფორმები შედარებით მეტი რომელი გვხვდება რაჭის ქედის ჩრდ. ფერდობის ძირის გაყოლებით, სადაც უფრო მეტი კარსტული წყლების გამოსავლები გვხვდება. ამ წყლების გამოსვლებათ არის დაკავშირებული ქედის პერიფერიულ ზოლში განვითარებული მღვიმეები, რომელთაგან აღსანიშნავია საკუშორეს, ციცვალის, მრავალძალის, სხვადას და სხვ. .

ზემოთქმულიდან შეიძლება დაგასვენათ, რომ განხილული ქვერაონის რელიეფი შეპირობებულია ტექტონიკური და კარსტული პროცესების გავლენით და ამგამად რელიეფის განვითარება უმეტესად მათი მოქმედების შედეგად ხდება.

1-ბ. ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის დაბალმთიანი გორაკსერებიანი, ეროზიულ-კარსტული რელიეფი, ღრმა, V-სებური და კანიონისებური ხეობებით, განვითარებული ზედა ცარცის და ეოცენის კირქვების და მერგელების სუბსტრატზე

რელიეფის ეს ქვეტიპი მოიცავს საკულტურული ტერიტორიის იმ ზოლს, რომელიც მოქცეულია რაჭის ქედსა და რიონის ხეობას შორის (შაორის მიდანი მოების გარდა). ამ ტიპისათვის დამახსიათებელია დაბალი მთების, სერების, გორაკებისა და ხევების არსებობა, გვხვდება ავრეთვე კარსტული ფორმები. მთები და სერები ძირითადად შეპირობებულია ტექტონიკური აგებულების გავლენით.

რელიეფი აგებულია ღიღი სიმძლავრის ზედა ცარცული და ეოცენური-კირქვებით, მერგელებით და თიხებით. კირქვების თავისებურების გამო ქვერაონში გვხვდება კარსტული ფორმები — მღვიმეები, კანიონები, ქვაბურები, ძაბრები და სხვ. მაგარ კირქვებში უფრო მკაცრი ფორმებია განვითარებული, ხოლო თიხებით და მერგელებით აგებულ ადგილებში რელიეფი ნაზ სახეს იძენს.

ქვერაიօნში ერთზული ფორმები მნიშვნელოვან განვითარებას აღწევს. აღსანიშნავია ხევები და ხრამები; ხევები უმეტეს ნაწილში ხსიათდებიან V-სებური ფორმით, ადგილ-ადგილ ციცაბო ფერდობებით და სილმითი ერთზი-ით. ამგვარი ხეობები აქვს მდინარეებს: ხეორას, ბარულას, ხორეულას, კრიხუ-ლას, შარეულას და სხვ. მათი უმრავლესობა კარსტული ხასიათისაა. აღსანიშ-ნავია, რომ ზოგიერთ ხეობაში განვითარებულია კანიონები და საჩქეფები (ხეორა, კრიხულა, შარეულა, პანთა და სხვ.).

მნიშვნელოვანი ერთზული დანაწევრებით გამოიჩინევა სს. სხარტალის, წყალისის, აგარის, ხორევის, სხვავს და გოგოლათის მიღამოები. აქ ხშირი მდინარეული ქსელის არსებობის გამო. ჩელიეფი მნიშვნელოვნად არის დანა-წევრებული ხევებით, ხრამებით, კირქვის ფლატებით და სხვ. კირქვის ფლა-ტებზე გვხვდება გამოქვაბულები (ს. გოგოლათთან, ქვაბთვართან) და მღვიმეები შარეულას და კრიხულას ხევებში.

ამ მხარის მღვიმეთა შორის ყველაზე საინტერესოა ცახის მღვიმე. რომელიც ს. გოგოლათის სამხ.-აღმ. 1.5 კმ მოშორებით. მდ. შარეულას ხეობის მარჯვენა ფერდობზე მდებარეობს. იგი ხეობის ფსექტო-დან 100 — 120 მ სიმაღლეზეა. მღვიმე ოწყება ფართო შესასვლელით (სიგანე 15 მ, სიმაღლე 1.7 — 3.5 მ-დე). მასში სამი განყოფილება გავარჩეთ, რომელიც ურთიერთს ვიწრო ხერელებით უკავშირდებიან; გალმოცემით იგი შეიძიო განყოფილებისაგან შედგება. პირველი სამი განყოფილებიდან, თითო-ეული 80—120 მ სიგრძისაა. დანარჩენი 4 განყოფილების სიგრძე, რომელშიც თავისუფლად გასვლა უკვე შეუძლებელია (გასავალი ხერელი შევიწროების გამო), 800 მ აღემატება, ისე რომ ცახის მღვიმის საერთო სიგრძე 1 კმ აღემა-ტება. მღვიმე მეტად როულია. იგი შედგება მრავალი დარბაზისაგან. რომელ-თა სიგრძე 30—35 მ-დე აღწევს. სიგანე — 20—22 მ-დე. სიმაღლე კი — 8—10 მ-დე. მასში გვხვდება აგრეთვე სხვა მღვიმური ფორმები — სტალაქტიტები, სტალაგმიტები, სვეტება. ფარდები, დერეფნები, ხერელები, ჭბები და სხვ. როგორც ჭერი ისე გვერდები უსწორმასწორობით ხასიათდება. ჭერი ზოგან გუმბათისებურია, ზოგან თაღისებური, ზოგან კი სამუზიკოდისებური. სამწუ-ხარიდ მღვიმეში არსებული იშეიათ სილამაზის ნალვენთი ფორმები განად-გურებულია, განსაკუთრებით პირველ და მეორე განყოფილებაში.

ცახის მღვიმის სამხ. 1 კმ, მდ. შარეულას მარჯვენა მხარეზე, 100 მ მოშო-რებით, გვხვდება მღვიმე, ე. წ. „კანიძის მღვიმე“. მისი სიგრძე 30—40 მ, სი-განე 3—5 მ. სიმაღლე 1—3 მ. მღვიმის ჭერი ბოლოში სიფონს ჰქვინის. მღვი-მიდან კოკლუზი გამოდის. მღვიმე მდიდარია სტალაქტიტებით და სტალაგმი-ტებით.

საყურადღებოა შარეულას მღვიმე [10, 14, 16]. მღვიმიდან გამოდის მდ. შარეულა. მღვიმის შესასვლელის სიმაღლე 10—15 მ, სიგანე 25 მ; შესასვლე-ლის ფსექტოზე წყალია დაგუბებული, რომლის სილმე 2 მ აღემატება, ამ გუბის სიგრძე (ხილულ) 30 მ, სიგანე 10 მ. მღვიმე შორს გრძელდება.

შაორის მღვიმის სამხ.-დას. 300 მ-ზე, ხევის მარცხენა ფერდობის ძირში არსებობს ცივწყალას მღვიმე [10, 14], საიდანაც ცივწყალას კოკლუზი

¹ ს. გოგოლათში მცხ. ლ. ს. კანიძის გადმოცემით იდი 15—20 წლის წინად შეიდგევ გან-ყოფილებაში ყოფილა.

გამოდის. მღვიმის შესასვლელის სიგანე 15—17 მ. სიმაღლე 3 მ-დე, ფსკერი 0,5 მ სიღრმის წყლით არის დაფარული. მღვიმე შორს უნდა გრძელდებოდეს და „ქველახოს“ დეპრესიასა და მის სამხ. ნაქერალას ქედისაკენ ღრმა დელის გასწრივ მიწისქვეშა წყლების სავალ გზას უნდა წარმოადგენდეს.

ქვერაიონში ბრძანიშნავია ვულკანური ფორმები, ამ მხრივ საყურადღებოა ნამანევის მთა (1368 მ), რომელიც რელიეფში თაღისებურად არის ამაღლებული და ფერდობების მნიშვნელოვანი დახრილობით, ხოლო ფერდობების ძირზე მცვიდვას კონუსების სიმრავლით ხასიათდება.

ყურადღებას იქცევს ტბები. ს. მთის კალთის სამხ-აღმ., 3 კმ მოშორებით მდებარეობს ჭიქის ტბა. ტბის სიგრძე დას-დან აღმ-ით 200 მ-დეა, სიგანე 80—90 მ, სიღრმე, ფართობის დიდ ნაშილზე 1—1,5 მ, ხოლო ტბის სამხ.-აღმ. ნაშილში სიღრმე უცირივ მატულობს და 2,5 მ აღემატება. ტბა კარსტული წარმოშობისაა; კირქვით აგებულ ფსკერზე არსებობს სასულე, სადაც წყალი ჩაღის და 500—600 მ მოშორებით გამოდის ვოკლუზის სახით. რომელიც მდ. ბარულს ერთ-ერთ ტოტს ჰქმნის.

რაჭაში ტბებს შორის განსაკუთრებით საინტერესოა ჭელიალელის ტბა. რომელიც ს. ჭელიალელის ცენტრალურ ნაწილში მდებარეობს. ტბის სიგრძე 195 მ, სიგანე 80—120 მ, სიღრმე 3—8 მ. წარსულში ტბის სიღრმე 11 მ აღწევდა [13]. ტბიდან არხია გაჭრილი. საიდანაც წყალი მუდმივად გადის. ტბა განსაკუთრებით საყურადღებოა იმით, რომ მასზე გვხვდება მოტევტოვე კუნძულები, რომელთა სიგრძე 3—20 მ, სიგანე კი 1—4 მ. კუნძულები დაფარულია პიროვნულური შეცნარეულობით—ლელით, ჩალა-კალამით და მურყნისარის ბუჩქნარით. სუსტი ნიავიც კი საქმარისია, რომ კუნძულებმა იწყონ მოძრაობა სხვადასხვა მიმართულებით.

ჭელიალელის (საწურბლიას) ტბას, ვ. ლეონოვი [13] კარსტულად სთვლის. ჩენი აზრით იგი წარმოქმნილია ეგზოტექტონიკური პროცესის შედეგად. აქ რელიეფი დახრილია ჩრდ.-აღმ. ამავე მიმართულებით არის დახრილი იმგებელი შრეები. ბარემულ მასიურ კირქვებს ზევიდან მოსდევს ალბური თიხნარების შრეები. ეს უკანასკნელი მოცურებულია ბარემულ კირქვებზე. დაცურებისას, რასაც ხელი შეუწყო წყალმა და რელიეფის დახრილობამ, მოხდა აღვილადგილ შრეების ამონექვა. რის შედეგადაც რელიეფში საფეხურები და ქვაბულები გაჩნდა. დაცურება უნდა მომზდარიყო, თითქმის 2 კმ სიგანეზე. ჭელიალელის ქვაბულის ფსკერზე, ამოღითდა ვოკლუზი, რომელმაც ქვაბული აავსო და ტბა წარმოშეა.

ქვერაიონში საყურადღებოა აგრეთვე სხვაების საყინულე [1]. იგი მდებარეობს ს. სხვაების სამხ. 4 კმ მოშორებით. საყინულე წარმოადგენს 80 მ სიღრმის მქონე დახრილ შახტს, მღვიმის ფსკერზე და კედებზე გვხვდება მრავალწლიანი ყინულის სქელი ფენები. აგრეთვე ყინულის სტალაქტიტები, სტალაგმიტები და სკერტები.

1-გ. შაორის ტექტონიკურ-ეროზიული ტაფობი აკუმულაციური ფსკერით; განვითარებული აპტური მერგელების, ბარემული კირქვების და მეოთხეული ფხვიერი ნაფენების სუბსტრატზე

შაორის ტაფობი მდებარეობს ნაქერალას ულელტეხილსა, ს. სინათლესა და ს. ზ. თლულს შორის; აქეს სამკუთხედის ფორმა და წვერობით ზემოხსენე-

ბული პუნქტებისკენ არის მიქცეული. ტაფობის ჰორიზონტალური ფსკერი ავადგ დაკავებულია წყალაცავით. შორის ტაფობი ირგვლივ შემორტყმულია ქვებით და სერებით. აღმ.-სამ. და დას-დან რაჭის ქვების ჩრდ. ფერდობით (ტაფობი სოლიეთ იჭრება სსენებულ ფერდობში), ხოლო ჩრდ-დან სამგლიას სერით, რომელიც ს. სინათლიდან იწყება და ს. სხარტალამდე გრძელდება. ქვაბულს სამი მხრით (ნაკერალს გად, ს. ს. სინათლისკენ და ზ. თლულისკენ) აქვთ დადაბლება, მათგან ყველაზე დაბალია ზ. თლულისკენ.

შორის წყალსაცავის კვება ზედაპირული მდინარეებით (შაორა, პერევისა) სუსტია; წყალსაცავი ძირითადად მიწისქვეშა წყლებით იკვებება, რომელიც უხვად გამოდის. როგორც ტაფობის ფსკერზე, ისე პერიფერიებზე, განსაკუთრებით რაჭის ქვების მხრიდნ. სადაც მძლავრი ვოკლუზებია (ძრობის-თვალა, ქვახეთქილა, ხრელიერი, „ჩიკვაძის კარის სათვალე“, და სხვ.). შაორის ტაფობის მოსაზღვრე ფერდობები ხასიათდება კარსტული ძაბრების და ქების სიმრავლით; ძაბრების და ქების სილრე 5—15 მ ფარგლებში მეტყველს. ძაბრების დამატრის სიგრძე 20—40 მ-დეა, ქებისა — 0,5—1 მ.

ქვერაიონში მღვიმეებიდან აღსანიშვნადა საყინულის და საკიშორის მღვიმეები. საყინულის მღვიმე მღვებარეობს ს. სინათლის სამხრ.-დას. 2 კმ-ზე. მღვიმის მიდამოებში მრავალი კარსტული ძაბრი გვხვდება. მღვიმეს შესავლელი აქვთ ჩრდ. ჩრდ.-აღმ.-დან, იგი ფართოა. მღვიმეში შესვლისთანავე ვხვდებით ფართო დარბაზში, რომლის იატაქს ძაბრისებური ფორმა აქვს. ხოლო ქერს თაღისებური. დარბაზის სიგრძე 60—70 მ, სიგანე 50—55 მ, სიმაღლე კი 36—38 მ. დარბაზის ფსკერის ცენტრალური ნაწილი, შესასელელიდან 30 მ-ით თაბლაა; ფსკერი მოფენილია კირქვის ნაშალით, რომლის ცენტრალურ ნაწილში წყაროა, საიდანაც უკანასკნელი ყინულის ნატეხები ჩენ ამოვილეთ (9 აგვისტო, 1957 წ.); ფსკერის მახლობლად ჰაერის 1 3° იყო. დარბაზის უკანა (სამხრეთ) ცეცელზე განგითარებულია სამი დერეფანი. მათგან აღმოსავლეთის სიგრძე 30 მ აღმარება, სიგანე 2 მ-დეა, ქერის სიმაღლე 5—10 მ. შუა დერეფანი, მღვიმის დარბაზის ფსკერიდან 15—16 მ მაღლა მდებარეობს. მისი სიგრძე 10 მ, სიგანე 2—3 მ, სიმაღლე 7 მ. დას. დერეფანი დარბაზის ფსკერიდან 22 მ სიმაღლეზე იწყება. მისი სიგრძე 15 მ; მის ფსკერზე შესასელელიდან 8 მ დაშორებით ჭაა, რომლის სილრე 11 მ. სიგანე 2,5—3 მ. ჭიდან წყლის დრენაჟი ზემოსხენებულ წყაროში უნდა ხდებოდეს. დარბაზი მოკლებულია ნილვენთ ფორმებს, დერეფანში კი სტალქტიტები და სტალგიტები გვხვდება.

საკიშორეს მღვიმე მღვებარეობს ს. ზ. თლულის დასკლეთით. მღვიმიდან გამოდის მდ. შაორა (საკშორე). მღვიმეს შესასელელი ჩრდ.-დასავლეთიდან აქვს; იგი გრძელდება სამხრ. აღმ. მისი კერი 20 მ ნაშილზე ჩამონატულია; ამ მონაცემზე მისი სიგანე 10—15 მ, შემცვევ მღვიმე ვიწროვდება 6 მ-დე. სამკუთხოვანი ფორმის ქერის სიმაღლე 3—4 მ უდრის. 15 მ გვლის შემდეგ მღვიმე ორად იყოფა, რომლებიც 25 მეტრის შემდეგ კვლავ ერთდებიან. მთავარი დერეფანი გაყოფის შემდეგ 35—40 მ გრძელდება. მისი ქერის სიმაღლე 3—3,5 მ უდრის. მღვიმე თავდება პატარა ტბით, რომელიც სიფონს წარმოადგენს. მღვიმის საერთო სიგრძე 70—75 მ უდრის. მღვიმე გამომუშავებულია უნდა იყოს ნაპრალის გასწერი. ნაპრალი, თოთქმის მთელ ქერს გასდევს.

შორის ტაფობი გენეტურად დაკავშირებულია ტექტონიკურ მოძრაობებთან და ნაწილობრივ კარსტოან. წყალსაცავის მოწყობამდე ტაფობზე ორა-

მდინარე — შაორა და დიდი ჭალა გადიოდა; ეს უკანასკნელი ორი ტოტისაგან — პერევისისა და ხერელიერისისაგან იქმნებოდა. მდ. დიდი ჭალა ს. ხერგასთან მდ. შაორას უერთდებოდა და შაორის სახელშორდებით მიეღინებოდა 1—1,5 კმ მანძილზე. სადაც მრავალრიცხვოან სასულეუბრი და ძაბრებში მისი დაკარგვა ხდებოდა: მიწისქვეშ 2 კმ გაივლიდა და გამოდიოდა მდ. შარეულის სახელშოდებით.

მდ. დიდი ჭალა სინკლინს მისდევს, რის გამოც მის ხეობას ფართო (3 კმ-დე) ფსკერი აქვს. მდ. შაორას ხეობა გამომუშავებულია რაჭის ანტიკლინის ჩრდ. ფრთის ნაოქში. ხეობა წარმოდგენილია ფართო ფსკერით, რომელსაც ნაზი მოყვანილობა და დინებისკენ ძლიერ სუსტი დახრილობა აქვს.

ა. ჯანელიძის აზრით [10] წარსულში შაორის ტაფობის მდინარეულ ქსელი, სხვანაირი კონფიგურაცია ჰქონია. მდ. დიდი ჭალა მოედინებოდა ს. ხერგამდე. ხერგასთან დიდი ჭალას ერთოდა ს. სინათლის მხრიდან „მდ. ხერგა“. ამ ადგილიდან მდ. დიდი ჭალა, მდ. შაორას ახლანდელი დინების საწინააღმდეგოდ, მდ. ველეულასაკენ მიეღინებოდა. შემდეგში შაორის ტაფობის მიდამოებში, ტეტრონიკური მოძრაობა სხვადასხვა ინტენსივობით ხდებოდა, შაორის ტაფობის აღმ. ნაწილი უფრო მეტად აზევდა, ვიდრე დასავლეთი, რის შედეგადაც ჯერ მოხდა ზემოხსენებული მდინარეების შეგუბება. ხოლო შემდეგ, ს. სინათლესთან წყალმა გზა მიწისქვეშ ვაიკვლია და 2 კმ შემდეგ, მდ. შარეულის ხეობაში გავიდა. დასაშვებია ვიფაქტოროთ, რომ პირველ ხანებში წყალდიდობის ზრის. შაორის ტაფობში შეგუბებული წყალი შარეულის ხეობაში ზედაპირულადაც გადადიოდა. ამ ფაქტზე მიუთითებს შარეულა-შაორის ხევებს შორის, წყალგამყოფ სერჩე ხევისებური დადაბლების არსებობა.

ამჟამად შაორის ტაფობი, როგორც აღვნიშვნეთ, წყალსაცავს უკავია. მის ფსკერზე თიხების დალექვა და მოსწორება ახლა უფრო ინტენსიურად ხდება, ვიდრე წარსულში, ვინაიდან გამდინარე წყალი წინათ თიხების გარეცხვას აწარმოებდა.

ა. რაჭა-ლეჩხემის სინკლინური დეპრესიის ბორცვიანი, ტერასირებული და მეწყრული რელიეფი. განვითარებული მესამეული და მეოთხეული თიხების, მერგელების, ქვიშაქვების, კირქვებისა და ალუვიონის სუბსტრატზე

განსახილელი ტიპის გავრცელება მოიცავს მდ. რიონის ხეობის ფსკერს და მის მარცხნიან ფერდობს, ზემოთ განხილული რელიეფის ტიპის ჩრდ. საზღვრამდე და ემთხვევა რაჭა-ლეჩხემის სინკლინის მესამეული აუზის სამხრეთ ნაწილს. რაჭა-ლეჩხემის მესამეული აუზის ნალექები ავსებს ცარცის კირქვებში განვითარებულ ამავე სინკლინის მულდას, რომელიც წარმოდგენილია ოლიგოცენისა და მიოცენის თიხებით, მერგელებით და ქვიშაქვებით. საკვლევი რაიონის აღმ. ნაწილში, ჩრდ.-დან იქრებიან ზედა იურული ნალექები პორფირიტების, ქვიშაქვებისა და თიხების სახით.

რელიეფის ამ ტიპისათვის დამახასიათებელია ნაზი ფორმების არსებობა, რაც ძირითადად შეპირობებულია ლითოლოგიური თავისებურებებით. რელიეფის გართულებას იშვევენ ხევები და კირქვების გავრცელების აღგილებში პრესებული ქარაფები. რელიეფში კარგად შეინიშნება მეწყრული და საფეხურისებური ფორმების არსებობა. აქ არსებული ქანები — თიხები, მერგელები, ქვი-

შექვები იოლად ემორჩილებიან დენუდაცია-ეროზიას და დამეწყვრას. ამის შედეგად საკვლევ რაიონში გვხვდება ხსენებული პროცესებით შეპირობებული ფორმები — ხევები, ხრამები, ტალისებური სივრცეები, პატარა ტაფობებითა და ბორცვებით, ხოლო რიონის ხეობის ფსკერზე ეროზიასთან ერთად დიდ როლს ასრულებს აკუმულაციაც, რასაც ახდენს, როგორც თვით მდ. რიონი, ისე მისი მარტენი შემდინარები. ამ ზოლში გვხვდება აკუმულაციური ფორმები რიყების, უზნძულების, ტერასებისა და გამოზიდვის კონუსების სახით.

რაიონის ხეობის მარტენი შეხარებული მეტყველები ბი ძლიერ არის განვითარებული [3, 5, 10]. თუ საკვლევი ტერიტორიის სამხ. ნაწილში გავრცელებული იზრქვები აპირობებენ კარსტული მოვლენების ინტენსიურ მსვლელობას, სამაგიეროდ რაიონის ჩრდ. ნაწილში არსებული თიხნარები ხელსაყრელ პირობებს ჰქონის მეწყრების განვითარებისათვის. რა თქმა უნდა, როგორც პირველ ისე მეორე შემთხვევაში რელიეფი და წყალი მნიშვნელოვნობის როლს ასრულებს.

საკვლევი რაიონის ფარგლებში, აღმ. საზღვრიდან მოყოლებული დას. საზღვრამდე ცალკეული მეწყრული უბნები გვხვდება; ასეთი უბნები განსაკუთრებით აღსანიშვნაია სს. სევა-ფარაონეთის, ქვედა ბარი-მუხლის, ხიმშის, საკეცია-შრომა-ბუგეულის, აბანოეთ-გორისუბნის და ქვედა შავრა-ბაჯის მიღამოებში. მეწყერთა უზარმაზარი მასების გადაადგილების შედეგად, მის საწყის ადგილებში გვხვდება ფლატეები 2—3 მ-დან, 20—30 მ-დე სიმაღლის და ცირკუს მსგავსი ფორმები, ხოლო თვით მეწყრებზე ამობურული მიწის მასები და ხრამები. სერონდ კი მეწყრული რელიეფი ხასიათდება წვრილი ბორცვებით, სერებით, ხრამებით და ტაფობებით. ეს უკანასკნელები ხშირად წყლით არის დაკავებული, რის შედეგად ხშირად გვხვდება მცირ მეწყრული ტბები. მეწყერთა ინტენსიური მოძრაობის შედეგად საკვლევი რელიეფის ცვალებადობა ამჟამადაც ხდება.

ქვემო რაჭის სამხ. ნაწილში მეწყრები დიდ ზარალს აყენებს მოსახლეობას [5]; ასეულ ჰექტარობით საკარმიდამო, სახნავი, უნახები და სათიბ-საძოვრებია მწყობრიდან გამოსული, მიუხედავად ამისა, ამ მხარეში მეწყრებთან არავითარი ბრძოლა არ წარმოებს. საჭიროა მეწყერთა წინააღმდეგ მიღებული იქნას გადამწყვეტი ზომები, რის შედეგადც შესაძლებელი გახდება მრავალი მოქმედი მეწყერის შეჩერება და ახლად წარმოშობაც შემცირდება. ეს კი საშუალებას მოგვცემს ასეულობით ჰექტარი მიწა შევუნარჩუნოთ მოსახლეობას.

განსახილველი რელიეფის ტიპი ხასიათდება საქმიანობის მდლავრი გამოზიდვის კონუსებით. რიონის ხეობის მარტენი ფერდობზე ჩამომდინარე მდინარეები ზემო და შუა წელში ინტენსიურ ეროზის აწარმოებენ, ხოლო რიონის ხეობაში გამოსვლისას, მათი კალაპოტების დახრილობა მნიშვნელოვნად მცირდება, რის გამო მყინვალებული მასალის ადგილზე ტოვებენ; ამგვარი პროცესი ხდება რიონის კალისა და პირველ ტერასზე. აქ არსებული დიდი გამოზიდვის კონუსები კარგად მოჩანს. მდ. რიონის მარჯვენა მხრიდან — შარა გზიდან; მათი სიგრძე-სიგანე 200—400 მ-დე აღწევს; ბევრი მათგანი მოსაზღვრე ადგილებიდან 2—6 მ არის ამაღლებული. მდლავრი გამოზიდვის კონუსებით ხასიათდებიან შემდეგი მდინარეები: ხეორა, შეშორალელე, ფარახეთისხევი, ხოტეურა, ზნაკურა, აბანთა, შარეულა და სხვ.

მდ. რიონის ხეობის ფსკერი რაიონის აღმ. საზღვართანვე ფართეა (200—400 მ-დე), შეგრამ შემდეგ ეიშროვდება; ამგვარი ადგილები გვხვდება სს. სორსა და ხიმში შორის, რაც გმოწვეულია გეოლოგიური პირობებით. სს. სორსა და მუხლს შორის მდ. რიონი ჰქვეთს იურის პორტურიტულ წყებას და გაჭრილი აქვს ლრმა და ვიწრო ხეობა, ძლიერ დახრილი ფერდობებით და კლდეებით. რაც შეეხება ხიდიარის კლდეებს, აქ რიონი ჰქვეთს შეეულად დახრილ კირქვებს შეეხებს, ხეობა ჩაჭრილია 150 მ სიღრმეზე, მისი ფსკერის სიგანე 10—15 მ უდრის. როგორც პირველ, ისე ამ შემთხვევაშიც ხეობა კანიონისებურ ფორმას ატარებს და ანტეცედენტურ ხეობასთან გვაქვს საქმე. ამ უკანასკნელ მონაკვეთში მდ. რიონი რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის მესამეული აუზის საზღვრის ჩრდ. გადის.

ხიდიარის ქვემოთ, მდ. რიონი მიჰყვება რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის ღერძს, ამ მონაკვეთში ხეობის ფსკერი დიდი სიგანით (200—450 მ) ხასიათდება. ხოლო მდ. შარეულას შესართავის ქვემოთ მდ. რიონი, იწყებს რა კირქვების ქანების გავევთას. კვლავ კანიონისებურ ხეობას ინვითარებს. ხეობის ფართო ფსკერზე მდ. რიონს განვითარებული აქვს ფართო კუნძულები, რომლებიც ნახული გვაქვს სს. ზუდალის, სევას, ამბროლაურის. ბუგაულის და ბაჯის მიდამოებში. აქ კუნძულების სიგრძე 200—500 მ-დე აღწევს, სიგანე 100—120 მ, სიმაღლე 1—1,5 მ. ვათი უმეტესობა ბალახით არის დაფარული და ნაკლები მდგრადობით ხასიათდება; გვხვდება უფრო მდგრადი კუნძულებიც, რომლებიც ახალგაზრდა ჭალის ტყით არის დაფარული.

მდ. რიონის გაყოლებით, მარტხენა მხარეზე, გვხვდება, რელიეფში კარგად გამოხატული რიყის ტერასა, რომლის სიგანე 100—150 მ ფარგლებში მეტყველებს, სიმაღლე 1—1,5 მ. იგი ზოგ ადგილის, ვიწრო ხეობებში, გვერდითი ეროვნით გარეცხვის გამო აღარ გვხვდება.

როგორც ზემოთ აღნიშნეთ, საკულევი რელიეფის ტიპი ხასიათდება საფეხურისებური ფორმებით, რაც მდ. რიონის ტერასებით არის შეპირობებული; იგი ცალკეულ ადგილებში მორფოლოგიურად და ლითოლოგიურად კარგად არის წარმოდგენილი. მაგალითად, რიონის აღმ. ნაწილში, სს. სევას და ფარახეთის მიდამოებში, ტერასები რელიეფში კარგად შეინიშნება; ამასთან ერთად IV ტერასამდე, რიონის ალუვიონი გვხვდება, ზოგ ადგილს მისი სიმაღლე 1 მ აღმატება. აქ ტერასების სიმაღლით მაჩვენებლები ასეთია: I ტერასის სიმაღლე 3—5 მ უდრის, II—15—20 მ, III—60—70, IV—140—150 მ, V—200—240 მ. ტერასების მთლიანობა ეროზიით მნიშვნელოვნად არის დარღვეული. ამ მონაკვეთში რიონის მარჯვენა სანაპიროზე ტერასები თითქმის არ გვხვდება. სს. სორსა და კვაბულუს შორის მდ. რიონის ტერასები რელიეფში შედარებით სუსტად, ცალკეული ფრაგმენტების სახით არის წარმოდგენილი. ხიდიართან, მდ. რიონის მარტხენა მხარეზე, სერჩე, განვითარებულია უნაგირი, რომელიც სერის მეზობელ ნაწილებზე 40—60 მ დაბლია; იგი რიონის დონიდან 120 მ სიმაღლეზეა. უნაგირიდან 20 მეტრით დაბლა, ფერდობშე, რიონის ალუვიონია, ეს რიონის III ტერასას შეესაბამება; ს. ხიმშის მიდამოებში, პეტელა-ლელეს მარტხენა მხარეზე, რიონის დონიდან, დაახლოებით 110—120 მ, ვნახეთ რიონის ალუვიონი (მარმარილოს ქვებით). აქვე აღნიშნავთ, რომ ხიდიარის კლდეებარის წარმოშობას ა. ჯანელიძე [10] უკავშირებს

აქ გამავალ რლვევას. ჩვენი დაკვირვების საფუძველზე, ვფიქრობთ, რომ ხიდიკარის სერის უნაგირა წარმოადგენს მდ. რიონის ყოფილ კალაპოტს და იგი მის IV ტერასას უნდა შეესაბამებოდეს.

ხიდიკარის ქვემოთ მდ. რიონის ტერასები კარგად არის გამოხატული დ. მმპროლაურის, ს. ბარეულის და ს. ღარიშის მიდანებში. I, II და III ტერასები სიგრძით რამდენიმე ასეულ მეტრს აღწევენ, ხოლო სიგანით რამდენიმე ათეულ მეტრს. აღსანიშნავია, რომ დ. მმპროლაურობი, III ტერასაზე მდ. რიონის ალუვიონის სიმძლავრე 2 მ-დე აღწევს. IV ტერასა რელიეფში პატარა ფრაგმენტების, ცალკეულ ბორცვების ფორმის ატარებს, მასზე ალუვიური მასალაც იშვიათია. კიდევ უფრო სუსტად არის წარმოდგენილი IV ტერასა, მასზე ალუვიური მასალა შევვხდა ს. აბანოეთის აღმოსავლეთით.

მდ. რიონის მარცხნა შემდინარეთა ხევებში (ხეორა, ბარეულა, ხოტეურა); შეინარჩუნა მდინარეული ტერასების ცალკეული ფრაგმენტები. I და II ტერასაზე ვეხვდება ალუვიონი, III და V-კ მხოლოდ რელიეფურად არის წარმოდგენილი.

რიონის ტერასების სისტემა ზოგადად შემდევნირია: რიყის ტერასის სიმაღლე 1—2 მ, I ტერასის — 3—4 მ, II—10—15 მ, III—50—60 მ, IV—130—140 მ, V—200—220 მ.

აღსანიშნავია ნაკარევის ტბა, რომელიც მოებარეობს ს. შრომის დასაელეთით, ვულკანური წმ. გომრგის მთის (1202 მ) აღმ. ფერდობის ძირში. ტბის სიგანე (აღმ-დან-დას-ით) 80—90 მ. სიგრძე სამშ. ნაწილში 125 მ. ხოლო ჩრდ. ნაწილში 40 მ, სილმე კი 2 მ აღმატება. ტბიდან გაყვანილა არხი, საიდანაც წყალი მუდმივად გადის, არხის გამო ტბის დონე 2 მ არის დაწეული. თუ არხს დავკერტოთ და ამ მხარეზე არსებული ვიწრო დადაბლებას 1 მ ავამაღლებთ, ტბის დონე 3 მ აიწევს და ფართობიც ერთორიად გაიზრდება; მაშინ შესაძლებელი გახდება ტბის სამეურნეო თვალსაზრისით გამოყენება; აქ შეიძლება შეიქმნოს წყლის მოყვარული მეფრინელების ფერმა და მოშენდეს თევზი—ტბაში შემავალი ცივი წყაროები თევზის არსებობისთვის. კარგ პირობებს უნდა ვჭრილეთ.

III. რელიეფის განვითარების ისტორია

ქვემო რაჭის სამხრეთ ნაწილის რელიეფის განვითარების ისტორია მჭიდრო კავშირში იმყოფება რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის განვითარებასთან.

პალეოგენში, ორგენეტული მოძრაობის შედეგად, სინკლინის პერიფერიული ზოლები განიცდის ანევებას, მის კიდეებან დაისახა კონტინენტი—სამხრეთით ჩატების ქედის, ხოლო ჩრდილოეთით სორის ანტიკლინის სახით. სინკლინის გულში კვლავ დაძირებას და მასალის დაგროვებას აქვთ ადგილო-მიოცენის განმვლობაში რაჭა-ლეჩებუმის სინკლინის მესამეული აუზი მნიშვნელოვნად არის შეკლირებული. საკვლევი ტერიტორიის დიდი ნაწილი განთავისუფლებულია წულისაგან და უკვე ეროზია-დენუდაციის არეს წარმოადგენს; ისახება ჰიდროგრაფიული ქსელი, ირეცხება ცარცული კირქვები და ხსენებულ აუზში ილექტება თიხები და კონგლომერატები. მიოცენის ოროგენეტული მოძრაობის შედეგად, მხარის მთლიანი აზევება ხდება, რის შედეგადაც სარმატულის შემდეგ, ზღვა საბოლოოდ სტროებს საკვლევ ტერიტორიას და მთელ რაჭა-ლეჩებუმს. ეს უკანასკნელი საბოლოოდ შედის კონტინენტური

ვანვითარების პერიოდში. პირიოგრაფიული ქსელი თანამედროვეს მსგაცსია. საკულტური ტერიტორიის რელიეფის ფორმირებაში, მისი საბოლოოდ კონტინენტურ ფაზაში შესვლის შემდეგ, ეგზოგენურ პროცესებთან და ფაქტორებთან ერთად, მნიშვნელოვან როლს თამაშობს ენდოგენური ფაქტორები, განსაკუთრებით კი ტერიტორიური მოძრაობანი. ზედა მესამეულიდან დაწყებული დღემდე მხარე განიცდის აზევებას, ხდება ძლიერი დანაოჭებები და ტერიტორიულის საბოლოო გაფორმება, რასაც მოჰყვა მძლავრი ნაოჭების და რაცევების წარმოშობა, რამაც გააპირობა საკულტური ტერიტორიის როული რელიეფი. ქვედა პლიოცენში (ატიკურ ოროფაზაში) აღილი პქონდა ვულკანურ აქტივობას, რაც სს. ნამნევსა და შრომას შორის ლაგების ამოფრქვევით და ნამანევსის ვულკანური მასივის (1368 მ) წარმოშობით გამოიხატა. ამასთან ერთად, რიონისავენ დახჩილ სივრცეში, მძლავრი დენუდაციურ-ეროზიული მოქმედების შედეგად, საკულტური ტერიტორიის დანაწევრება და დაღაბლება ხდება, რასაც ხელს უწყობს კირქვის გაურცელების აღილებში მძლავრი კარსტული პროცესების განვითარება. მ უკანასკნელის შედეგად ვითარდება კარსტული ფორმები (ძაბრები, ღოლინები, მლვიმები, კები და სხვ.); სწარმოებს მიწისძვეშა ეროზია, რის შედეგადაც მლვიმების გაფართოება ხდება (მარეულა, ცივწყალა, ცახი, საკიშორე და სხვ.). მლვიმების სიმაღლითი განლაგების მიხედვით (მარეულას და კრიზულას ხეობა, ხიხათას ჩრდ. ფერდობი და სხვ.) კარსტის განვითარების ორი სტადია შეინიშვნება.

რაჭა-ლეჩხებუმის სინკლინის სამხ. ფრთის აწევასთან ერთად მდინარეები ახდენენ ხეობების გაღრმავება-გაფართოვებას და ანტიკლინური ნაოჭების ჩატრებას. რის შედეგად ვითარდება ანტიცენტრული მონაკვეთები (მდ. მდ. რიონი, ხეობა, კრიზულა, შარეულა). თუ სინკლინის ფრთაზე აღილი აქვს ეროზია-დენუდაციას, სინკლინის ძირზე ხდება კუმულაცია (უფრო ხშრად ტრანზიტული აკუმულაცია), რასაც აწარმოებენ მდ. რიონი და მისი შემდინარეები.

შეოთხეულ პერიოდში ტერიტორიურ მოძრაობებთან და ბაზისის რეევასთან დაკავშირებით, ხდება ეროზიული საფეხურების ფორმირება. რის შედეგადც საკულტურის ფარგლებში ჩამოყალიბდა მდ. რიონის 5 ტერასა.

ამჟამად ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის რელიეფის განვითარება შემდეგნაირად ხდება. საკულტური ტერიტორიის მოძრაობა ზოგადად დადებითად სწარმოებს, მაგრამ სინკლინის ძირი ამჟამადაც ჩამორჩება ფრთების აწევის ტემპს, რის შედეგადც რიონის ხეობის ძირზე აღილი აქვს აკუმულაციას. საკულტური ტერიტორიის სამხ. ნაწილში, საღაც კირქვის მძლავრი წყებებია განვითარებული, რელიეფის განვითარება ხდება კარსტული გამოფიტვის და დენუდაცია-ეროზიული პროცესების მოქმედებით, ხოლო ჩრდ. ნაწილში კარსტულ პროცესებს სცვლის მეწყრულ პროცესები.

Г. З. ЧАНГАШВИЛИ

ГЕОМОРФОЛОГИЧЕСКИЙ ОЧЕРК ЮЖНОЙ ЧАСТИ НИЖНЕЙ РАЧИ

Резюме

Исследуемая территория расположена в южной части Рачи на левобережье р. Рioni и захватывает периферическую часть южного склона Большого Кавказа (Кавкасиони). В административном отношении она

входит в Амбролаурский район, а небольшая ее восточная часть — в Онский район.

Район занимает южное крыло Рача-Лечхумской синклинали и характеризуется довольно сложным рельефом. Здесь встречаются хребты, высота вершин которых колеблется между 1500—2400 м, а также низкогорный, холмистый и террасированный рельеф, глубокие, крутосклонные и узкодонные ущелья, местами каньонообразные; сама же долина Риони, в большей своей части, представляет собой плоскодонное синклинальное ущелье с антecedентными участками.

Своевобразие геологической структуры области хорошо отражено в рельефе. В результате широкого распространения меловых и известняковых пород, в южной части района сильно развиты карстовые явления, а в северной части, в местах распространения третичных и частично верхнеюрских суглинков, встречаются большие участки мощных оползней, наносящих большой ущерб народному хозяйству.

Исследуемая территория характеризуется сложным тектоническим строением. Она входит в Рача-Лечхумскую подзону складчатой зоны южного склона Большого Кавказа. Эта подзона представлена Рача-Лечхумской синклиналью, южное крыло, которой осложнено антиклиналями, синклиналями и разрывами, что отчетливо отражено и в рельефе, в виде антиклинальных хребтов, синклинальных депрессий и обрывов.

Из современных геоморфологических процессов обращают на себя внимание карстовые, оползневые, эрозионно-денудационные и аккумуляционные процессы, под воздействием которых протекает формирование, наносящий большой ущерб народному хозяйству.

По происхождению рельефа в южной части Нижней Рачи можно выделить два района: 1. Район средне- и низкогорного, тектонико-эрэзионного и карстового рельефа известняковой полосы южного крыла Рача-Лечхумской синклинали, развитого на субстрате меловых и эоценовых известняков, мергелей и песчаников. 2. Район холмистого, террасированного и оползневого рельефа Рача-Лечхумской синклинальной депрессии, развитого на субстрате третичных суглинков, мергелях, песчаниках, известняках и на четвертичном аллювии.

В первом типе рельефа, в соответствии с морфографией и интенсивностью современных геоморфологических процессов, выделяются три подтипа: 1-а среднегорный гористо-карстовый рельеф складчато-разрывной структуры северного склона Рача-Лечхумского хребта, развитый на субстрате ургонской фации известняков, мергелей и песчаников нижнего мела. 1-б. Низкогорный, холмистогрядовый, эрозионно-карстовый рельеф южной части Нижней Рачи, с глубокими, V-образными и каньонообразными ущельями, развитый на субстрате известняков и мергелей верхнего мела и эоцена. 1-г. Шаорская тектогенно-эрэзионная котловина с плоским аккумулятивным дном, развитая на субстрате апских мергелей, баремских известняков и рыхлых четвертичных отложений.

Развитие рельефа исследуемой территории начинается с палеогена. С этого времени, в результате орогенетических движений, происходит поднятие в периферических полосах Рача-Лечхумской синклинали, переход последних в стадию материковой эволюции — на юге в виде Рачинского хребта, а на севере — Сорской антиклинали. В мульде синклинали имеют место погружение и накопление материала (в виде суглинков). В результате же орогенетических движений в миоцене и общего поднятия области после сарматы, море окончательно оставляет об-

ласть Рача-Лечхуми. Исследуемая территория окончательно входит в период континентального развития. Достаточно хорошо оформленная гидрографическая сеть схожа с современной.

Начиная с верхнетретичного и до настоящего времени, область испытывает поднятие. Происходит образование мощных складок и разрывов, что обусловливает сложный рельеф исследуемой территории.

Интенсивные денудационно-эрзационные процессы способствовали расчленению и снижению поверхности с одновременным развитием карстовых явлений в известняках, а в глинистых породах — оползней.

ლიტერატურა— ЛИТЕРАТУРА

1. გარე შტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა (საქართველოს გეოგრაფია), ნ. ბერძნიშვილის რედაქციით, სტალინის სახ., თსუ, 1941.
2. კაჭარავა ი., რაჭა-ლეჩხუმის აუზი და მეზობელი რაიონები პალეოგენურ დოზი, საქ-სსრ მეცნ. კად. გეოლ. ინ.-ტის შრომები, სერია გეოლოგ., II (VII), თბ., 1944.
3. მარჯაშვილი ლ., შეწყრები და კლდეზევები საქართველოში, „მეცნიერება და ტექ-ნიკა“, 1954, № 2.
4. ჯავახიშვილი ი., საქართველოს გეოგრაფია, ტ. 1, გეომორფოლოგია, თბ., 1926.
5. ჯანელიძე ა., გეოლოგიური და პალეონტოლოგიური ნარცისი, „ტფილისის უნივერსიტეტის მოამბე“, ტ. VI, 1926.
6. ჯანელიძე ა., რაჭა-ლეჩხუმის სინკლინის გაგრძელება დასავლეთით, „სსრკ მეცნ. კად-საქ. ფილიალის მოამბე“, ტ. 1, თბ. 1940, № 10.
7. Владимириов А. А., О режиме карстовых вод Западной Грузии, «Изв. все-союзи. геогр. об-ва», т. 89, 1957.
8. Гвоздецкий Н. А., Физическая география Кавказа, Московский университет, 1954.
9. Джавахишвили А. Н., Геоморфологические районы Грузинской ССР, АН СССР, М.—Л., 1947.
10. Джанелидзе А. Н., Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума, Груз. филиал АН СССР, Тбилиси, 1940.
11. Добрынина Б. Ф., Закавказье, Опыт физико-географической характеристики, Тр. Ин-та геогр. АН СССР, вып. 34, М.—Л., 1940.
12. Кузнецов С. С., Вопросы геоморфологии (Закавказье), Геология СССР, т. X, ч. I, Закавказье, М.—Л., 1941.
13. Леонов В. И., Озеро нижней Рачи (в Шаорской котловине в Закавказье), «Землеведение», т. 9, кн. II—III, 1902.
14. Леонов В. И., Карстовые явления в Рачинском уезде Кутансской губернии, Дневн. XII съезда русск. естеств. и врачей, отд. 2, М., 1910.
15. Мифферт Б. Ф., Геологические исследования в Рачинском уезде Западной Грузии в 1928 г., Предварительный отчет, Матер. по общ. и прикал. геол., вып. 140, 1930.
16. Питюков И. И., Шаорская котловина и ее окрестности, «Изв. КОРГО», кн. 12, вып. 3, 1899.
17. Радде Г., Путешествие в мингрельских альпах и в трех их верхних долинах (Риони, Цхенисцкали и Ингур), «Зап. КОРГО», кн. 7, 1866.
18. Рейнгард А. Л., Геоморфологическое расчленение, «Геология СССР», т. X, Закавказье, ч. I, М.—Л., 1941.
19. Чиракадзе Г. И., Основные черты климата бассейна р. Риони от ее истоков до устья р. Квирила, საქ. სსრ. გეოგრ. საზ. შოთავები.
20. Шукин И. С., Очерк геоморфологии Кавказа, ч. I, Большой Кавказ, Тр. Ин-та геогр., при МГУ, М., 1926.

ქვემო რაჭის სამხრეთი რეგიონის
ტეოლოგიურობის აკად.



პირობითი ნივთიერი

რელიეფის ტაქტი და ქვეტიქება



რელიეფის ფორმები



რელიეფის ტაქტი და ქვეტიქება

- რაჭა-ლეჩხმინის სინკლინის სამხრეთული ტაქტის, კორსენის ზღვის, საშეალო და დაბალმთანი ტექტიულ-ეროზიულ და კარსტულ რელიეფი, გარეთვაროვან V-სერტერი შემაბით; განვითარებული ცარცულის და ელემენტების მურვების მურვების და ქვეტების სესხსრულაზე.
- ა-ასის ქვების ჩრდილო ფერდობის საშეალო მთავარი, მაკევ-ნარცევის სტრუქტურის მეორე, მთავორიან-კარსტული რელიეფი; განვითარებულ ქვედაუარეს უზრუნველყოფის და ელემენტების მურვების და ქვეტების სესხსრულებულების გარეთ.
- ბ-ბის რაგის სახრეც დაწყლულ დაბალ გარეულ-ეროზული რელიეფი, ღრმა V-სერტერი და კონტინენტური ხელაპირი, გარეულ-ეროზული რელიეფი, ღრმა ტაქტის და მინიმუმური ხელაპირის გარეულების სესხსრულებულების გარეთ.
- ც-ცის ტერიტორიულ-ეროზული რელიეფი, აუზული და მინიმუმური ხელაპირი, გარეულ-ეროზული რელიეფის გარეთ.
- რაჭა-ლეჩხმინის მინიმუმური ფერდობის ბაზურიანი, ტარისასობრივი და მეწირული რელიეფი; განვითარებული მესამეული და მერთულებული თბიერის, ტერიტორიული და მეწირული რელიეფის და ალუვიუმის სტრუქტურაზე.

რელიეფის ტაქტი და ქვეტიქება

- კანიონისერტერი ხეობა
- კანიონი
- კანიონის დაბრები
- მდინარე
- ყიშულივანი შაბატი
- მიწატევების კანიონი
- მიწატევების სტრუქტურა
- მედიუმური მიწატევების კანიონი
- მიწატევების სტრუქტურა
- მიწატევების სტრუქტურა
- მიწატევების სტრუქტურა

Н. Е. АСТАХОВ

К ГЕОМОРФОЛОГИИ ВЕРХНЕЙ РАЧИ

Часть Грузии, известная под названием Верхняя Рача (ზემო რაჭა), лежит в пределах географических координат $43^{\circ} 17'$, — $43^{\circ} 48'$ в. д. и $42^{\circ} 37'$, — $42^{\circ} 53'$ с. ш.

Около 70% территории Верхней Рачи принадлежит высокогорной области, отличающаяся крутыми уклонами и скалистым рельефом. Остальная часть относится к области горнодолинной и характеризуется глубокой и частой расчлененностью бортов основных речных долин.

Общие сведения о Раче имеются у Вахушти Багратиони [2] в его классическом труде «География Грузии». Большинство из них касается этнографии, границ, природных богатств, описания рек с некоторыми терминологическими пояснениями (напр. происхождение слова «Риони», «Рача» и др.). До XIX в. кроме упомянутого труда Вахушти и заметок И. А. Гильденштедта, сведений о географических особенностях Рачи в известной нам литературе почти не встречается. Начиная же с прошлого столетия появляется ряд работ, в той или иной степени освещавших особенности природных условий Рачи. Среди них значительный удельный вес имеют работы геологов. Первые сведения о геологическом строении сопредельной территории (бассейн р. Джеджори) имеются у Dubois de Montregenex [3]. Более конкретные данные приведены в работах Абиха [1]. Первая геологическая карта, охватывающая часть Верхней Рачи, составленная Э. Фавром в 1875 г. (м. 1 : 565.000), весьма схематична [27]. Автор отнес к палеозою сланцы Главного Кавказского хребта, являющиеся в представлении Абиха юрскими образованиями. В 1880 г. С. Е. Симоновичем [25] была составлена пятиверстная геологическая карта верховьев р. Риони. Карта и приложенное к ней описание геологического строения также отличается схематичностью, повторяя концепции предшествующих исследователей. В 1909 г. в материалах для геологии Кавказа [26] опубликована работа Г. М. Смирнова с геологической картой, составленной по данным полевых наблюдений. Геологические концепции автора в общих чертах не отличаются от взглядов С. Е. Симоновича. На карте Г. М. Смирнова выделяются также палеозойские и юрские сланцы («основные»). Большое внимание уделено петрографической характеристике пород.

Из географических работ зарубежных исследователей можно отметить работы Д. Дрешфильда, изданные в Лондоне [28, 29], в которых имеются общие сведения о рельефе, климате, этнографии и пр. Значительный интерес представляют географические наблюдения Н. Я. Динника [4, 5]. Автор довольно подробно описывает ледники вер-

ховьев Риони, делает сопоставление Кавказа с Альпами. Данные Н. Динника о положении края ледников Эдена и Зопхито, относящиеся к 80-м годам прошлого столетия, использованы нами при анализе изменения условий оледенения. В 1911 году в записках Кавказского отделения Императорского Русского Географического Общества была опубликована работа К. И. Подозерского «Ледники Кавказского хребта», не утратившая и в настоящее время своего большого научного значения [22]. Труд сопровождается пятиверстной топографической картой Кавказа. В Верхней Раче Подозерским зарегистрировано и описано 37 ледников, 12 из которых принадлежат к ледникам 1-го разряда, т. е. имеют площади фирнового поля, превышающие 1 кв. версту. Большой интерес представляет ранние работы А. Л. Рейнгарда [24], в которых автор собрал и обобщил данные по ледникам Кавказа. В частности, он довольно подробно касается Рачинских глетчеров, указывает гипсометрическое положение концов ледников и делает подсчет высоты снежевой границы, по методу Гефера.

Упомянутые работы, проводившиеся без определенного плана, от случая к случаю, относятся к дореволюционному времени. После установления советской власти, в связи с бурными темпами развития социалистического строительства, геологические исследования приобрели широкий размах и началось планомерное и всестороннее изучение территории Грузинской ССР и, в частности, Верхней Рачи, поскольку там сосредоточен целый ряд рудных месторождений. Наряду с государственной геологической съемкой, сначала в м. 1:200.000, а впоследствии и м. 1:50.000, были поставлены поисковые и разведочные работы в перспективных районах. До тридцатых годов поиски полезных ископаемых в Раче вел О. Т. Карапетян [13]. С 1929 по 1942 гг. И. Г. Кузнецов [15, 17, 16, 18] собирал ценнейшие материалы о геологическом строении и полезных ископаемых Рачи. Им впервые дано правильное tolkowanie стратиграфического положения палеозойских и юрских толщ и тектонического строения территории. За период с 1930 г. по настоящее время поисково-разведочные и геосъемочные работы в Верхней Раче разновременно производились Б. Ф. Меффертом [19, 20], В. Ренгартеном [23], К. Е. Габуния, А. А. Твалчелидзе, П. Д. Гамкрелидзе и др. Для южной части Рачи А. А. Джанелидзе [6, 7, 8] и И. Р. Каходзе [14] подвергли строгой критике предшествующие работы. Собранный ими материал позволил дать ряд сводных геологических работ. Для территории Верхней Рачи нами использованы палеогеографические выводы, сделанные И. Р. Каходзе в его труде «Грузия в юрское время» [14]. Интересны также сводные работы по среднедорским образованиям Рачи Г. С. Дзоценидзе [10, 11]. Им расчленена на возрастные отделы «порfirитовая свита» юры, выявлены фазы вулканизма и палеогеографическая обстановка докгера. Специальные работы по геоморфологии Верхней Рачи в опубликованной литературе до настоящего времени отсутствуют, так что приходится довольствоваться лишь отдельными высказываниями геологов о некоторых особенностях рельефа. Совершенно недостаточно изучены ледниковые явления, неотектоника, динамика четвертичного покрова и пр.

ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონი აგებულია ქვედაცარცული, იურული და უფრო ძველი ქანებით. მთავარ ქედზე — ულ. გაზევულების უღ. მამისონის სანახებამდე — განვითარებულია ქვედაპალეოზოური — პრეკემბრიული გრანიტოდები და კუსტულური ფიქლები, რომლებშიც მოქმედულია თითქმის ყველა მნიშვნელოვანი ყინვარული აუზი (რიონის, კანკახისა და მათი შემთხვისარების ზოგნითურას, ჩვეშურას, ნოწარულას, ბოყოს-წყლის, ბუბის-წყლის სათავეები). მთავარი ქედის კალთების უფრო ღამია, მიუხედავ მული აგებულია ქვედა და შუასურული თიხაფილებისა და ქვიშაქვების წყებებით. რიონისა და კანკახის ხეობები გამომუშავებულია შედაურულ-ვალანჯინურ მერგელებში, მერგელოვან ფიქლება, კირქვება და ქვიშაქვებში. რომლებითაც აგებულია მთავარი, შორასა და კედელს ქედების ფერდობთა ქედთა ნაწილები. შეგვის წყებითაც წარმოქმნილი ორი უკანასკნელი ქედის თხემებიც. რიონის (კალევულ უნქტებში (ს. ლურშევთან. ზოგნითონ და კირტიშოს ყინვარებთან) არის უახლესი (ალბათ მეოთხეული) ეფუზივების გამოსავლები ვულკანური კრისტალის ან ფესვების სახით. ალუვიური, ფლუვიოგლაციალური და მორენული ტიპების მეოთხეული ნაფენები ფართოდაა გაერცელებული მდ. მდ. რიონის, კანკახის, ჩვეშურას, ნოწარულის, ბუბის-წყლის, ზოგნითურას და ხამიჯაურის ხეობებში.

რაიონის უმაღლესი პიტოსომეტრიული სარტყელების მორფოლოგიური ხასიათი წარმოქმნილია ყინვარული მოქმედებისა და ფიზიკური გამოფიტვის შედეგად და ფრიად შევთორია. არამც თუ მთავარი ქედის გრანიტოვანი ბუბერაჟები (ბურჯულა, კანკახის-წვერი, ლაბოდა და სხვები), არამედ ვაცილებით დაბალი შოდა-კედელის ქედების ფიქალ-ქვიშაქვებინ მწვერვალებიც ციცაბკალთავისან, დაკბილულ კლდოვან მასივებს წარმოადგენენ. შორასა და კედელისაგან განსხვავებით, რაჭის ფარგლებში მდებარე კავკასიონის მთავარი ქედის მონაკვეთზე მარადიულ თოვლას და ყინულს კრისტალი ფართობი უკავიათ; თუ შორას მასივზე და კედელის ქედის ზოგიერთ უმაღლეს მწვერვალზე მხოლოდ ჩამოყიდული და კარული ტიპის მცირე ყინვარები გვაქვს. მთავარ ქედზე ხეობური ტიპის მოზრდილ ყინვარებსაც ვეცდებით; ასეთებია, მაგალითად, რიონის ზემო წელის აუზში ყ. ყ. ზოგნითო და კირტიშო, ხოლო კანკახის აუზში თბილისა, ბუბა, ბოყო და კანკახი. ძველი ყინვარები საგრძნობლად უფრო დაბლა ჩამოდიოდნენ და მათი ნამოქმედარი განსაზღვრავს ხეობათა ზემო ნაწილების მორფოლოგიურ ხასიათს. ტროგული ფორმა ახასიათებს მდ. მო ნაწილების მორფოლოგიურ ხასიათს, ჩვეშურას, ბოყოს-წყლის, კანკახის, ხამიჯაურის ხეობებს (უმთავრესად ზემო ნაწილებში). ხეობათა ქვემო ნაწილებს გამყინვარების გველენა სუსტად შეეხო ან სრულებით ირ შეხებია. მიტომაც მათს მორფოლოგის მდინარეული ეროზიისა და აუზმულაციის პროცესები განსაზღვრავენ. მთავარი, შორასა და კედელის ქედების კალთების ქედა ნაწილებში

ჩატრილი ხეობები მეტწილად სივიწროვით განიტევიან. რიონის ხეობის მნიშვნელოვანი მონაცემთისათვის დამახასიათებელია ბრტყელი, რიყარით მოფენილი და მდინარის ცვალებადი კალპოტებით დაქსელილი ფსკერი (სს. ღაბისა და ჭირის მიღამოები).

ვაკა რაიონის შედარებით დაბალ ნაწილში (დაახლოებით 2000 მ ევემო) შეიკუთხება ბორეალური ტყის კლიმატების ტიპის. ზამთარი ცივი და ხანგრძლივია; იანვრის საშუალო ტემპერატურა მერყეობს -3° და -10° შორის. ზაფხული საქმიან თბილია.

ზღვის დონიდან დაახლოებით 2400 მეტრს ზევით, ალპურ სარტყელში, უთბილესი თვეების (ივლის-აგვისტოს) ტემპერატურა 10° არ აღემატება, ხოლო 3400 მეტრს ზევით კი, ნივალურ სარტყელში 0° -ზე დაბალია.

ტყიანი სარტყელის ფარგლებში ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა $1100-1200$ მმ უდრის. ნალექიანობის წლიური მსვლელობის პროცენტი ზაქსიმუმში ზაფხულობით აქვს აღვილი; ამ პერიოდში ნალექთა წლიური ჯამის 30% მოდის. ნალექიანობის მინიმუმი ზამთრობითაა, რაღესაც წლიური რაოდენობის 20% მოდის. ზამთრის დეკალური მაქსიმუმებიდან თოვლსაბურველის საშუალო სისქე $70-80$ მმ-უდრის. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტივი $75-80\%$ შეადგენს.

ტყიანი სარტყელის ზევით ნალექიანობა რაიონში მატულობს და ალპური სარტყელის შუა და ზედა ნაწილებში $1500-1700$ მმ უნდა აღწევდეს (მეტეოროდეგურები ამ ზონაში არ არის).

ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონის ჰიდროგრაფიული ქსელი წარმოდგენილია რიონის ზემო (ციდროთას გამკვეთი ხეობის ზემოთ მდებარე) მონაცემთათ. რომელსაც რაიონის ფარგლებში მარცხნიდან შეერთვიან მთავარი ქედიდან ჩამომავალი მნიშვნელოვანი შემდინარები — ზოგნიოურა, ჩეეშურა, ნოჭარული, ჭანჭახი (უკანასკნელი უმნიშვნელოვანებისა). მთავარ როლს აქვთ მდინარეთა საზრდოობაში ლანქერი (თოვლის ლნობით წარმოქმნილი) და მიწისქვეშა წყლები ასრულებენ. წყლიანობის საშუალო მაჩვენებლებიან წლებში მიწისქვეშა წყლები შეადგენს წლიური საზრდოობის 36% , ლანქერი წყლები 32% , ყინვარული და წყიმის წყლები 8% დახლოებით თანაბარ როლს ასრულებენ: წყიმის წყლები შეადგენს წლიურის 17% , ყინვარული წყლები კი 15% . წყალუბესა და წყალმცირე წლებში საზრდობის სხვადასხვა წყაროთა ზედრითი მნიშვნელობა მკეთრად ცვალებადობს საშუალო მაჩვენებლებიან წლებთან შედარებით.

მიწისქვეშა წყლების ფორმირებაში მთავარი მნიშვნელობა ეკუთვნით ფლუვიალურ-გლაციალურ ნაფენებს; მათს სქელ წყებებში ხდება დაგროვება ყინვარული და ლანქერი წყლებისა. რომელიც მოწესრიგებულად შეერთვიან მდინარეებს.

გამყინვარება განსაკუთრებით ძლიერ არის განვითარებული რაიონის დასავლეთ ნაწილში, საკუთრივ რიონის აუზში, საღაც ყინვარებს $46,7 \text{ კმ}^2$ ფართი უკავია; ჭანჭახის აუზში თოვლის უნივერსალური შემთხველი ფართობი გაცილებით ნაკლებია ($13,1 \text{ კმ}^2$). მთლიანად ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონისათვის შეფარდებითი გამყინვარებულობა $9,6\%$ შეადგენს.

უდიდესი შეფარდებითი წყლიანობა რაიონის ფარგლებში ახასიათებს მთავარი ქედის კალთებსა და განსაკუთრებით საკუთრივ რიონის გასწვრივი მა-

ღალმთიანი ქვაბულის ფარგლებს (50—60 ლიტრი სეკუნდში თვითეული კვერცხობიდან). ჭანჭახის აუზში ჩამონაცენი ცოტოლდნად ნაკლებია რიონის ზემო წალთან შედაზებულ ჩამონის დაბალ საზურგობში ჩამონაცენის მოუზღვის შემცირება 25—30 ლიტრამდე.

ჩამონაცენის წლიური განაწილება ზემო რაჭის მაღალმთიან რაიონში ხასიათდება ზამთრული წყალმცირობათ; თეიური ჩამონაცენის მინიმუმი იანვარშია (წლიურის 2%). მაქსიმუმი კი ივნისში (17—19%) 2300 მ სიმაღლეზე და მაისში უფრო დაბალ ზონებში. ყოველული წყლებით საზრდოობა აქაურ მდინარეებს ივლისის განმავლობაშიც ჰიდ ჩამონაცენის უნარზეც და უზრუნველპიროვს ჩამონაცენის ნება დაქვერთებას აგვისტოში.

მდ. რიონს ზემო რაჭის კვემო მიჯნასთან წლის განმავლობაში მოაქვს საწუალო 850 მილიონი კუბმეტრი წყალი. აქციას 5,1% ზამთარზე მოდის, 26,9% გაზაფხულზე, 47,7% ზაფხულზე და 19,4% ზემოდგომაზე. სამი ყველაზე წყალუხვი თვის (მაისი—ივლისის) განმავლობაში მდინარეს ჩამოაქვს წლიური ხარჯის 51,4%. წლიშინული სამი თვე თოოქმის თანაბარი წყლოვანებით ხასიათდება.

ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონის ნიადაგწარმომშობი პროცესები მცირდოდა და კვეშირებული ამ კუთხის ლითოლოგიურ შედგენილობასთან. ჩელიეფის, კლიმატისა და მცენარული ხავარის ხასიათთან. ბუნებრივი კომპონენტების (და მილიანად ლანდშაფტების) სიმაღლით ცვალებადობასთან ერთად, იცვლება ნიადაგწარმომშობი პროცესები და შესატყისად ნიადაგის ტიპებიც. ზემო რაჭაში ძარღათადად წარმოდგენილია ნიადაგების სამი ზონა — მთატყის, მთამდელობა და ნიკალური ზონა. მთა ტყის ზონაში თიხა-ფიქლების გამოფიტვის ქერქზე განვითარებულია ტყის ყომრალი ნიადაგები. ტყის ქვედა და შუასორეულში გაბატონებული ფოთლოვანი ხე-მცენარეულობის ქვეშ გარეცელებულია შედარებით ზექი ფერის, ჰუმუსით საქმაოდ მდიდარი. ტყის ყომრალი ნიადაგები. ტყის ზემო სარტყელში. სატაც გაბატონებულ ჭიშების წიწვიანები წარმოადგენის (ნაძერი, სოჭი) და რელიეფიც შედრებით მეცრია, გარეცელებულია ტყის გაერჩებული ყომრალი ნიადაგები. ორივე სახის ტყის ყომრალი ნიადაგები ფართოდა წარმოდგენილი როგორც კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთ ფერტობზე. ასევე შოდა-კედელსა და კუდაროს ქედების ჩრდილოეთი მიმართულ ფერტობზე. ტყის ყომრალი ნიადაგების უდიდესი მასივები ტყითა დაფარულია. მაგრამ ნაწილი გამოყენებულია და ათვისებულია სოფლის მეურნეობის კულტურებისათვის.

ზემო რაჭაში სივრცობრივად უფრო მეტი ფართობი უჭირავს მთა-მდელოს ნიადაგებს, რომელიც განვითარებულია ტყის ზონის ზემოთ. კავკასიონის მთავარ ქედზე და აგრეთვე შოდა-კედელსა და კუდაროს ქედების ფერტობზე ღრიშენული ზონა წარმოდგენილია ძირითადად კორდიანი და კორდიან-ტორფიანი მთა-მდელოს ნიადაგებით. მთა-მდელოს ნიადაგების ზემოთ, რელიეფური და კლიმატური პირობების შესატყისად, გამოხატულია სუსტად განვითარებული ნიადაგები, ილაგ-ალაგ ქანების გაშიშვლებით. მდ. რიონისა და ჭანჭახის ზემდაში მდინარეების გასწვრივ ვიწრო, მცირე ფრაგმენტების სახით გავრცელებულია უკარბონატო ალუვიური ნიადაგები.

ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონის ზედაპირის უმტკესი ნაწილი სუბალ-პურა და ალპურ მდელოებს უკავიათ, რომლებშე დაბლაც მთის ტყეთა ზედა სარტყელია განვითარებული. რაიონში ჭარბოდებილია მცენარეულობის შემ-დეგი ტიპები:

1. თხმელნარები, რომლებიც ვიწრო ზოლებს ჰქმნიან მდინარეთა ნაპირების გასწროვ.

2. შერეული ფოთლოვანი ტყეები. უმთავრესად რცხილით, წიფლითა და მუხითა ზედგნილი. რომლებიც ვიწრო ზოლებადვე გაუყვებიან თხმელნარებს.

3. წიფლნარები, რომლებიც 1200 მ სიმაღლიდან სცვლიან შერეულ ტყეებს. მათ ქვეტყეში დამახასიათებელ სახეობებად გვევლინებიან იელი, თხი-ლი, კუნძული.

4. წიფლნარ-მუქწიწვიანი და მუქწიწვიანი ტყეები. რომლებიც გაბატონებულ მნიშვნელობას 1400—1500 მ აბსოლუტური სიმაღლიდან იძენენ და ტყიანი სარტყელის ზეთა სახლორამდე მიღიან. ალგალავ (მაგალითად, შოდას ქედის კალოებშე ს. ლების ვახლობლად) წიწვიანი ჯიშები თითქმის მთლიანად მოსპონბილია ადგინის მიერ. კურორტ ზოებს უახლოეს მიდამოებში, 1600 მ სიმაღლეზე. მუქწიწვიანი ტყეების გავრცელების ზოლში კუნძულისებურად ჩაწიწვილულია ქართული მუხითა და ფიჭვით შედგნილი კორომები, რაც კლიმატური და ედაფორული ინვერსიით უნდა იყოს გამოწვეული.

5. სუბალპური ტყეები პარკული ტყეების ხასიათს ატარებენ. გაბატონებულია წიფლნარ-სოჭნარ-ნაძენარი მაღალმთური ნეკერჩელის, არყისა და კურ-ცელის მონაწილეობით. ტყესთან მორიგეობს მაღალმთური ბუჩქნარები და ველობები.

6. სუბალპური და ალპური მდელოები (არამკაფიოდ გამოსახული გან-მყოფელი სახლვრით) მდგრადებენ ტყიანი სარტყელის ზევით და ქარგად არიან უკნახული მხოლოდ სათიბებად განკუთნილ შემოლობილ უბნებში, სხვაგან კი ძლიერ დაზიანებული არიან პირუტყის ძოვებით და დასარევლია-ნებული ისეთი მავნე მცენარეებით, როგორებიცაა, მაგალითად, ნარ-მუცი, წივანა და სხვ.

ზემო რაჭის მაღალმთიან რაიონში ხელსაყრელი ეკოლოგიური პირობები: ცხოველთა სამყაროს ფართოდ განვითარებისათვეს. ცხოველთა მოსახლეობის რიცხობრივი და სახეობრივი შემადგენლობის მიზედვით განსაკუთრებით გამოიჩინა ტყის ზონა. აქ გავრცელებულია კაცვასიური მურა დათვი, რომელიც ალპურ ზონაშიც იცრება. ტყის ზონაში მოსახლეობს ევრო-პული შევლიც. ბევრია გევლი და მელა, რომელიც აგრეთვე ალპურ ზონაშიც გვხვდებინ. ტყის ზონაში მოიპოვება მაჩევი, კვერნა, ტუას დედოფალა, ტურა, გარეული კატა და სხვა. კაცვასიონის სამხრეთ ფერდობშე, აგრეთვე შოდა-კედელასა და კუდაროს ქედების ჩრდილო ფერდობებშე არის ფოცხვერი. ტყის ზონაში მრავლადა ციყვა, კურდლელი. ტყის თაგვი და სხვა. უჩინ-ველთა მოსახლეობიდან აღსანიშნავია: ჩხიერი, შაშვი, კოდალა, მოლალური, ტყის ტოროლა, ბულბული და სხვა მრავალი.

ზემო რაჭის მაღალმთიან რაიონის ზედა ზონაში გავრცელებულია ჯიხვი, არჩივი. ალპური ზონისათვის დამახასიათებულია ორბი, შურთბი, კრავიჭამია, ჭიკა და სხვ.

14. ეგოგრაფიის ინსტ. შრ., ტ. XII

იქტიოფაუნის ფართოდ განვითარებისათვის ზემო რაჭაში არაა ხელსაყრელი პირობები, ჰიდროგრაფიული ქსელის სიმცირისა და მაღალმთიანობის გამო. მდ. რიონში გავრცელებულია წვერა, ბოლოწიოელი, დამახსიათებელია კალმახის ფართოდ გავრცელება [1].

სამეცნიეროსა და ლეჩხუმის ქედებისა და კუდაროს საშუალო და მაღალმთიანი რაიონი. ეს ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული მოიცავს ცაგერისა და ამბროლაურის ადგინისტრაციული რაიონების ჩრდილო ნაწილებს, ონის რაიონის შეუზოლს და ჯვეის რაიონის ჩრდილო-დასავლეთურ (შავი ზღვის აუზში მდებარე) ნაწილს. ოროგრაფიული თვალსაზრისით მასში შედის სამეცნიეროს ქედის აღმოსავლეთური ბოლოს (ცეკურ-საქერის მასივის) სახელეთული კალთები, ლეჩხუმის ქედის სამხრეთულივე ფერდობი და მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთული კალთები მ. კაზი-ხონიდან მ. ზეკარამდე. რელიეფის ენერგია ძე უფრო ნაკლებია, ვიღრე წინა რაიონში, მაგრამ მაინც მნიშვნელოვან სიღიღეს აღწევს: სიმაღლეთა სხვაობა მ. ცეკურსა და ს. ჭულბაქს შორის (სწორი ხაზით 10 კმ მანძილზე) 2600 მ უდრის, მმ. ჭუთხარო—სამეცნიეროსა და ს. ურავს შორის (11 კმ მანძილზე) 2400 მ, ხოლო მ. ხალაჭასა და ს. ყველეთას შორის (7 კმ) 2100 მ.

რაიონი აგებულია ძირითადად მეზოზოური ხნივანების ქანებით. მის დასავლეთურ ნაწილში (ონის დასავლეთით) გაბატონებულია იურული წყებები, აღმოსავლეთურში კი (კუდაროში) ცარცული. ქვედაიურული თიხაფიქლებით და ქვიშაქვებით გებულია ლეჩხუმის ქედის უმეტესი ნაწილი, შუაიურული პორფირიტული წყებით სამეცნიეროს ქედის აღმოსავლეთური ბოლო, ლეჩხუმის ქედის ფერდობის ქვედა ნაწილში მდებარე ვიწრო ზოლი, ჭუთხარო-კუპრას სერი და მდ. ჯვეორის უზის ქვემთ ნახევარი. ქვედა ცარცი ჯვეორის უზში წარმოდგენილია თიხაფიქლების, კარბონატული ქვიშაქვებისა და მერგელების მორიგეობით. ხოლო ზედა ცარცი კირკვებითა და მერგელებით, რომლებიც ბერგან დაკარსტებას განიცდის. ჯვეორის ხეობაში ს. ქისთასთან არის მეოთხეული დაციტური ლავებით აგებული ვულკანური კონუსი ნასთი-წუფი. მეოთხეული ნაფენები წარმოდგენილია აგრეთვე კავკასიონის მთავარი ქედის კალთებზე, ჯვეორის ხეობის ზემო ნაწილში და რაჭის ქედის აღმოსავლეთური მონაცევის უმაღლეს მასივებზე (მ. მ. სიჩ-ლეგერთაზე, მაჩხარა-ხოხე და სხვებზე) გაერცელებული მორენებით. ფლუვიოგლაციალური ნალექებით, კარსტულ მდემებში (მაგალითად, ს. ჩასავლის მხელობლად არსებულ მლვიმეში) დაგროვილი პალეოლითური კულტურული ნაფენებით და სხვ.

რაიონის რელიეფი მაქსიმალურ სიმცევობრივ აღწევს ნივალურსა და სუბნივალურ ხარტყელებში — სამეცნიეროს ქედის თხემზე, ჭუთხარო-სამეცნიეროს ქედისა-უდელას ქედებზე, მთავარ წყალგამყოფ ქედზე. მ. მ. ცეკური, საქერია, ჭუთხარო-სამეცნიერო, შოდა, დოლომისის-წვერი, ლესქე, კაზი-ხოხი, ხალაჭა, საუ-ხოხი, ზეკარი და სხვები წარმოადგენენ ყინვარებისა და ფიზიკური გმიოფიტების მოქმედებით გამომუშავებულ ტიპობრივ კარლინგებს მათს კალთებში ჩაჭრილი ცირკებითა და კარებით, რომლებშიც ზოგან პატარა ყინვარებია მოთავსებული. მეოთხეული ყინვარების მიერ შექმნილი ტროგები სამეცნიეროს ქედის აღმოსავლეთ ბოლოს სამხრეთულ კალთებზე 2200—2300 მ. აბსოლუტურაში და სამოდერნიზაციის ქედზე (ლუხუნისწყლისა და რიცეულის უზებში) 1900—1950 მეტრამდე, მთავარ ქედზე (ჯვეორის ხეობაში)

1700 მეტრამდე. ტერიტორიის უმეტესი ნაწილის მორფოლოგიურ ხასიათს მდინარეული ეროზიის პროცესები განსაზღვრავენ, ამიტომაც რელიეფის გაბატონებულ შეზო-ფორმებად ხეობები და ეროზიული ქედები გვევლინებიან. ალაგ-ალაგ ნორმალური ეროზით წარმოქმნილი რელიეფი გართულებულია კარს-ტული ფორმებით (ძაბრები და მღვიმები ს. ჩასავალთან, ველოანთას მასივზე და ა. შ.). მონაკვეთის შედეგად გაჩენილი ფორმებით (მ. კლდებოძალის ჩამონანგრევით შეგუბებული ქვედის ტბის ქვაბული), ვულკანური ნაეგბობით (იხ. ზემოთ) და ა. შ.

პავა რაიონის ქვედა პირველმეტრიულ სარტყელში (დაახლოვებით 1200 მ სიმაღლემდე) ზამთრობით ზომიერად ცივია, ზაფხული კი აქ თბილი და ხანგრძლივი იცის. იანვრის საშუალო ტემპერატურა -2 — -3° უდრის, ივნისისა 20 — 21° . სიმაღლის ზრდასთან ერთად ტემპერატურა კლებულობს და 2200 მ სიმაღლეზე დაწყებული უთბილესი თების საშუალო ტემპერატურა 10 — 12° დაბალია. ქვედა სარტყელში ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა 1300 — 1500 მილიმეტრს უდრის; თოვლის საბურეველის საშუალო მაქსიმალური დეკადური სიმაღლე 80 — 90 სანტიმეტრია. საშუალო წლიური შეფარდებითი სინორივე 78 — 83% . ზედა სარტყელში ნალექთა წლიური ჯმი 1000 — 1100 მმ არის; თოვლასაბურვლის საშუალო მაქსიმალური დეკადური სისქე 60 — 70 სმ; საშუალო წლიური შეფარდებითი სინორივე 70 — 75% .

მდინარეთა ქსელი რაჭა-ლეჩხუმის განსახილეველ ზოლში წარმოდგენილია მდ. მდ. რიონისა და ცხენისწყლის შემდინარების (კონიულის, ლაგანურის, ასკისწყლის, რიცეულის, ლუხუნისწყლის, საკაურას, ლარულას, ჭყორის) უმთავრესად ზემო და შუა ღინებებით. ტბებიდან მნიშვნელოვანია ქვედის ტბა (იხ. ზემოთ).

მდინარეთა სასრდოობის პირობებისა და წყლოვანების მიხედვით აღსაწერი რაიონის ფარგლებში საქმაოდ მყვეთობად განსხვავდებიან რიონის მარჯვენი (ჩრდილოეთი) და მარცხნივ (აღმოსავლეთი) მდებარე ქვერაიოხები. მარჯვენა ანუ თავვერის ქვერაიონს შეადგენენ მდ. მდ. ჭონულის, ლაგანურის, ლუხუნისწყლის აუზები, მარცხენა ანუ კუდაროს ქვერაიონს კი ჭყორ-ლარულის აუზები.

აღნიშნულ ქვერაიონებს შორის მთავარ განსხვავებას მათი წყლოვანების ხარისხი შეადგენს. მარჯვენა ქვერაიონი, რომელშიც სამეგრელოსა და ლეჩხუმის ქედთა სამხრეთული კალთები შედის. უფრო ხელსაყრელია ატმოსფერული განესტანებისათვის (თავისი გეოგრაფიული შედებარების მეოხებით), ამიტომაც წყლოვანება აქ უფრო უხვია, ვიდრე მეორე (მარცხენა ანუ კუდაროს) ქვერაიონში. მაგალითად, 2500 მ სიმაღლეზე შეფარდებითი წყლოვანება მარჯვენა ქვერაიონში 50 ლ/ტრს ეთანასწორება სეკუნდში თვითეული კვადრატული კილომეტრიდან, მარცხენა ქვერაიონში კი 35 ლ/სეკ. 2000 მ სიმაღლეზე, შესაბამისად, 45 ლ/სეკ და 32 ლ/სეკ გვაქვს, ხოლო 1500 მ სიმაღლეზე 37 ლ/სეკ და 29 ლ/სეკ. ცხენისწყლის აუზში შეფარდებითი წყლოვანება კილევ უფრო მეტია.

რაიონის მდინარეები საზრდოობენ ლანქერით. წვიმებითა და მიწისქვეშა წყლებით. უნიშვნელო ყინვაზულ საკვებს ლებულობს მდ. ჭყორი. ზოგიერთი სხვა მდინარის (ლარულას, ლუხუნისწყლის) აუზებში არსებული პაწი ყინვარები მდინარეთა სასრდოობაში მრავითარ როლს არ ასრულებენ.

ରାଗିନୀଙ୍କ ଫ୍ରାର୍ଗ୍ରେଡ଼ଶି କାର୍ଗାଦ ଏହି ପାଥିଲାକୁଣ୍ଡି ହାମିନାଙ୍କୁଣ୍ଡି ଫିଲୋଇର୍ ଗାନ୍ଧାର୍ତ୍ତିଲ୍ଲେବିଲ୍ ପ୍ରାର୍ଥିଗାଲୁଣ୍ଟର ଖେଳାଲାମଦା ଉଦ୍ଦିଷ୍ଟେ ଫିଲ୍ମଲାଙ୍କର୍ବନ୍ଦେବା ଶେରା ଖେଳିବିଶ୍ଵ ମଦ୍ରିନାର୍ଥ୍ୟବିଶ୍ଵ ପିନ୍ଧିନିଶ୍ଵିଶ୍ଵ ଏହିତ, ଦାଦାଲ ସାର୍ଥିପ୍ରେଲ୍ଲେବିଶ୍ଵ କି (ବାହୁଦାଲମତୀବ ଶିଲ୍ପି) ମାଦିଶ୍ଵ. ମିନିମାଲାର ହାମିନାଙ୍କୁଣ୍ଡି ବାନ୍ଦାର-ଟିପ୍ପଣ୍ଡାଲିଶ୍ଵ ଏହି ପଦିଗିଲି.

სამეცნიერო-ლექციურის ქედთა სამხრეთული კალთები და კუდარო უმთავრესად მთატყეთა ლანდშაფტის უკავია, რომლის ზემოთაც ვიწრო ზოლად ალპური სარტყელია წარმოდგენილი სუბნიველური და ნივალური ლანდშაფტის ცალკეული კუნძულებით.

რაჭა-ლეჩისუმის ჩრდილო საშუალომთიანი რაიონი პროფ. მ. საბაშვილის მიხედვით დასაცლეთ საქართველოს მთა-ტყისა და მთა-მდელოს ნიადაგების ზონებშია მოქცეული და შემდეგ ნიადაგურ რაიონებს მოიცავს: კავკასიონის კარსტულ-კრეტიკული ლოქის ნეშობპალა-კარბონტული ნიადაგების რაიონი, სეანეთ-ლეჩისუმ-რაჭის ყომრალი და მთის გაერტობული ნიადაგების რაიონი და მთა-მდელოს ნიადაგების რაჭა-ლეჩისუმის რაიონი.

საკულტო ტერიტორიაზე დიდი გავრცელებით ხასიათდება ნეშმობალა-კარბონატული ნიადაგები. რომელიც ჩელიიფისა და მცენარეულობის ხასია-თის, აგრეთვე განვითარებისა და ჩამორჩეცეს ხარისხის მიხედვით სხვადასხვა-გვრია; ქე ეხედებით, როგორც საშუალო და მცირე სისქის, ასევე ძლიერ ჩა-მორჩებილ და გაეწრებულ ნეშმობალა-კარბონატულ ნიადაგებს. ნეშმობალა-კარბონატული ნიადაგების კომპლექსი ფართოდ განვითარებულია განხილული რაიონის თავვერის ქვერაიონში, შედარებით მცირედ კუდაროს ქვერაიონში.

საკმაოდ ვრცელი ფართობი უჭირავს ტყეების ქვედა და შუა სარტყლის ყომრალ ნიადაგებს, რომლის უფრო მსხვილი მასივები წარმოდგენილია კუ-დაროს ქვერაიონში. შოდა-კედელასა და ლეჩხუმის ქედთა ფერობობებზე მდ. ლუხუნისწყლის ზემო აუზში, აგრეთვე მდ. ლაგანურის ზემო წელის აუზში განვითარებულია ტყის გაერთიანებული ყომრალი ნიადაგები.

საკვლევი რაონის ფარგლებში, ლეჩხუმის, შოდა-კედელასა და კუდარის ქედის სამხრეთ ფერწობების მაღალ ნაწილებში, ტყის ზონის ზემოთ, ბალახ-მცენარეულობის საფარის ქვეშ, გავრცელებულია კორდიანი და სუსტად გაეწერებული მთა-მდელოს ნიაღვები.

მდინარეთა ნაპირებისათვის დამახასიათებელია თხმელნარები. მთატყეფა
ქვედა სარტყელში იზრდება ტყები: მუჯნარ-რტყელნარი, ჭაბლნარ-რტყელ-
ნარი (რაონის დასავლეთ ნაწილში) და ფიქვნარი (აღმოსავლეთ ნაწილში).
1200—1300 მ სიმაღლიდან მთა სცელის წიფლის ტყები ქვეტყეში წარმოდგე-
ნილი იყოთ, წყავით, ჰყირით, თხილით, მაყველითა და სხვა ბუჩქებით; წიფლ-
ნარები ზოგან ტყიანი სარტყელის ზედა საზღვრამდე აღწევენ, ზოგან კი აღ-
გილს უთმობენ მუქწიწვიან ტყებს. რომლებსაც ისეთივე ქვეტყე აქვთ. ძინი
უწყვეტ სარტყელს შხვლობს, რიცეულს, საკაურას, ჭანჭა-
ნის აუზებში კემნიან; წიფლნარებში ჩაწინწელული ლაქების სახით ისინი გვე-
დება ასკისწყლის, ლუხუნისწყლის, კეჯორის აუზებში; სრულებით არ მოიპო-
დება მუქწიწვიანი ტყე ლაგიანურის აუზში.

თან. უფრო მაღლა სუბალპური მდელოების სარტყელია; სუბალპები აქ დასავლეთ მიერკავებასიისათვის დამახსიათებელი ტიპისაა და აღმოსავლეოთისაც ნიღარისებას განიცდის. სუბალპებს მოსდევს ალპური სარტყელი.

განხილულ რაიონში, ბუნებრივი პირობების შესატყვევისად, წარმოდგენილია ტყის ზონისა და ალპური ზონისათვის დამახსიათებელ ცხოველთა მოსახლეობა. ზემო რაჭის მაღალმთიანი რაიონის ტყის ზონის ანალოგიურად, აქ საშუალომთიან ტყიან ზონაში გავრცელებულია კავკასიური დათვი, ბევრია მგელი და მელა, რომლებიც, სარჩოს საძიებლად ასული, ალპურ ზონაშიც გახვდება, აგრეთვე ტურა, ტყის კვერნა. მრავლად მოიპოვება ციუვი და კურდღლელი, აგრეთვე ტყის თავვი. ალპურ ზონაში გვხვდებით არჩეს. საშუალომთიანი რაიონის ფრინველთა მოსახლეობა იგივეა, რაც მაღალმთიანი რაჭისა, იმ განსხვავებით, რომ აქ საშუალომთიან რაიონში იშვიათად გვხვდება შურთხი (ალპურ ზონაში).

ამგვარად, განხილულ რაიონში კლიმატური, პიდროლოგიური და სხვა მაჩვენებლების მიხედვით ორი ქვერაიონი გამოიყოფა:

ა) თავკერის ქვერაიონი და

ბ) კუდარი, ქვერაიონი.

განხილულში, რომლებიც ამ ქვერაიონებს შორის არსებობს, ზემოთ უკვე აქნა აღნიშნული.

დეჩეუმ-რაჭის დაბალმთიანი რაიონი, მოიცავს რა ცაგერის, ამბროლაურისა და ონის რაიონების უდაბლეს ნიშილებს, დახლოებით ემთხვევა შესამეული, ჭანების გავრცელების არეალს რაჭა-ლეჩიშვილის სინკლინის ღერძულ ზოლში. ოროგრაფიული თვალსაზრისით მასში შედის რაიონის ხეობა ქ. ონიდან ტვირიშის კლდეების ადგინენდება, ლაგანურის ხეობის ქვემთ ნაწილი ორბელის ქვაბულისა და ლაშეპინის სერის ჩათვლით, ცხენისწყლის ხეობის გაფართოებული მონაკვეთი (ჯაგრის ქვაბული) და ორბელ-ტაგერის ქვაბულთა გამყიფელი შუა ლეჩიშვილის სერი. რაიონის უდაბლესი პუნქტები მის დასავლეთურ, გაფართოებულ ნაწილშია ტვირიშისა და სარეწყელს კლდეების ჩრდილო შესასელელებან, ზღვის ღონისძაღლ 320—350 მ სიმაღლეზე, ხოლო უძაბლესი პუნქტები შუა ლეჩიშვილის სერზე, ლაბეგინის სერზე და სხვაგან 1100—1400 მ აბსოლუტურ სიმაღლეს აღწევენ. რელიეფის ენერგია განსახილებულ რაიონში გაცილებით ნაკლებია, ვიდრე რაჭა-ლეჩიშვილის დაბარჩენ ნაწილებში და ჩევულებრივად 400—500 მეტრის ეთანასწორება.

რაიონის გეოლოგიურ აღნაგობაში გაბატონებული მნიშვნელობა მესამეულ (რაღიოცენურსა და მიოცენურ) ქანებს ეკუთვნით, რომლებიც წარმოდგენილია თხებით. ქვიშაქვებით, მერგელებით, კონგლომერატებითა და კირქვებით. ლაბეგინის სერი ცარცული კირქვებით არის აგებული.

რელიეფის საერთო ხასიათი — ღარისებური მოყვანილობა და შედარებით არარტმა დანაწევრება შეპირობებულია ტექტონიკით, სახელდობრ სინკლინური სტრუქტურით. ტექტონიკურ ფორმას უკავებენ წარმოადგენს ლაბეგინის სერი, რომელიც ანტიკლინურ ნაოჭის ემთხვევა. ზედაპირის მეზორელიეფურ ნაკვეთებს ძარითადად მდინარეული ეროზია ვანსაზღვრავს, რომლის მიერაც არს გამომუშავებული ცაგერისა და ორბელის ქვაბულები. შუა ლეჩიშვილის სერი, რაიონის ხეობა, ცაგერის ქვაბულში კარგად არის გამოსახული აუმულაციურ-ეროზიული მდინარეული ტექტონიკი; ტექტონიკის არის რაიონის ხეობის მთელ რიგ მონაკვეთებზეც. ფართოდ არის გავრცელებული მეტყურული მოვლენები, რომელთა

ლექსიუმ-რაფის დაბალმთიანი, ჭყიდროდ დასახლებული, თვისი მცენახეობით უნიკალური ზონის ჰავა ზამთრობით ზომიერად თბელია, ზაფხული კი საკმაოდ ცხელი და ხანგრძლივი იყის. ზამთრის თვეების საშუალო ტემპერატურა 0° — 2° შერის მეტყველებს. ტემპერატურის აბსოლუტური მნიშვნელი — -25 — -26° მდე იყენდა. ზაფხულის 3 თვეს ტემპერატურა 20° —ზე მეტია. ტემპერატურის აბსოლუტური მაქსიმუმი 35 — 38° აღწევს. ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა უდირის 1000 — 1300 მმ. ნალექთა უდიდესი რაოდენობა სექტემბერში მოლის (საშუალოდ 120 მმ), უმცირესი კი აპრილში (60 — 65 მმ). თოვლის საბურეველა არამღვრადია. საშუალო წლიური შეფარდებითი სინოტიური შეადგინს 70 — 75% .

Հոգոնքը համոնացնեն հայոնքն ուղղակի գուգած նշանան որոշ մերօքան
մարտուցել մժագալրի սեպանո Մեթոնահրցեծ և Մենագագեծն ու հայոնքն ուղարկած առաջարկությունը առ 1370 մոլոնքն է՛պ-
տակած առն այս Մաթուրան նախադասքը 8%, զանցելով մաթուրանը 31%, Տափակած 43% և Մաթուրանը 18%). Հայոնքն էյցեն Տափակած Մաթամատիկա Տեսածանուն Տունու 3280 մլն յունական առաջարկությունը 9%, զանցելով 38%, Տափակած 35% և Մաթուրանը 18%). Մաթուրանը առ 1370 մոլոնքն է՛պ-
տակած առն այս Մաթուրան նախադասքը 8%, զանցելով մաթուրանը 31%, Տափակած 43% և Մաթուրանը 18%). Հայոնքն էյցեն Տափակած Մաթամատիկա Տեսածանուն Տունու 3280 մլն յունական առաջարկությունը 9%, զանցելով 38%, Տափակած 35% և Մաթուրանը 18%). Մաթուրանը առ 1370 մոլոնքն է՛պ-
տակած առն այս Մաթուրան նախադասքը 8%, զանցելով մաթուրանը 31%, Տափակած 43% և Մաթուրանը 18%).

სინკლინის რაონის ნეშმოპალა-კარბონატულ ნიადაგებს ახასიათებს სა-შუალო სისქე. ჰუმუსის საქმაოდ დიდი შემცველობა, კარგი სტრუქტურა და შესანიშნავი წყალ-ჰაეროვანი თვისებები, რას გამოც ეს ნიადაგებმ ძალისა-ლურად არის ათვისებული სასოფლო-სამეცნიერო კულტურებისათვის. აღსანიშ-ნავია, რომ შესაფერის მიკროკლიმატურ პირობებში ამ ნიადაგებში უძვირფასე-სი ხარისხის ვაზი ხარობს. განხილულ რაიონში გაერცელებულია აგრეთვე, შე-დარებით მცირედ, ტყის ყომრალი ნიადაგები, განსაკუთრებით ონის აღმინისტ-რაციულ რაიონში. ნაწილობრივ ლენჩუმისა და ამბროლაურშიც; აღნიშნული ნიადაგები უშერესად ტყითა დაფარულია. თუმცა მისი საყურადღებო ნაკვე-ოება გამოყენებულია სას.-სამეცნიერო კულტურების ქვეშ. სინკლინის რაიონის მდინარეთა ხეობებში (რიონის, ცხენისწყლის), დაბალ ტერასებზე, ფრაგმენ-ტების სახით გავრცელებულია ალუვიური (მეტწილად კარბონატული) ნია-დაგები.

Γ რაჭა-ლენჩუმის ლაბალმთიანი რაიონის მცინარეულობას თითქმის მთლია-ნიდ დაკარგული აქვს თავისი ბუნებრივი, პირველადი ხასიათი, იგი კულტურუ-ლი ნაკვეთებით და ტყის დერივატებით არის შეცვლილ. პირველადი მცენარე-ული საბურჯველი აქ წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო მუხნარ-ტცხილანარი და ფუჭვნარი ტყებით, რომელიც სადღეისოდ მცირე ნაგლეჯების სახითაა ალაგ-ალაგ შემორჩენილი და ძლიერ გარდაქმნილია.

ამჟამად რაიონისათვის ყველაზე მეტად მცინარეულობის შემდეგი ტიპებია დამახასიათებელი: 1. ბუქენარები, შედგენილნ მუხით, რცხილით, შინდით, კუ-ნელით, ქაუკით, მაკვლით და სხვა ჯიშებით, რომელთაც ზოგან ემატება ძეგვი, კვრინჩხა (მაგალითად, ამბროლაურის მიღმაში) და 2. მეორადი მდელოების მცინარეულობა, ხშირად ფრიგანობილი ხასიათის მქონე.

რაჭა-ლენჩუმის ქვაბულის ფარგლებში სინკლინის რაიონი ყველაზე უფრო მჭიდრო დასახლებულია და ბუნებრივი ლანდშაფტები აქ თითქმის მთლიანიდ კულტურული ლანდშაფტებითა შეცვლილი: ოდესაც აქ არსებული ულრანი ტყების ადგილზე ახლა კომეურნეთა ბალ-ვენისებით გაშენებული. ამასთან დაკავშირებით გარეულ ცხოველთა გავრცელების არეალი აქ უკიდურესად შემცირდა. სინკლინის რაიონში ტყის ზონიდან სარჩის საძებრად იჭრება მე-ლი, მელა და ტურა. გვედრება ტყის კურდელი, ციყვი, მაჩვი, დედოფალა, თაგვი და სხვ. ტრინკელთა მოსახლეობიდან შეიძლება დავასახელოთ დაახ-ლოებით იგივე წარმომადგენლები, რაც ტყის ზონისათვისაა დამახასიათებელი (ოლონდაც რაოდენობის მხრივ შემცირებული). რაიონის მდინარეებში მოვთ-ვება წევრა, ბოლოწითელი, ქაში და სხვ.

ლენჩუმ-რაჭის სამხრეთული საშუალომთიანი, კარსტული ზოლი. განსა-ხილებელი რაიონი მოიცავს ცაგერ-ამბროლაურის რაიონშის სამხრეთულსა და ონის რაიონის სამხრეთ-დასავლეთურ ნაწილებს, ოროგრაფიულად კი წარმო-დაგენილია რაჭის ქედით და მის დასავლეთურ გაგრძელებაზე მდებარე ხევილ-ების შასიცებით. რელიეფის ენერგიის მიხედვით ეს რაიონი ჩამოუკარდება ზემო რაჭის მაღალმთიანასა და ლენჩუმ-რაჭის საშუალო და მაღალმთიან რაი-ონებს. მაგარაც აღმატება ლენჩუმ-რაჭის დაბალმთიან რაიონს. სიმაღლეთა სხვაობა ოფიციალურ ქვედას თხემსა (ასეის მასივის ჩრდილო პერიფერია) და ს. ქულბაქის შორის. სწორი ხაზით 5 კმ მანძილზე, 1350 მ უდირს, ხვამლის მწვერ-ვალსა და ს. ტეტეს შორის (6—7 კმ მანძილზე) 1650 მ. ხოლო მ. ხინათასა და ქ. ონის შერის (20 კმ) 1300 მ.

რაინი ეგებულია უმთავრესად ცარცული სწორების ნალექი ქანგბით, რომლებიც მკაფიოდ იყოფა სამ ლითოლოგიურ კომპლექსად ანუ წყებაღ. სტრატიგრაფიულად უდაბლესი წყება წარმოადგენს უ-ზენტრული სართულის შასივი (ურგონული) კირქვებით, ზედა წყება ტურონ-სენონის თხელური კირქვებით, ხოლო მათ შორის მოქცეულია შეა ცარცის (პტ-ალბ-სენონის) თახები, ქეიშაკვები და მერგველები.

კირქვების ფართო განვითარებისა და კარსტული პროცესების ჩრდების მეობელობის მეოხებით, განსახილებელ რაინის კარგად აქვთ შემონახული სტრუქტურით შეპირობებული მორფოლოგიური ნაკვეთები. ნექტრალს ქედი და სვამლის მასივი წარმოადგენს ტიპობრივ კუესტებს სამხრეთისაკენ მიმდევალი მაღალი ქარაფებით და ჩრდილოეთისაკენ. ე. ი. შრეების ვარდნის მიმართულებით დამრეცად დახრილი საწინააღმდეგო ფერდობებით ეროზიული ფორმები წარმოადგენილია კინონისებური ხეობებით, რომლებიც ან ჰკეთები ზოლს (სარეზკელას და ტვერის კლდეკარები) ან ჩაჭრილი არიან რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობში (შარეულის, ხორცევისწყლის, ხეორის კანიონები). კარსტული რელიეფი გამოსახულია ძაბრებით, კებით, მღვიმებით. რამდენიმე პუნქტში კინობილია ყინულოვანი შახტები („ბოგა“ ხვამლზე, სხვავისა და ნიკორწმინდის საყინულები რაჭის ქედზე). რაჭის ქედის გამსაუთრებულ გეომორფოლოგიურ ელემენტად გვევლინება შორის ტაფობი, რომელსაც ქვერაიონად გამოყოფით. ეს ქვერაიონი მდებარეობს რაჭის ქედის ჩრდილო ფერდობზე და წარმოადგენს კარსტულ პოლიეს. გაჩერილს დავლი ერთხმიულ ხეობის ტეტრონიკური გდაღლებების შედეგად. შორის ტაფობის სიფიდეა 9×14 კმ, საიდანაც ტბიურ-მდინარეული ეკუმულაციით წარმოქმნილ ბრტყელ ფსკეს 6,1 \times 3,7 კმ უართობის უკავია. აღნიშნული სიბრტყე ზღვის დონიდან 1100—1150 მ სიმაღლეზეა, ტაფობის კიდეთა აბსოლუტური სიმაღლე კი 1500—1700 მ აღწევს. უდაბლესი კიდე მდებარეობს ტაფობის ჩრდილო ნაწილში — ს. ნიკორწმინდასთან (სინათლესთან). საზაფ სიმაღლეთა სხვაობა ტაფობის ფსკერსა და მისი შემომავარგელებით წყალგამყოფის თხემს შორის 100 მეტრით განისაზღვრება.

ცავა რაინის უმეტეს ნაწილში (რაჭის ქედსა და ხვამლის მასივის კალთებზე და თხემზე) ხასიათდება ციკი, ხანგრძლივი და თოვლუხვი ზამთრით, თბილი და წვიმიანი ზაფხულით. რაინის უდაბლეს ნაწილებში, რომლებიც მდებარეობენ ტვიშისა და სარეზკელას კლდეკარებში, ცავა საგრძნობლად უფრო ნაზია: ზამთარი აქ ზომიერად ციკი, ზაფხული კი ცხელი იცის: ატმოსფერულ ნალექთა წლიური რაოდენობა ამ დაბალ უდნებში 1300—1500 მმ უდრის, ზაღალ ზონაში კი 2000 მმ აღმატება. კლიმატური თვალსაზრისით განსაკუთრებული აღვალი უკავა შორის ტაფობს. რომლისთვისაც დამახსიათებელია არაჩვეულებრივად ციკი ზამთარი (იანვრის საშ. ტემპ.—6°, აბსოლ. მინიმუმი—38—40°) და ატმოსფერულ ნალექთა სიუხვე (წელიწედში 1800 მმ). თოვლის საბურველი აქ სქელი (140 სმ) იცის.

რაჭა-ლეჩხემის სამხრეთული საშუალომთან ზოლის ერთ-ერთ დამახსიათებელ თავისებურებად კარსტული წყლების სიუხვე გვევლინება, რაც გამოხატულებას პოვებს ვოკლუზური ტიპის წყაროების სიმრავლეში. კარსტული წყლების გამოსავლები მუდმივი და პერიოდული ვოკლუზების სახით ამ რაინში თითქმის ყველგან გევედება, მაგრამ განსაკუთრებით მღიდარია ამ მხრივ რაჭის ქედის, კალთები (პირველ რიგში შორის ტაფობი და მისი მიდამ) კარსტული ჰიდროგრაფიის მოვლენები ხვამლისა და ასხის მასივებსაც ახასიათებს.

მიწისქვეშა წყლები აქ დიდ როლს ასრულებენ მცირე მდინარეთა კვებაში. ამასთან ერთდა საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი აქვთ აქაური მდინარეების სა-ზრდობაში წვიმისა და ლანქერის წყლებსაც.

რაჭის უფრო აღმოსავლეთური ნაწილისაგან განსხვავებით, შეფარდებითი წყლოვანება აქ აუზის მარცხენა მხარეზე დაახლოებით ისეთივეა, როგორც მარჯვენა მხარეზე, რაც გამოწვეულია შაორის ტაურისა და მისი სანახების გაძლიერებული დანესტრიანებით.

საშუალო ჩამონადენის მოდული აქ შეაღეს 2000 მ სიმაღლეზე დაახლოებით 45 ლიტრს სეკუნდში თუთეული კვადრატული კილომეტრიდან, ხოლო 1500 მ სიმაღლეზე ნაკლებია და ვერ აღწევს 40 ლ/სეკ კმ². მაგრამ ეს არის ჩამონადენის მხოლოდ თეორიული სიდიდე, — სინამდვილეში რაიონის მაღალი, დაკარსტული კირქვიანი ნაწილები ბევრად თითქმის მოკლებულია ზედაპირულ ჩამონადენს იმის გამით, რომ ატმოსფერული წყლის კირქვის ნაპრალებში და კარსტულ ძაბრებში ძალისა — შთანთქმა სწარმოებს. მიწისქვეშა წყალთულებათან დაკავშირებით, ზოგ აუზში ჩამონადენი გაზრდილია, ზოგში კი მეზობელ აუზთა ხარჯზე შემცირებული.

მაგალითისათვეს შეიძლება აღნიშნოს, რომ ცხენისწყლის აუზის მარჯვენა სააპიროდან ჩამონადენის ნაწილი მიწისქვეშა ნაკადების სახით დასავლეთისაკენ მიდის — ტეხურის მარცხენა შემდინარის აუზში (სამეგრელო).

ჩამონადენის წლიური განაწილება აღსაშენებ რაიონში სიმაღლესთან ერთად ცვალებაღიბს. ზედა ზონაში, რაჭა-ლეჩხუმის სხვა ნაწილების ანალოგიურად, დადგება საზაფხულო ჩამონადენის ხედირი.

შაორის ტაფობში ჩამონადენის წლიური განაწილება მკვეთრად განსხვავდება იმავე სიმაღლის შემნე სხვა აუზებისათვის დამახასიათებელი განწილებისაგან. აქ უდიდესი წყლოვანება პრილშია ხოლმე. ოქონმბერში წვიმები შესამჩნევად ზრდიან ჩამონადენს. წყალდიდონის ნაადრევობა ამ რაიონში იმით არის გამოწვეული, რომ დიდი-ჭალის აუზს, რომლის საშუალო აბსოლუტური სიმაღლე 1450 მ უდრის, სიმაღლეთა სხვაობა მხოლოდ 840 მ აქეს (1260—2000 მ), თანაც 1160—1800 მ ფარგლებში მოქცეულია აუზის მთელი ზედაპირის 95 %. აღსანიშნავია, რომ, მაგალითად, მდ. ლაჯანურის აუზს საშუალო სიმაღლე 1510 მ აქეს, ხოლო 1160—1800 მ შუალებში მისი ფართობის მხოლოდ 46 % მდებარეობს. მაშასადამე, დიდი-ჭალის აუზში თოვლის ერთორული დონის ფართობის შეფარდებითი სიდიდე საგრძნობლად უფრო მეტია. ეიდრე რაჭა-ლეჩხუმის სხვა აუზებში, მიტომაც აქ ნააღრევი და უცაპედი წყალდიდობა იცის.

რელიეფის, ლითოლოგიური შედეგენილობის და აგრეთვე მცირნარეული საფარის ხსიათის შესატყვისად კირქვიან რაიონში გამოხატულია ნიადაგების სხვადასხვა ტიპი. ყველაზე ვრცელი ფართობი უკავია კირქვების გამოწვის ქერქზე განვითარებულ ნეშომპალა-კარბონატულ ნიადაგებს, რომელიც გამოხატულია ასხისა და ხვამლის მასივზე, შაორის მიდამებში, სინკლინის რაიონის სამხრეთით რაჭის ქედის ფერდობზე და სხვ. კირქვიან რაიონში განვითარებულია, შედარებით მცირდ, ტყეების ქვედა და შუასარტყელის ყოჩალი ნიადაგები, რომლებიც ნეშომპალა-კარბონატული ნიადაგების გავრცელების ზოლში კუნძულების სახითაა ჩაწოლილი. რაჭის ქედის

თხემურ ნაწილში წარმოდგენილია ტყის ზედა სარტყლის გაეწრებული ყომრალი ნიადაგები. განხილული რაიონის მაღალ ნაწილში მცირე მასივებად გავრცელებულია კორდიანი და სუსტად გაეწრებული მთა-მდელოს ნიადაგები (მთ. ხიხათახე, მთ. ფოცხვრევზე, ასეის მასივზე). კირქვიან რაიონში ვხვდებით აგრეთვე დაჭაობებულ ნიადაგებასაც (შაორის ქვაბულში).

კირქვიანი ზოლის მცენარეულობა ფრიად მრავალფეროვანი და უხვია, მისი სიმდიდრე რაჭა-ლეჩხუმის დანარჩენი ნაწილების მცენარეულობისას სჭარბობს. მისი თავისებურება შეპირობებულია სუბსტრატის (კარბონატული ქანების) ხასიათით. ამ რაიონის ძირითადი ფართობები ტყეებს უკავიათ; მხოლოდ ასხის მასივისა და რაჭის ქვედის თხემზე არის ალპური მცენარეულობის კუნძულები.

ტყის მცენარეულობის ზონალურ ტიპებად რაიონში გვევლინებან:

1. მუხნარ-რცხილნარი ტყეები ფოთოლფენალ ბუჩქებისაგან შედგენილი ქვეტყით, რომლებიც უმთავრესად სამხრეთულ ფერდობებთან არიან დაკავშირებული და 1200 მ სიმაღლემდე ვრცელდებან;

2. წიფლის ტყეები. რომლებიც მუხნარ-რცხილნარების ზევით არიან განკითარებულნი; რაიონის დასავლურ ნაწილში ისინი ზღვის დონიდან 1400—1500 მ სიმაღლეს აღწევენ, აღმოსავლურ ნაწილში კი 2000 მ. წიფლნარების ქვეტყეში დამახასიათებელ სახეობებად გვევლინებან: დასავლეთით მარადეწვანე ბუჩქები (წყავი, შექრი, ბზა, კური და სხვ.), აღმოსავლეთით კი ფოთოლფენადები: იელი, თხილი და ა. შ.;

3. მუქწიწვიანი ტყეები წარმოდგენილია მხოლოდ დასავლეთით, სადაც ისინი წიფლის ტყეების ზევით ისრდებან, 1400—1500 მ სიმაღლიდან ტყის ზე-და საზღვრამდე;

4. სუბალპური პარკული ტყეები, შედგენილი წიფლით, ნაძვით, სოჭით, მიღალმთური ნეკერჩელით, ცირცელით, არყოთ, რომლებიც მორიცებენ ბუჩქნართან (პონტოსის მაჯაგვერი, იელი, წყავი, ღვია და სხვ.).

სუბალპურ მდელოებს უკავიათ განმარტოვებული ფრაგმენტები ასხევება, ხეომლზე, ხიხათას მასივზე. ამ ზონაში ასებული კირქვიანი კლდეების მცენარეულობა უდიდესი მრავალსახოვნებით განიჩევა.

კირქვიანი რაიონი საქამაო მდიდარია ტყის ცხოველთა მოსახლეობით. რაჭის ქედზე ბევრია ტყის ტიპობრივი ცხოველი დათვი; გაერცელებულია კავკასიური მგელი, ამიერკავკასიის მაჩვი, ტყის კერძნა. რაიონში ყველან მოიპოვდა კავკასიური დელფინალა, ტყის კატა. ტყეებსა და ბუჩქნარებში გინადრობს ტურა. რაჭის ქედზე, ასხისა და ხეომლის მასივებზე, შაორის ქვაბულში და სხვ. გაერცელებულია მელა. რაჭის ქედზე იშვიათად. მაგრამ მინც გვხვდება. არწივი, განხილულ რაიონში მღრღნელებიდან ბლომაზლა გავრცელებული კურდღლელი, ციცვა და ტყის თაგვა; მწერქამიერიდან — ზღარბი და თხუნელა. ფრინველთა მრავალი სახეობიდან ღესანიშნავია: მოლალური, ბულბული, კულუმბური, ჩხიკევი, შაშვი, კოდალა, ქორი, ყვავი, კოტი. ბუ და სხვა. ჰიდროგრაფიული ქსელის სუსტად განვითარების გამო, რაიონი შედარებით ღირებია იქტიოფაუნით. ოვეზების ზოგ სხვა სახეობებთან ერთად ყურადღებას იპყრობს კალახის გავრცელება. იგი მოიპოვა როგორც მდინარე შარეულში, ისე, უფრო დიდი რაოდნობით, შაორის წყალსაცავში [8, 9].

Н. Е. АСТАХОВ, Л. А. ВЛАДИМИРОВ, Г. Д. ДОНДУА, М. О. КОРДЗАХИА,
Л. И. МАРУАШВИЛИ, С. Н. НЕМАНИШВИЛИ, Е. В. СОХАДЗЕ,
Д. Б. УКЛЕБА и Г. З. ЧАНГАШВИЛИ

ФИЗИКО-ГЕОГРАФИЧЕСКИЙ ОЧЕРК ЛЕЧХУМСКО- РАЧИНСКОЙ ГОРНОЙ КОТЛОВИНЫ

Резюме

Входящий в ландшафтную область Кавкасиони район Лечхумско-Рачинской котловины совпадает с тектонической зоной одноименной синклинали и окружающих ее горных цепей. Особенностью его рельефа является наличие изолированного «острова» третичных отложений, смятых в пологие складки и имеющих довольно неглубоко расчлененную (низкогорнохолмистую) поверхность. Синклинальная мульда ограничена с юга известняковыми куэстами и массивами, а с севера Мегрельским и Лечхумским хребтами. С северо-востока к району примыкает стержень горной системы Б. Кавказа, представленный участком Главного водораздельного хребта от г. Пасис-мта до г. Зекара.

В пределах Лечхумско-Рачинской горной котловины авторы выделяют четыре физико-географических района:

1. Верхне-Рачинский высокогорный район, занимающий северо-восточную половину Онского административного района, составляет часть высокогорной полосы, тянувшейся вдоль Абхазии, Сванетии и Рачи. Превышение здешних вершин над дном долин достигает местами 2500—3000 м. В районе представлены ландшафтные пояса: верхний горно-лесной, альпийский, нивальный. Довольно мощное оледенение Главного хребта значительно влияет на речной сток.

2. Лечхумско-Рачинский средне—и высокогорный район охватывает склоны Мегрельского и Лечхумского хребтов, хребтов Шода и Кедела и бассейн левых притоков Риони — рр. Джеджори и Гарула, занимая, таким образом, части Цагерского, Амбролаурского, Онского и Джавского административных районов. Относительные высоты достигают 2000—2500 м. Представлены ландшафтные пояса: нижний и верхний горнолесные, альпийский и (островками) нивальный. Район подразделяется на два подрайона, различающиеся по своим климатическим, гидрологическим и геоботаническим условиям:

а) Такверский или западный подрайон, занимающий бассейн правых притоков Риони рр. Сакаура, Лухунис-цхали, Асикис-цхали, Ладжанури и южные склоны г.г. Цекур и Сакерия, характеризуется обильным увлажнением и стоком. Широко распространены темнохвойные леса. Ледников в подрайоне почти нет.

б) Кударойский подрайон, занимающий бассейны левых притоков Риони рр. Гарула и Джеджори с прилегающим к их верховьям южным склоном Главного водораздельного хребта (на участке г. Казыхох — г. Зекара), отличается менее обильным увлажнением, слабым стоком, преобладанием лиственных лесов. Имеются группы ледников.

3. Лечхумско-Рачинский низкогорный район (третичная синклиналь), охватывающий наиболее пониженные и густо населенные части Цагерского, Амбролаурского и Онского районов, характеризуется неглубоким эрозионным расчленением с широким развитием оползней и сильным воздействием хозяйственного фактора. Почвенные и климати-

ческие условия района весьма благоприятствуют виноградарству и виноделию.

4. Лечхумско-Рачинский среднегорный карстовый район охватывает известняковые массивы Асхи, Хамли и Рачинского хребта, занимая южные части Цагерского, Амбролаурского и Онского районов. Представлены оба лесных пояса и островки альпийского ландшафта. Широко развиты явления карстового гидрологического режима и формы карстового рельефа.

Особым подрайоном является Шаорская котловина — карстовое поле с устроенным в нем искусственным водохранилищем. Подрайон этот отличается весьма холодным и влажным климатом, обильным стоком и мощным сугробовым покровом, а также внезапным половодьем в ранний весенний период.

ღ00ტტრატურა — ЛИТЕРАТУРА

1. დონდუა გ., ჯაჭვორისა და ლორდას აუზების გეომორფოლოგია, ვახუშტის სახ. გეოგრ. ინსტ. ფონდები, ხელნაწერი, 1958.
2. ვახუშტი ი., ალექსა სამეცნისა საქართველოს (საქართველოს გეოგრაფია), თბ., 1941.
3. კეცხოველი ნ., საქართველოს მცენოებულობის ძირითადი ტაცება, თბ.; 1935.
4. კორძა ანი მ., რუპა-ლევიზმის კლიმატი, ვახუშტის სახ. გეოგრ. ინსტ. ფონდები, ხელნაწერი, 1958.
5. მარუაშვილი ლ., ლემნის გეომორფოლოგიური დახასიათება, ვახუშტის სახ. გეოგრ. ინსტ. ფონდები, ხელნაწერი, 1958.
6. ნებანიძე ვილი ს., კვერცხური რაჭის ჩრდილი ნაწილის გეომორფოლოგია, ვახუშტის სახ. გეოგრ. ინსტ. ფონდები, ხელნაწერი, 1958.
7. ჩანგაშვილი გ., ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგია, ვახუშტის სახ. გეოგრ. ინსტ. ფონდები, ბ. ლ. ტ. რი. 1953.
8. ჯანაშვილი არჩ., მოსოფელის ფაკტი, თბ., 1955.
9. ჯანაშვილი არჩ., დასავალ კვერცხურის ფაკტი, ვახუშტის სახ. გეოგრ. ინსტ. ფონდები, ხელნაწერი, 1947.
10. Астахов Н., К геоморфологии Верхней Рачи, фонды ИГ им. Вахушти АН ГССР, рукопись, 1958.
11. Верещагин Н.-К., Плейстоценовые позвоночные из пещеры Кударо I в Юго-Осетии и их значение для разработки истории фауны и ландшафтов Кавказа, «Доклады АН СССР», т. 113, 1957, № 6.
12. Владимиров Л., Закономерности стока в бассейне Риони до Кутаиси, фонды ИГ им. Вахушти АН ГССР, рукопись, 1958.
13. Гроссгейм А., Растительный покров Кавказа, М., 1948.
14. Джавахишвили А., Геоморфологические районы Грузинской ССР, типы рельефа и районы их распространения, М.—Л., 1947.
15. Джанелидзе А., Геологические наблюдения в Окрибе и в смежных частях Рачи и Лечхума, Тб., 1940.
16. Клопотовский Б., Почвы западного Кавказа, фонды ИГ им. Вахушти АН ГССР, рукопись, 1947.
17. Кузнецов Н., Принципы деления Кавказа на ботанико-географические провинции, Зап. АН VII сер. по физ. мат. отд., 24, I, 1909.
18. Сабашвили М., Почвы Грузии, Тб., 1948.
19. Сабашвили М., Характеристика почв Грузии, фонды ИГ им. Вахушти АН ГССР, рукопись, 1947.
20. Сохадзе Е., Растительный покров Рача-Лечхуми, фонды ИГ им. Вахушти АН ГССР, рукопись, 1958.

1820-1821 - 1822 - 1823 - 1824

1957



ՀԱՅ-ԼՂԱԿԱՑՈՒՆ ՀՅՈՒՄԵՑՐԱԼՈՒՑՈՒՆ ՀԱՅ

6000000000000000

（如圖四所示）。

10. ყონისაული ცირკულარი, 11. ქარხანა, 12. ტრანსპორტი, 13. ტრანსპორტის მშენებელი, 14. გულდაკრისტი კონსულტანტი, 15. ტექნიკი, 16. გადამზღვევის სამსახურის მდგრადი მუნიციპალიტეტი, 17. განმანათება, 18. ტექსტილური მდგრადი მუნიციპალიტეტის სამსახური, 20. მუნიციპალიტეტი, 21. კულტურული ძალისამსახური, 22. მოსახლეობა, 23. ტრანსპორტი, 24. მდგრადი, 25. მუნიციპალიტეტის მუნიციპალიტეტი.

შენარჩუნები — СОДЕРЖАНИЕ

1. ლ. მარუაშვილი, ლეჩხუმის გეომორფოლოგიური დახასიათება.	83
Л. И. Маруашвили, Геоморфологическая характеристика Лечхуми.	3
2. ს. ნემანიშვილი, ქვემო რაჭის ჩრდილო ნაწილის გეომორფოლოგიური დახასიათება.	15
С. Н. Неманишвили, К геоморфологии северной части нижней Рачи	15
3. გ. ჩანგაშვილი, ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი.	23
Г. З. Чангашивили, Геоморфологический очерк южной части нижней Рачи	23
3. გ. ჩანგაშვილი, ქვემო რაჭის სამხრეთი ნაწილის გეომორფოლოგიური ნარკვევი.	36
Г. З. Чангашивили, Геоморфологический очерк южной части нижней Рачи	36
4. Н. Е. Астахов, К геоморфологии верхней Рачи	53
5. გ. დონდუა, ჯეჯორისა და ღრულის აუზების გეომორფოლოგია	57
Г. Д. Дондуа, Геоморфология бассейнов рек Джеджоры и Гарула	57
6. დ. ვ. ცერტელი, Четвертичные отложения в бассейнах рр. Ингур и Риони.	84
7. მ. օ. კორძახია, რაჭა-ლეჩხუმის კლიმატი	89
М. О. Кордзахиа, Климат Рача-Лечхуми.	103
8. ლ. ა. ვლადიმიროვ, Закономерности стока в бассейне р. Риона до Кутаиси	127
9. კ. გოგიშვილი, ატმოსფერული ნალექების სეზონური განაწილება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე	131
К. С. Гогишвили, Сезонное распределение атмосферных осадков на территории западной Грузии	159
10. ე. ვ. სოხაძე և მ. ე. სოხაძე, Օ რასთელ պი კუთაისი	180
11. 6. ასტახოვი, გ. დონდუა, ლ. ვლადიმიროვი, მ. კორძახია, ლ. მარუაშვილი, ს. ნემანიშვილი, ელ. სოხაძე, დ. უკლება, გ. ჩანგაშვილი, რაჭა-ლეჩხუმის მთანი ქვაბულის ფიზიკურ-გეოგრაფიული ნარკვევი	183
Н. Е. Астахов, Г. Д. Дондуа, Л. А. Владимиров, М. О. Кордзахиа, Л. И. Маруашвили, С. Н. Неманишвили, Е. В. Сохадзе, Д. Б. Уклеба и Г. З. Чангашивили, физико-географический очерк Лечхумско-Рачинской горной котловины.	197
	219

ଜୀବିତିରେ ବାହ୍ୟରତ୍ୱୀଲାଙ୍କ ସିର ମୈତ୍ରିକୁର୍ରେବାତା ଏକାଧ୍ୟେତିକିଳି
 ବାର୍ଗ୍ରେଦ.-ସାଂଗାମିମତ୍ୟ. ବାକ୍ଷେମ୍ବଳ ଦାନ୍ତ୍ରିକିଲ୍ଲେଖିତ

*

ର୍ଯ୍ୟାନ୍‌ଡାକ୍ଟରର ଅଳ. କୁମାର କାନ୍ତି ଶ୍ରୀମଦ୍ଦିତ୍ୱ

ଗାମିନିପ୍ରେମିଲାଙ୍କିଳ ର୍ଯ୍ୟାନ୍‌ଡାକ୍ଟରର ମେ. ପ୍ରାଚୀକାନ୍ତି ଶ୍ରୀମଦ୍ଦିତ୍ୱ

ଶ୍ରୀରୂପାଦାକ୍ଟରର ଅ. ତମିଲ ନାଡୁ

ଫର୍ମର୍ଯ୍ୟାନ୍‌ଡାକ୍ଟରର ନ. ପ୍ରକାଶ କାନ୍ତି ଶ୍ରୀମଦ୍ଦିତ୍ୱ

ପାଇଁ ପ୍ରାଚୀକାନ୍ତି ଶ୍ରୀମିନ୍ଦ୍ରିଆ 4.11.1959; ଅନାଶ୍ରମିକିଳାଙ୍କ 7X12; କ୍ଷେତ୍ରମିନ୍ଦ୍ରିଆକିଳାଙ୍କ
 ଲାଶାଶ୍ରମିକିଳାଙ୍କ 3.3.1960; କ୍ଷେତ୍ରମିନ୍ଦ୍ରିଆ କିଳାଙ୍କ 70X108^{1/16};
 କ୍ଷେତ୍ରମିନ୍ଦ୍ରିଆ କିଳାଙ୍କ 6,9; ବାକ୍ଷେମ୍ବଳ କିଳାଙ୍କ 18,9; ବାକ୍ଷେମ୍ବଳ
 କିଳାଙ୍କ 17,6; ବାକ୍ଷେମ୍ବଳ-ବାକ୍ଷେମ୍ବଳ କିଳାଙ୍କ 18;
 କିଳାଙ୍କ 1741; ନାମ 00634; କ୍ରମିକ ନମ୍ବର 500
 ରୂପିଣୀ 15 ମାର୍କ.

* ବାହ୍ୟରତ୍ୱୀଲାଙ୍କ ସିର ମୈତ୍ରିକୁର୍ରେବାତା ଏକାଧ୍ୟେତିକିଳି
 ଶାସନ ପାରିଷଦ ମ୍ୟୁସନ୍ ପାଇଁ କ୍ରମିକ ନମ୍ବର 3/5

ଫୁଲିଗୋ 15 ମାର୍ଚ୍ଚ.

J
270/57